ალია

N10/3326/ 22-25 იანვარი 2016 წ
ფასი 1 ლარი

ორშაბათი სამშაბათი ოთხშაბათი ხუთშაბათი პარასკევი

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდი ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

# მორიგი ცვლილებები თბილისის მერიაში

ვის და რის გამო დაატოვებინებენ თანამდებობას

5

# „პირველ აქციაზე 900 მანქანა გამოვიყვანეთ... მინიმუმ, ხუთჯერ 900 ავტომობილს გამოვიყვანთ“

მარჯვენასაჭიანების აკრძალვას პრემიერი კვირიკაშვილი გადაყვება?



6

# ავტოგაზის ფასი 1.28 თეთრამდე ჩამოვიდა

როდის გაიაფდება უფრო მეტად? — „სოკარის“ პასუხი „ალიას“

4

# რა სიურპრიზს უმზადებს ზაზა ხატიაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას?

ზაზა ხატიაშვილი: „ახლა პირველად თქვენი გაზეთით გაანონსებ, არსად მითქვამს და ექსკლუზიურად გეუბნებით...“



3

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები...

## ინსულტის გამოწვევა სირცხვილის გრძნობასაც კი შეუძლია?



16

## საგანგაშო ვირუსი — მსოფლიოს მასობრივი გონებაჩამორჩენილობის საფრთხე ემუქრება



15

## პროდუქტები, რომლებიც კბილებს ამუქებს



16

## დაავადებები, რომელსაც ექიმები ხშირად ვერ ამჩნევენ



14

ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

მართვის მოწმობაზე ქულებს პატრული არ ჩამოაკლებს — სიახლე შსს-ს ინიციატივაზე



2

„თუ მთავრობას საცობები აწუხებს, დაასრულოს შემოვლითი რკინიგზა, მიწისქვეშა პარკინგები, რომელიც გააჩერა“



3

როგორც იქნა, დავიდა მერიამდე „ალიას“ რჩევა, რომ სადისტრიბუციო მანქანებს რეგულაციები უნდა დაუწესდეთ



4

„ხადური გეგმას ვერ ასრულებს, ის მხოლოდ ჩვენს მიერ შეტანილ ფულს ითვლის“



6

თელავში გარდაცვლილის ოჯახმა ქელეხისთვის განსაზღვრული თანხა ბავშვთა სახლებში გადარიცხა



11

# „რუსთავის აზოტში“ უბედურ შემთხვევას მამაკაცი ემსხვერპლა

შსს „რუსთავის აზოტში“ უბედურ შემთხვევას მამაკაცის სიცოცხლე ემსხვერპლა – გარდაცვლილია მტვირთავ-ჩამბმელი, რომელმაც საწარმოს ტერიტორიაზე ტრავმა მიიღო.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება 170-ე მუხლის მეორე ნაწილით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს შრომის დაცვის წესების დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია. (ნიუპოსტი)

# მართვის მოწმობაზე ქულებს პატრული არ ჩამოაკლებს — სიახლე შსს-ს ინიციატივაზე




კანონდამრღვევ მძღოლებს მართვის მოწმობებზე ქულებს შსს-ს მომსახურების სააგენტო ჩამოაჭრის, შესაბამისად, ქულების ჩამოკლება საპატრულო პოლიციის თანამშრომლის გადაწყვეტილებაზე დამოკიდებული არ იქნება.

ამის შესახებ შს მინისტრის მოადგილემ შალვა ხუციშვილმა პარლამენტში, „საგზაო მოძრაობის შესახებ“ კანონპროექტის განხილვისას განაცხადა.

– როდესაც მძღოლები უშუალოდ პატრულების მიერ დაჯარიმდებიან და ეს დაჯარიმება არ გასაჩივრდება, ქვითარი გადაეგზავნება მომსახურების სააგენტოს, სადაც სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფის საშუალებით ქულების ჩამოკლება მოხდება. ამით სამინისტრო პოლიციელებისთვის დამატებითი უფლებამოსილების გადაცემას აარიდებს თავს. შესაძლოა, პოლიციელებმა დაჯარიმების დროს არც კი იცოდნენ, რამდენი ქულა ექნება ამა თუ იმ მძღოლს დარჩენილი, – ამბობს ხუციშვილი.

შალვა ხუციშვილი ამბობს, რომ მართვის მოწმობებზე 100-ქულიანი სისტემის შემოღება მდიდარი და ღარიბი მძღოლების გათანაბრების მექანიზმი იქნება. მისივე განმარტებით, ქულათა სისტემა სხვა ქვეყანაში აღებულ მართვის მოწმობებზეც გავრცელდება.

– მართვის მოწმობის ჩამორთმევის შემდეგ ჩასაბარებელ გამოცდას, სავარაუდოდ, ფსიქოლოგთან გასაუბრების კომპონენტიც ექნება. სამწუხაროდ, პრობლემა არის ის, რომ საქართველოს მოქალაქეები სხვა ქვეყნებში იღებენ მართვის მოწმობას, სადაც უფრო იოლია მართვის მოწმობის აღება. იმისთვის, რომ შავი ხვრელები ავიცილოთ, ეს უცხოელებზეც გავრცელდება, – განმარტავს შალვა ხუციშვილი. (პირველი რადიო)

მთავარმა პროკურატურამ ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობის საქმე გახსნა. როგორც ირკვევა, ხარძიანის მკვლელობაში მხილებულნი არიან: უკრაინის მოქალაქე, 1985 წლის 29 მაისს დაბადებული ოლექსანდრ დამეტოვი და რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, 1973 წლის 4 სექტემბერს დაბადებული ოლეგ დოევი.

**„ალია“ პროკურატურის მიერ გავრცელებული განცხადების შემოკლებულ ვერსიას გთავაზობთ:**

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბესარიონ ხარძიანის განზრახ მკვლელობის მიზნით, 2015 წლის 13 იანვარს, ოლექსანდრ ხარძიანმა სასტუმრო „საქართველოს“ მიმდებარე ტერიტორია დატოვა 13:43 საათზე და თარხნიშვილის ქუჩის გავლით გაემართა საკუთარი საცხოვრებელი სახლისკენ, რა დროსაც ბარნოვის ქუჩაზე არსებულ გარე მეთვალყურეობის ვიდეოკამერებზე დაფიქსირებულია, როგორ მიჰყვება მოპედით დამეტოვი ბესარიონ ხარძიანის ავტომანქანას... მარაბდის ქუჩა №25-ში, ავტომანქანიდან გადმოსული ბესარიონ ხარძიანი შევიდა საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოში, სადაც მას შეჰყვა ოლექსანდრ დამეტოვი და მაყუჩიანი ცეცხლსასროლი იარაღით ბესარიონ ხარძიანის მიმართულებით განახორციელა სამი გასროლა, მათ შორის ერთი საკონტროლო, თავის არეში...

# ბესიკ ხარძიანის მკვლელის ვინაობა ცნობილია, თუმცა მკვლელობის დამკვეთების შესახებ პროკურატურა კვლავაც დუმს











დამეტოვი და ოლეგ დოევი კიევი-თბილისის რეისით ჩამოფრინდნენ თბილისის საერთაშორისო აეროპორტში. იმავე დღეს, ოლექსანდრ დამეტოვი დროებით დაბინავდა თბილისში, ჯავახეთის ქუჩა №44-ში მდებარე სასტუმროში, ხოლო ოლეგ დოევი – თბილისში, ვარკეთილის მასივში მდებარე ერთ-ერთ ბინაში. 2015 წლის 16 იანვარს, დამეტოვმა და დოევმა კერძო პირისგან იქირავეს თბილისში, პეკინის გამზირზე მდებარე ერთ-ერთი ბინა, სადაც ცხოვრობდნენ 2015 წლის 28 მარტამდე... მკვლელობის დღეს, 2015 წლის 28 მარტს, 10:32 წუთზე, ოლექსანდრ დამეტოვმა მოპედით მოძრაობა დაიწყო კოსტავასა და სულაკაურის ქუჩების კვეთაზე მდებარე „ხალიკ ბანკის“ მიმდებარე ტერიტორიიდან, ვარაზის ხევის გავლით ავიდა მელიქიშვილის გამზირზე სასტუმრო „საქართველოსთან“ და თარხნიშვილის, ბარნოვისა და შატბერაშვილის ქუჩების გავლით გაემართა მარაბდის ქუჩაზე მდებარე ბესარიონ ხარძიანის საცხოვრებელი სახლისკენ, სადაც დაყოვნდა რამდენიმე წამით, შემდეგ დატოვა აღნიშნული ადგილი და მომდევნო ერთი საათის განმავლობაში მოძრაობდა მარაბდის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიებზე. იმავე დღეს, 12:20 საათზე, ბესარიონ ხარძიანი საკუთარი ავტომანქანით გამოვიდა საცხოვრებელი სახლიდან და მივიდა საქმიან შეხვედრაზე მელიქიშვილის გამზირზე მდებარე სასტუმრო „საქართველოში“... დამეტოვმა თამარ მეფის ხიდიდან მტკვარში გადააგდო დანაშაულის ჩადენის იარაღი – „მაკაროვის“ სისტემის მაყუჩიანი პისტოლეტი, რომელიც ნაპოვნი და ამოღებული იქნა გამოძიების მიერ.

იმავე დღეს, მკვლელობიდან რამდენიმე საათში, დაახლოებით 21 საათსა და 30 წუთზე, ოლექსანდრ დამეტოვმა და ოლეგ დოევმა, სარფის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გავლით, ფეხით გადაკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი და მიიმალნენ...

რაც შეეხება ბესიკ ხარძიანის მკვლელობაში მონაწილე სხვა პირებს, მათი მხილების მიზნით გრძელდება ინტენსიური გამოძიება, ხოლო ძებნილ პირთა ადგილსამყოფლის დადგენისა და დაკავების მიზნით, ტარდება შესაბამისი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, – აცხადებენ პროკურატურაში.

გახმაურებული მკვლელობის გახსნის ამბავს მოკლული ბიზნესმენის ქალიშვილი ქეთი ხარძიანი გამოეხმაურა, რომლის თქმითაც, პროკურატურის მიერ გავრცელებულ ვიდეოჩანაწერს ბოლომდე ვერ უყურა: „ჩემთვის ძალიან მძიმეა ეს კადრები. ვიდეოს ბოლომდე ვერ ვუყურე“.

გაცილებით ვრცელი კომენტარი გააკეთა ბიზნესმენის ვაჟმა ბესო ხარძიანმა, რომლის ინფორმაციითაც, მამა მისი შესაძლო მკვლელობის შესახებ გარდაცვალებამდე 4-5 თვით ადრე ესაუბრა. ბესო ხარძიანის თქმით, მამამ მას უთხრა, რომ მისი მკვლელობის ინტერესი გია უდესიანსა და რევაზ ქურასბედიანს ექნებოდათ.

– მამამ მითხრა, თუკი მას მოკლავდნენ, ამის ინტერესი ექნებოდათ რევაზ ქურასბედიანსა და გია უდესიანს, რომლებმაც მამას კუს ტბა წაართვეს, – განაცხადა ბესო ხარძიანმა.

მისი ინფორმაციით, მოკლული ბიზნესმენის მიმართ ინტერესი რევაზ ქურასბედიანსა და გია უდესიანს იმ მოტივით ჰქონდათ, რომ ბესო ხარძიანმა მათ სასამართლო პროცესი მოუგო.

მოკლული ბიზნესმენის ვაჟი პროკურატურის მუშაობით კმაყოფილია, თუმცა აცხადებს, რომ ოჯახისთვის მნიშვნელოვანია ინფორმაცია იმის შესახებ, ვინ არის მკვლელობის დამკვეთი.

ანალოგიური პოზიცია აქვს ბესიკ ხარძიანის დედას – ასმათ ხარძიანი აცხადებს, რომ ოჯახს მხოლოდ ის აინტერესებს, ვინ და რა მოტივით შეუკვეთა მკვლელობა.

– ჩვენ გვაინტერესებს, ვინ შეუკვეთა მკვლელობა, თორემ ეგ ისედაც ვიცოდით, რომ ვილაცა უცხოელი მოვიდა და მოკლა, სახლთან მოკლა ბიჭი. ისიც ვიცოდით, შეკვეთილი მკვლელობა რომ იყო. შეიძლება ვიღაცამ შეუკვეთა ჩემი შვილის მკვლელობა და ამით კიდევ სხვამ ისარგებლა. დაბნეულები ვართ, ვარაუდიც კი არ გვაქვს. ვარაუდი რომ მქონდეს, ამ ფრჩხილებით ამოვკორტნი თვალებს, – განაცხადა ასმათ ხარძიანმა.

ბესო ხარძიანის ბრალდებას უდესიანების ოჯახი გამოეხმაურა – ნატო უდესიანი დარწმუნებულია, რომ ბიზნესმენ ბესიკ ხარძიანის მკვლელობასთან მის ძმას შეხება არ აქვს.

უდესიანის განცხადებით, შესაძლოა, გია უდესიანზე გადაბრალებით ვიღაცას საკუთარი დანაშაულის დაფარვა სურს.

– მკვლელი არ არის გია და ამ შემთხვევაში არაფერი გვაქვს სანერვიულო. თუ ვიღაცას რაღაცის დამალვა უნდა, ეს სხვა საქმეა. თუ ვინმე ვინმეს ასახელებს, საკუთარი დედის დანაშაულს მალავს, – ამბობს ნატო უდესიანი.

ხარძიანების ოჯახის ადვოკატი კი დარწმუნებულია, რომ გამოძიება მკვლელობის დამკვეთის ვინაობასაც დაადგენს.

როგორც ადვოკატი მალხაზ სალაყაია აცხადებს, პროკურატურის გამომძიებლებმა მაქსიმალურად იმუშავეს და, შესაბამისად, მყარად გაჯერებული მტკიცებულებები დადეს.

– პროკურატურის მიერ დანაშაულის ჩამდენი პირები დადგინდა. ოჯახი ენდობა გამოძიების მიერ ჩატარებულ შედეგებს. პროკურატურის საქმიანობას დადებითად და ცოტა მეტადაც შევაფასებდი. მე მედიაში ყოველთვის ვამბობდი, რომ აღნიშნულ საქმეზე პროკურატურისა და საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა გასწიეს უამრავი საქმე. მთელი უძილო ღამეების შედეგად დადეს, ის, რაც დღეს პროკურატურამ გამოაქვეყნა. გამოძიება კვლავ აგრძელებს მუშაობას, – აცხადებს მალხაზ სალაყაია.

საინფორმაციო სააგენტო „კვირამ“ იმ სასტუმროს მეპატრონის კომენტარიც გაავრცელა, რომელშიც ოლექსანდრ დამეტოვმა ნომერი იქირავა. გიორგი საბიაშვილის ინფორმაციით, დამეტოვმა სასტუმროს ყველაზე იაფფასიანი ნომერში 3 დღე დაჰყო.

– მან სულ 150 ლარი გადაიხადა. დილით ადრე გადიოდა და საღამოს გვიან ბრუნდებოდა. ჩუმად დადიოდა. ჩვენს სასტუმროში არც კი იკვებებოდა. თავზე კეპი ჰქონდა ჩამოფხატული და ნომერში მარტო იყო. ფაქტობრივად, ნომერი ღამის გასათევად დაიქირავა. სხვათა შორის, გასაღებს არც დამლაგებელთან და არც ადმინისტრატორთან არ ტოვებდა. ამის გამო, სასტუმროს დამლაგებელი მის ოთახს ვერ ალაგებდა, – აცხადებს სასტუმროს მეპატრონე.

ასეა თუ ისე, ხმაურიანი მკვლელობა გახსნილია, თუმცა ჯერჯერობით უცნობია მთავარი – დამკვეთის ვინაობა!

და კიდევ ერთი – საქართველოში იარაღის ტარება დაკანონებული რომ ყოფილიყო და ბესიკ ხარძიანს თან იარაღი ჰქონოდა, შესაძლოა, ყველაფერი სულ სხვაგვარი შედეგით დასრულებულიყო...

# „გარდაბნიდან ვიწყებთ ხელისუფლების დემონტაჟს“ — „ენმ“ „ქართულ ოცნებას“ პასუხობს

– „ნაციონალური მოძრაობა“ გარდაბნის რიგგარეშე არჩევნებში გამარჯვებას გეგმავს, – როგორც „ენმ“-ს ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე „ქართული ოცნების“ განცხადების კომენტირებისას აცხადებს, მმართველი კოალიციის ინფორმაცია, რომლის მიხედვითაც „ნაციონალური მოძრაობა“ გარდაბანში კანდიდატის მოხსნას განიხილავს, სიმართლეს არ შეესაბამება.

– ჩვენ ვაპირებთ ამ არჩევნებში გამარჯვებას. სწორედ გარდაბნიდან ვიწყებთ ამ ხელისუფლების დემონტაჟს. დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენ ასეთივე წარმატებით მოვიგებთ დიდ არჩევნებს, – აცხადებს დავით კირკიტაძე.

ცნობისთვის, „ქართული ოცნება“ აცხადებს, რომ მათი ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობა“ კანდიდატურის მოხსნას გეგმავს. „ქართული ოცნების“ წევრთა მტკიცებით, ამ მიზანს ემსახურებოდა ოპოზიციური პარტიების მიერ გაკეთებული განცხადება არჩევნების ბოიკოტირებასთან დაკავშირებით. (ნიუპოსტი)

# გიგა ბოკერია — ხელისუფლების ცვლილებამდე აუცილებელია, გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებისგან თავის ასარიდებლად

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრ გიგა ბოკერიას განცხადებით, ხელისუფლების ცვლილებამდე აუცილებელია გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო დამძიმებისგან თავის ასარიდებლად.

გიგა ბოკერიამ სამომავლო გეგმების შესახებ ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ მომავალი მთავრობა ანტიკრიზისული გეგმის განხორციელებას დაიწყებს.

– ლარი ისევ ეცემა, ხალხი ისევ ღარიბდება, ქართული ეკონომიკა უფსკრულის პირასაა, წლებია მივუთითებთ იმ მავნებლობებზე და ვაფრთხილებთ, რამაც ამ მდგომარეობამდე მიგვიყვანა. ჩვენ შევიმუშავეთ ანტიკრიზისული გეგმა, რომელზეც ივანიშვილის ახალი პრემიერი დაგვპირდა, ვილაპარაკოთო, მაგრამ ახლა პასუხსაც არ იძლევა. რა თქმა უნდა, ოქტომბერში ხალხი ივანიშვილის რეჟიმს გადაირჩევს და შემდეგი მთავრობა ამ ანტიკრიზისულ გეგმას შეასრულებს, მაგრამ მანამდეც მნიშვნელოვანია, გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, რათა კიდევ უფრო არ დამძიმდეს ვითარება, – განაცხადა გიგა ბოკერიამ. (ინტერპრესნიუსი)

## „თუ ავტომობილებია დამნაშავე, მანქანები ავკრძალოთ და გადავჯდეთ ურემზე, ან ცხენზე“

ოპოზიციონერი დეპუტატი ლევან თარხნიშვილი ინტერესდება, რა სტატისტიკა არსებობს იმის, რომ ავარიების გამოწვევის მიზეზი მარჯვენასაჭიანი ავტომობილებია. როგორც დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის სხდომაზე თარხნიშვილმა განაცხადა, საუბარი იყო, რომ ავარიის შედეგად უფრო მეტი ადამიანი იღუპება, ვიდრე მკვლელობის დროს.

– არსებობს თუ არა რაიმე სტატისტიკა, რომ ამ განსხვავებაში უფრო დამნაშავეა მარჯვენასაჭიანი ავტომანქანები, ან უფრო დამნაშავეა ძველი ავტომანქანები? გასაგებია, რომ სტატისტიკით უფრო ბევრი იღუპება, მაშინ ლოგიკურად, მანქანები უნდა ავკრძალოთ და გადავჯდეთ ურემზე, ან ცხენზე.

თუ ავტომანქანაა დამნაშავე, მაშინ ყველა ავტომანქანა უნდა ავკრძალოთ და არა მისი გარკვეული სახეობა. მოტოციკლი ბევრად უფრო მეტი საფრთხის შემცველია, მაგრამ მოხსენებაში ჩანს, რომ მოტოციკლის შემოტანაზე შეღავათები წესდება. სად არის ლოგიკა, გაუგებარია, – ამბობს თარხნიშვილი. (mpress.ge)

## „თუ მთავრობას საცობები აწუხებს, დაასრულოს შემოვლითი რკინიგზა, მიწისქვეშა პარკინგები, რომელიც გააჩერა“

„არასერიოზული ტყუილი“, – ასე აფასებს „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი ნიკა მელია ხელისუფლების არგუმენტებს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების ახალ რეგულაციებთან დაკავშირებით. მელიამ განცხადება პარლამენტის შენობასთან მიმდინარე აქციაზე გააკეთა.

– მთავრობა ამბობს, თუკი ამ კანონს მივიღებთ, დედაქალაქში აღარ იქნება საცობები. ეს არის არასერიოზული ტყუილი. თუ მთავრობას – კვირიკაშვილს, ივანიშვილს, საცობები აწუხებს ამ ქალაქში, ისეთი პროექტები დაასრულოს, როგორიც არის შემოვლითი რკინიგზის პროექტი, ხიდი ვეფხვი და მოყმესთან, რომელიც გააჩერეს, ესტაკადები, მიწისქვეშა პარკინგები, მიწისზედა პარკინგები. ეს ყველაფერი ამ ხელისუფლებამ გააჩერა და ამან გამოიწვია საცობები. ეს ხელისუფლება გამოდის და ამბობს, რომ მარჯვენასაჭიან ავტომობილებს აკრძალავს და ქალაქში აღარ იქნება საცობები. არასერიოზული ტყუილია, – აცხადებს ნიკა მელია. (პირველი რადიო)


ნინო სამხარაძე
599 71-14-22

21 იანვარს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან ზვიად კვაჭანტირაძესთან იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანისა და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ნინო გვენეტაძის შეხვედრა გაიმართა. როგორც კვაჭანტირაძემ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მხოლოდ სასამართლო რეფორმასთან დაკავშირებით ინიცირებულ პროექტზე ვიმსჯელეთო. თუმცა ეს ყველაფერი სასაცილოდ მოჩანს იმ ფონზე, როცა, ერთი მხრივ, ხელისუფლება რეფორმებზე გვესაუბრება, ხოლო მეორე მხრივ, იმ კვაზიმოსამართლეს „გვტენის“ სამუდამოდ, რასაც მურუსიძე ჰქვია. რეფორმა უკვე ძირშივე მკვდარია, რადგან მათ ვერ შეძლეს, ერთმანეთისგან გაემიჯნათ რეჟიმის მსხვერპლები და ჯალათები. საპარლამენტო უმრავლესობას ზაზა ხატიაშვილი მათ ჩაიდინეს მურუსიძის დანიშვნით და არამარტო ამ ფაქტით. ამიტომ ახლა ხელისუფლება ფიქრობს, რაღაცნაირად საზოგადოება დააშოშმინოს. ვაპირებ, შევხვდე არასამთავრობო ორგანიზაციებს და დავიწყოთ კანონპროექტზე მუშაობა, თუ პარლამენტი არ განახორციელებს საკანონმდებლო ცვლილებას, არის მოერე გზა – ჩავატაროთ რეფერენდუმი, რომელიც უკვე დავაანონსე, მაგრამ პარლამენტიდან შეშინებულებმა გააკეთეს განცხადება, ჩვენთვისაც მიუღებელია მურუსიძის დანიშვნაო და ახლა დაისვა საკითხი, – თუ ეს ადამიანები მართალს ამბობენ, რომ მათთვის მურუსიძის დანიშვნა მიუღებელია, მათ შევთავაზებთ საკანონმდებლო წინადადებას და თუ პარლამენტში ეს ჩავარდა, ე.ი. პარლამენტი თვალთმაქცობს. ამიტომ თეა წულუკიანი-მურუსიძისა, რომელიც ძალიან შეშინებულია, მისმა უმოქმედობამ სასამართლო რეფორმაში რაც გამ-

ამ საკითხთან მიმართებაში ვგეგმავ რამდენიმე აქტიურობას მურუსიძის საკითხთან მიმართებაში და ბიძინა ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ თავისი განცხადებით, – მურუსიძე იყო სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლი, ხელმეორედ აწამა გიორგი მიქიაშვილი, ხელმეორედ მოკლა ირინა ენუქიძე, მისი შვილი სანდრო გირგვლიანი... და ის ხალხი, ვისაც ციხეებში აწამებდნენ და ვისი წამების კადრებითაც ბიძინა ხელისუფლებაში მოვიდა, მათ რა პასუხს სცემს?!. ივანიშვილმა უნდა იცოდეს, რომ მურუსიძე, რომელსაც კონსტიტუცია და კანონი იცავდა, არ ჰყავდა ხელმძღვანელი და იყო დამოუკიდებელი, ის არ შეიძლება ყოფილიყო სისტემის მსხვერპლი.

თან, ვისთან მივიდნენ, ზვიად კვაჭანტირაძესთან, რომელმაც ჩაიდინა ულირსი საქციელი, დიპლომატიური სამსახურის დროს დაამტვრია საქართველოს ბიუჯეტით ნაყიდი მანქანა ლაზე მკაცრი განცხადება გააკეთა. ამ კაცზე ნაწყენი ვიყავი და ამ განცხადების შემდეგ წყენა გამიქრა. კოლექტიურ მურუსიძეებად მოიხსენია ხელისუფლება. შემდეგ გამოვიდა შუშის სასახლის ბინადარი, ფეოდალი ბიძინა ივანიშვილი და თქვა, – რას ერჩით მურუსიძეს, რეჟიმის მსხვერპლიაო და მისი ამ განცხადების შემდეგ კოალიციის 80-მა პროცენტმა აზრი შეიცვალა. ამიტომ შეგვაქვს საკანონმდებლო წინადადება, შეიქმნას საგამოძიებო კომისია და ვნახავთ, ირინა ენუქიძის სულის წინაშე ბოდიშებს რომ იხდიან და ძალიან შეწუხებულები რომ აკეთებენ განცხადებებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებენ. ახლა პირველად თქვენი გაზეთით ვაანონსებ, არსად მითქვამს და ექსკლუზიურად გეუბნებით, – მოვითხოვ, შეიქმნას საგამოძიებო კომისია. გამოიძიონ, რა კრიტერიუმით დაინიშნენ მურუსიძე და სხვა მოსამართლეები. პირადად მე მქონდა მურუსიძეზე საჩივარი შეტ-

# რა სიურპრიზს უმზადებს ზაზა ხატიაშვილი საპარლამენტო უმრავლესობას?

## ზაზა ხატიაშვილი: „ახლა პირველად თქვენი გაზეთით ვაანონსებ, არსად მითქვამს და ექსკლუზიურად გეუბნებით...“



Reuters

სიურპრიზს უმზადებს.

და მაინც, რაზე შეიძლება ესაუბრათ თეა წულუკიანს და ნინო გვენეტაძეს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან?

**„ალიას“ კითხვებს „ადვოკატთა ასოციაციის“ თავმჯდომარე ზაზა ხატიაშვილი პასუხობს:**

**— ბატონო ზაზა, როგორ აფასებთ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან წულუკიანისა და გვენეტაძის შეხვედრას, რაზე შეიძლება ესაუბრათ?**

– ღირსების გამო ვინც ვიბრძოდით, ძალიან ცოტანი დავრჩით. მე დეტალურად არ ვიცი, რაზე იმსჯელეს საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერთან შეხვედრისას, მაგრამ შემიძლია, ჩემი მოსაზრება გითხრათ. თქვენი გაზეთის ფურცლებით ვამბობდი, რომ მურუსიძეზე უარესი მოსამართლე იყო ჯემალ კოპალიანი. ადვოკატები მეუბნებოდნენ, რომ საქართველოს უახლეს ისტორიაში ასეთი ცუდი მოსამართლე არ ყოფილა. მასთან მიმართებაში მქონდა ყველაზე მეტი პრეტენზია და ეს ადამიანი ინიშნება სასამართლოში მოსამართლედ. ეს არის იმის აღიარება, რომ თეა წულუკიან-მურუსიძისამ ჩააგდო სასამართლო რეფორმა და გაანადგურა ჩვენი ოცნება სამართლიან სასამართლოზე. მე რომ არ გავჩერდები, იუსტიციის მინისტრმა ძალიან კარგად იცის. ვხვდები ადამიანებს, ვგეგმავ აქციებს, მომავალ კვირაში შევიტან საჩივარს მოსამართლის დანიშვნასთან დაკავშირებით. თეა წულუკიანი-მურუსიძისა გაიშიფრა. ფაქტობრივად, მურუსიძის დანიშვნამ აჩვენა, რომ სააკაშვილის რეჟიმი გარიგებაშია ბიძინას ფეოდალურ ხელისუფლებასთან და სააკაშვილის რეჟიმი არსად წასულა, ის გარდაისახა ბიძინას ხელისუფლებაში. მოდის არჩევნები, მოსახლეობა აღშფოთებულია, რაც

ოიწვია, ვფიქრობ, არც მისი პატრონი, „დიდი ფეოდალი“ არ უნდა იყოს კმაყოფილი მისი მუშაობით, სასწრაფოდ ეძებს გზებს, გამოვიდნენ ამ ჩიხიდან. გამკვირვებია ქალბატონი ნინო გვენეტაძის, რატომ გამოჩნდა თეა წულუკიან-მურუსიძის გვერდით, ეს მისი დისკრედიტაციაა. გვენეტაძეს ჩვენ ვენდობით, პატივს ვცემთ, ხოლო თეა წულუკიანი-მურუსიძის მიმართ საზოგადოებაში ნდობა არის ნული, ამიტომ ვფიქრობ, რომ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ უნდა აიღოს სა-

> **„ამიხსენით, ვიდრე ლარი 2,5 არ გახდება დოლართან მიმართებაში, ხადური მინისტრი უნდა იყოს?! ფინანსური გუნდი ქვეყანას აქცევს, სასამართლო რეფორმა დაინგრა, პოლიციაში წამებები მიდის და ამ საქმეს ისევ პოლიცია იძიებს, ივანიშვილი გამოდის და ამბობს, მე კარგი გუნდი მყავსო“**

დავეები ხელში და უნდა აწარმოოს დისკუსია პარლამენტთან. ამ შემთხვევაში მას გვერდით დავუდგებით, მაგრამ, როცა მკვდარ პოლიტიკოსს, თეა წულუკიან-მურუსიძეს გააცოცხლებ, უნდა იცოდე, რომ შენს გვერდით ჯანსაღად მოაზროვნე საზოგადოება არ დადგება. ვეკითხები ხელისუფლებას, – მურუსიძის დანიშვნის შემდეგ იუსტიციის მინისტრს რა ესაქმება სასამართლო რეფორმასთან, მისმა რომელმა რეფორმამ გაამართლა?

ძალიან ცუდად მენიშნა, რომ ქალბატონ იუსტიციის მინისტრს აცოცხლებენ, ჩემს თვალში ეს ადამიანი არის სამოქალაქო საზოგადოების მტერი, როგორი მტერიც იყო ადეიშვილი. ამ ხელისუფლებამ კარგად იცოდეს, რომ ჩვენ არ გავჩუმდებით და ბიძინა ივანიშვილს ამას არ შევარჩენთ. ჩვენ ვმუშაობთ გეგმაზე, რა უნდა გავაკეთოთ მომავალ კვირაში.

და ვალი აქვს საგარეო საქმეთა სამინისტროსი. რასაც ვუყურებ, წულუკიანი და კვაჭანტირაძე ერთი და იგივე ღირებულების ადამიანები არიან, მაგრამ გვენეტაძეს მათთან ერთად რა უნდა, ეს მიკვირს მე... გვენეტაძეს ვაფრთხილებ, მას წულუკიანი ისევე გახვევს შარში, როგორც ქვეყანა გახვია.

**— კოალიციის ყველა სუბიექტი გმობდა მურუსიძის მოსამართლედ დანიშვნას, მაგრამ ამ თემაზე დღეს უკვე აღარავინ საუბრობს. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

– როცა ქვეყანაში ლარის დევალვაცია დაიწყო, მთელი დეპუტატები აცხადებდნენ, რომ ეს არის გარეფაქტორების ბრალი. შემდეგ გამოვიდა „დიდი ფეოდალი“, შუშის სასახლის ბინადარი ივანიშვილი და განაცხადა, რომ ეს არის ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრალი. ამ განცხადებიდან ერთ საათში „ქართული ოცნების“ კომკავშირელი დეპუტატები გამოდიან და ამბობენ, ლარის დევალვაცია ქადაგიძის ბრალიაო. ესენი აკეთებენ სწორებას ივანიშვილზე, თუ რა განცხადებას გააკეთებს იგი. მიაქციეთ ყურადღება, როგორ განვითარდა განცხადებების ქრონოლოგია მურუსიძესთან დაკავშირებით. როცა მე ავტეხე ერთი ამბავი, მთელმა პარლამენტმა დაგმო ეს ამბავი და თქვეს, რომ მოხდა ძალიან ცუდი რამ. გია ხუხაშვილი, რომელიც ივანიშვილის აქტიური მხარდამჭერი იყო, ერთ-ერთი გახლდათ, ვინც ყვე-

ანილი მიქიაშვილის საქმესთან მიმართებაში, მან ჩაიდინა სიყალბე, ამ ადამიანებმა მურუსიძის დანაშაულის შესახებ იცოდნენ და მაინც მისცეს ხმა. ვინც ხმა მისცა, მათ ხომ ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული. მე არ მოვასვენებ ამათ, პარლამენტსაც მივწერ წერილს და ყველას, ევა გოცირიძე-მურუსიძისა, კახა სოფრომაძე-მურუსიძისა, ვახტანგ თოდრიამურუსიძისა, თეა წულუკიანი-მურუსიძისა – ეს ხალხი უნდა გამოცხადდნენ სამოქალაქო საზოგადოების მტრებად და პარლამენტარებს ტესტი უნდა ჩავუტაროთ, დავანახოთ ყველას, ვინ აძლევს ხმას საგამოძიებო კომისიის შექმნას და ვინ – არა. სანამ სასამართლო სისტემა საბოლოოდ არ დასამარდება, წულუკიანი მინისტრი უნდა იყოს?!. ამიხსენით, ვიდრე ლარი 2,5 არ გახდება დოლართან მიმართებაში, ხადური მინისტრი უნდა იყოს?! ფინანსური გუნდი ქვეყანას აქცევს, სასამართლო რეფორმა დაინგრა, პოლიციაში წამებები მიდის და ამ საქმეს ისევ პოლიცია იძიებს, ივანიშვილი გამოდის და ამბობს, მე კარგი გუნდი მყავსო. თუ შუშის სასახლის ბინადარს ეტყვი, ჩემი მამიკო ხარ, მამაჩემზე მეტი გამიკეთეო, ეს არის მინისტრობის შენარჩუნების საფუძველი, ეს ხომ სამარცხვინოა. ეს სიტყვები ბიძინა ივანიშვილს თეა წულუკიანმა უთხრა, როცა ალასანია ოპოზიციაში გადავიდა, თეა წულუკიანი ეახლა ბიძინას და უთხრა, – თქვენ მამაჩემზე მეტი გამიკეთეთ, ჩემი მამიკო ხართ, ვიდრე საჭირო ვიქნები, თქვენ გვერდით მიგულეთო. ამას რომ მინისტრი გეტყვის, ეს არის მასხრად აგდება. აი, ასეთი სამარცხვინო ადამიანები გვმართავენ ჩვენ, მინისტრები კი ივანიშვილს მამიკოს ეძახიან და ამით ინარჩუნებენ ძალაუფლებას ხელისუფლებაში.

## „გარდაბანში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერებს ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან“



გარდაბნის რაიონის სოფელ მუღანლოში „ნაციონალური მოძრაობის“ მხარდამჭერ ახალგაზრდებს აშინებენ და ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებიან – ამ განცხადებას პარტიის ერთ-ერთი ლიდერი აკაკი მინაშვილი აკეთებს და სამართალდამცავებს საქმით დაინტერესებისკენ მოუწოდებს.

– მოგეხსენებათ, 28 იანვარს გარდაბანში გამგებლის არჩევნებია და დამკვიდრებული ტრადიციისამებრ, „ქართული ოცნება“ ამომრჩევლის გულის მოგებას არა საქმის კეთებითა და პრობლემების გადაჭრით ცდილობს, არამედ მოქალაქეების აქტივობის შეფერხებით. ჩვენ გვაქვს ამის კონკრეტული მაგალითი, „ქართული ოცნების“ სახელით ადგილობრივებს ემუქრებიან, რათა ამ ადამიანებს, „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებს, მუშაობაში ხელი შეუშალონ. მინდა ყველა გავაფრთხილო და სამართალდამცავ უწყებებს მკაცრად მოვუწოდო, რომ გამოიძიონ ეს საქმე. მინდა ყველას შევახსენო და მკაცრად გავაფრთხილო, 2016 წელს „ქართული ოცნება“ საქართველოს ხელისუფლებას დატოვებს, – განაცხადა აკაკი მინაშვილმა. (პირველი რადიო)

## „ენერგეტიკის მინისტრი პათოლოგიური მატყუარაა“



„ნაციონალური მოძრაობა“ ენერგეტიკის მინისტრს ტყუილში კიდევ ერთხელ ადანაშაულებს. ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, კალაძემ იცრუა, როცა თქვა, რომ მზადაა, პარლამენტში მივიდეს და ნებისმიერი შეკითხვას უპასუხოს.

– ჩვენ 2 დღის წინ ენერგეტიკის მინისტრ კახა კალაძის განცხადება მოვისმინეთ, რომელიც ამბობს, რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ „ნაციონალურ მოძრაობას“ პარლამენტში მიეწვიოს და მას უარი ეთქვას. სინამდვილეში კი ის ასე ზუსტად 3-ჯერ მოიქცა. ბოლო უარი ენერგეტიკის სამინისტროსგან სწორედ ამ განცხადების შემდეგ მივიღეთ. ეს იმაზე მეტყველებს, რომ მინისტრი პათოლოგიური მატყუარაა. ასევე, მას არ აქვს პასუხი იმ პროცესებზე, რაც მიმდინარეობს. ეს ხელისუფლება არ იცავს ქვეყნის ინტერესებს. დღეს ქვეყანა იმ ვითარებაშია, როცა რუსეთი შანტაჟისა და ულტიმატუმების ენით გვესაუბრება, – განაცხადა წიკლაურმა. (პირველი რადიო)

# როგორც იქნა, დავიდა მერიამდე „ალიას“ რჩევა, რომ სადისტრიბუციო მანქანებს რეგულაციები უნდა დაუწესდეთ



თბილისის მერიაში სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებთან შეხვედრა გაიმართა. სატრანსპორტო მოძრაობის განტვირთვის საკითხზე მსჯელობის მიზნით გამართულ შეხვედრას თბილისის ვიცე-მერი ლაშა აბაშიძე, მერის მოადგილეები, ირაკლი ლექვინაძე, გიორგი ლილუაშვილი, ასევე თბილისის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი, გიორგი გურგენიძე, სუპერმარკეტებისა და ჰიპერმარკეტების წარმომადგენლები და სატრანსპორტო სფეროს ექსპერტები ესწრებოდნენ.

თბილისის მერიის ინფორმაციით, შეხვედრაზე აღინიშნა, რომ საცობების წარმოქმნის თვალსაზრისით სადისტრიბუციო ავტომანქანებს მნიშვნელოვანი პროცენტული წილი უჭირავს. დედაქალაქის მთავრობის წევრებმა სადისტრიბუციო კომპანიების წარმომადგენლებს გააცნეს თავიანთი ხედვა საცობების განტვირთვის მიზნით სადისტრიბუციო ავტომანქანების მოძრაობის განრიგის შესახებ და მათი მოსაზრებები მოისმინეს.

ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, სადისტრიბუციო კომპანიებთან შეხვედრა არის იმ კომპლექსური სქემის ნაწილი, რომელიც თბილისის საცობებისგან განტვირთვას უკავშირდება.

– დღეს ჩვენ შეხვედრა გვქონდა სადისტრიბუციო კომპანიებთან, რომლებსაც ფართო დაფარვის ქსელი აქვთ ქალაქის მასშტაბით. ვიმსჯელეთ იმ საკითხებზე, რომელიც გულისხმობს სადისტრიბუციო მანქანების უკეთ ორგანიზებას და პიკის საათებში რეგულირებას. განვიხილეთ რამდენიმე სამუშაო წინადადება და შევთანხმდით, რომ შემდეგ შეხვედრაზე ჩვენ მათ შევთავაზებთ კონკრეტულ წინადადებას, რომელ ქუჩებზე, დროის რა პერიოდებში შეიძლება განხორციელდეს გარკვეული რეგულაციები იმისთვის, რომ თბილისში გადაადგილება იყოს უფრო კომფორტული, – განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

(businesscontact.ge)

**„ალიამ“ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ირაკლი ლექვინაძესთან დაკავშირება სცადა, თუმცა უშედეგოდ. მომდევნო დღეებში შევეცდებით, გავარკვიოთ, კონკრეტულად რა გეგმები აქვთ ინიციატივის ავტორებს.**

# ავტოგაზის ფასი 1.28 თეთრამდე ჩამოვიდა



## როდის გაიაფდება უფრო მეტად? — „სოკარის“ პასუხი „ალიას“



გელა ზედელაშვილი
555 48-48-61

**თუ მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასების ვარდნა ამ ტემპით გაგრძელდა, საქართველოში გარკვეული დოზით ბენზინის ფასი კიდევ შემცირდება. ბრენდირებულ ბენზინგასამართ სადგურებზე უკვე ჩამოვიდა 1,47 ლარამდე, ხოლო არაბრენდირებულ სადგურებზე — 1,33 ლარამდე. ამან გამოიწვია ის, რომ გაზზე მომუშავე ავტომანქანების მფლობელები ისევ ბენზინს დაუბრუნდნენ და გაზგასამართ სადგურებზე, სადაც რიგები იდგა, კანტიკუნტად თუ შეივლიან მანქანები. ამჟამად გაზის საშუალო ფასი 1 კუბ/მეტრზე 1.30 ლარია, „სოკარი“ ყიდის 1,28 თეთრად. თუკი სულ მალე დადგება დრო და ბევრისთვის უკვე დადგა, რომ აღარ უღირს, გაზზე ამუშაოს თავისი მანქანა, თუკი ბენზინის ფასი გაუთანაბრდება (შეიძლება უფრო გაიაფდეს კიდეც) გაზის ფასს, რას იზამს ამ სფეროს მონოპოლისტი „სოკარი“, არ გააიაფებს იქამდე, რომ შეინარჩუნოს კლიენტურა? საბაზრო ეკონომიკის თანახმად, ასეა, ამ კომპანიამ იმდენად უნდა ჩამოსწიოს ავტოგაზის ფასი, რომ მიუახლოვდეს წინა თვეებისა თუ წინა წლების სხვაობას. მაგალითად, როდესაც 1 ლიტრი ბენზინი ღირდა 2 ლარი, გაზის ფასი — 1 ლარი და 30 თეთრი დიდი შეღავათი იყო, მაგრამ ახლა ზღვარი თითქმის წაიშალა. როგორც „ახალგაზრდა ბიზნესმენთა და ფინანსისტთა ასოციაციის“ წარმომადგენელი, ზურაბ კუკულაძე ამბობს „ალიასთან“ საუბარში, დადგა დრო, „სოკარი“ დაჰყვეს ბიზნესის ელემენტარულ წესებს:**

– ამას მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის ლოგიკა, ნავთობის ფასების ასეთი კატასტროფული ვარდნის შემდეგ უნდა გაიაფდეს გაზიც. ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქართულ ბაზარზე არსებობს ერთადერთი მონოპოლისტი, აზერბაიჯანის სახელმწიფო და მისი შვილობილი კომპანია – „სოკარ ჯორჯია“, რომელიც არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო აირით გვამარაგებს, არამედ საავტომობილო აირითაც. „სოკარს“, ასევე, აქვს მონოპოლია საწვავის ბაზარზეც და დღემდე იჭერდა ორივეს ფასებს, მაგრამ ახლა ნავთობზე იმდენად შემცირდა ფასები, ველარაფერს იზამს.

**— პატიოსანი კონკურენცია რომ იყოს, დღეს ავტოგაზი რამდენი უნდა ღირდეს საქართველოში?**

– ეს უფრო სპეციფიკური პროდუქტია და ასე მასობრივად გამოყენება მსოფლიოში არსად არ ხდება, ძირითადად ბუნებრივი აირი გამოიყენება საყოფაცხოვრებო დანიშნულებით. წესით, ავტოგაზიც ისევე უნდა იაფდებოდეს, როგორც ნავთობი იაფდება, პირდაპირი პროპორციით არა, მაგრამ მაინც მიბმულია. 1000 კუბმეტრი გაზი დღეს ღირს 170 დოლარიც, 200 დოლარიც და 300 დოლარიც, გააჩნია, რა ჯდება ტრანსპორტირება, რა მანძილზე აწვდიან მომხმარებელს. აქ დიდი ხარჯები მიდის ინფრასტრუქტურის მომსახურებაშიც. ერთ მაგალითს მოგიტანთ და ამის შემდეგ გავაკეთოთ დასკვნა: 2014 წლის ზაფხულში გაზგასამართი სადგურების მეპატრონეებმა გამართეს საპროტესტო აქცია. მაშინ გაზის ფასი იყო 290-300 დოლარი. „სოკარმა“ საკუთარ ქსელს გაუიაფა გაზის მიწოდება 270 დოლარამდე, ხოლო კონკურენტებს გაუზარდა 330 დოლარამდე. ასე გააკოტრა კონკურენტი კომპანიები, მათი სადგურები, ბაზარი გადავიდა „სოკარის“ ხელში და ცოტა ხანში თვითონაც გააძვირა გაზი. თუ კონკურენტებთან შედარებით ჰქონდა 20-თეთრიანი სხვაობა, შემდეგ ეს თანხა დაამატა. დღესაც 1000 კუბმეტრი 330-340 დოლარი ღირს, რაც გახლავთ ძალიან დიდი უსამართლობა.

**— მაგალითად, ჩვენ „სოკარი“ ბინებში 1 კუბმეტრ ბუნებრივ აირს გვაწვდის 57 თეთრად, ავტოგასამართის საშუალებით ყიდის 1,28 ლარად, ეს სხვაობა, 71 თეთრი სად ქრება, რას ხმარდება?**

– არა, საყოფაცხოვრებო გაზს კომერციულთან ვერ გავათანაბრებთ. ჩვენ სახლებში გაზს გვაწვდიან სოციალური ტარიფით.

**— რა მნიშვნელობა აქვს, სახლში მომაწვდის თუ მანქანაში ჩამისხამს? 71 თეთრი გამოდის სხვაობა.**

– არა, აქ არ შეიძლება მათემატიკური ლოგიკის გამოყენება, „სოკართან“ სახელმწიფოს აქვს დადებული ხელშეკრულება, რომ საყოფაცხოვრებო ქსელს გაზი მიაწოდოს შედარებით იაფად. ავტოგასამართ სადგურებსა და კომერციულ საწარმოებს დღეს 1000 კუბმეტრი 330 დოლარად მიეწოდებათ. რაც შეეხება საცალო ქსელს, აქ მოქმედებს 190-200 დოლარიანი ფასი. ავტოგაზი ცოტა სხვა ტიპისაა, სხვა წნევა აქვს და სხვა სიმკვრივე.

**— შემადგენლობით განსხვავდება ერთმანეთისგან?**

– არა, ქიმიური შემადგენლობით არ განსხვავდება, გარდა წნევისა და სიმკვრივისა, აქ მარკეტინგიც სხვანაირია. ვინაიდან საყოფაცხოვრებო გაზზე გაცილებით მეტია მოთხოვნა, ვიდრე ავტოგაზზე, ესეც მოქმედებს. ავტოგაზს უფრო მეტი ხარჯი აქვს. საერთოდ, ელემენტარულია, ბაზარზე ფასებს ადგენს კონკურენცია, თუ დღემდე „სოკარს“ არ ჰყავდა კონკურენტი, ახლა გამოუჩნდა ნავთობი. თუ ბენზინი გახდება გაზის ალტერნატივა, რასაკვირველია, ეს კომპანია იძულებული გახდება, გაზი კიდევ გააიაფოს. მით უმეტეს, თუ უახლოეს ხანში ამ ბაზარზე „გაზპრომიც“ შემოვა, რომლის პროდუქციაც შეიძლება უფრო იაფი იყოს, „სოკარი“ ნამდვილად ველარ შეინარჩუნებს მონოპოლიურ მდგომარეობას.

რა თქმა უნდა, ბენზინთან იმ სხვაობით ვერ გაიაფდება, როგორც ადრე იყო, მაგრამ მაინც შეეცდებიან, მომხმარებელი შეინარჩუნონ.

„სოკარში“ დღევანდელ ფასებთან დაკავშირებით ასეთი ლოგიკაა ჩამოყალიბებული: პირველი დამნაშავე ამაში გახლავთ გაუფასურებული ლარი, ხოლო მეორე – დამატებითი ინვესტიციის განხორციელება, რაც ავტოგაზგასამართი სადგურების უსაფრთხო ფუნქციონირებისთვის ტექნიკური აღჭურვისთვისაა საჭირო. „სოკარის“ კორპორაციული ბიზნესის კომუნიკაციის დეპარტამენტის უფროსის, ირაკლი ზუბიტაშვილის თქმით, გაზგასამართი სადგურების შესყიდვა მოხდა საბანკო კრედიტების მეშვეობით და ბუნებრივია, ეს თანხები დასაბრუნებელია. მოკლედ, ვალი გვაქვს და ამიტომ ვერ ვაკლებთო. რაც შეეხება სამომავლო ფასებს და მონოპოლისტობას, ირაკლი ზუბიტაშვილმა გვითხრა, რომ ის ამჟამად თურქეთში იმყოფება და ამაზე დეტალურად საქართველოში დაბრუნების შემდეგ დაგველაპარაკება. თუმცა „სოკარი“ აპირებს, დაიწყოს აქცია და ტალონებით ყიდვის დროს გაზი 9 თეთრით შეამციროს. აქ უკვე აშკარად ჩანს, რომ კომპანია ცდილობს, ბენზინთან შედარებით შეამციროს, მაგრამ ეს ნამდვილად აღარ არის საკმარისი, მძღოლების უმეტესობამ თავისი მანქანა გაზით გააფუჭოს. მოდით, ნუ ვიდავებთ იმაზე, თითქოს ავტომობილი ამ დროს იდეალურად მუშაობს. თავად გაზგასამართი სადგურების მფლობელებიც კი აღიარებენ, რომ უშუალოდ გაზის სისტემაში ე.წ. „რედუქტორები“ და გაზის „ინჟექტორი“ ფუჭდება. თურმე იმიტომ, რომ საქართველოში არსებული გაზი ჭუჭყიანია, ნორმალური ფილტრაციის სისტემა კი ყველას არ უყენია. ამ საქმის გამოსწორება ყოველ ჯერზე 20 ლარი ღირს. ასევე, „რედუქტორი“ და „ინჟექტორი“ ფუჭდება 20 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ. თითქმის წელიწადში ერთხელ საჭიროა ბალონის გამორეცხვა, რათა არ მოხდეს ჭუჭყის დალექვა.

სხვათა შორის, ბოლო დროს ბევრი ლაპარაკობს მეხუთე თაობის ავტოგაზის აპარატურაზე, რომელიც თხევად გაზზე მუშაობს და ფასიც შედარებით მაღალია – თხევადი გაზი ფასით ბენზინს უტოლდება. თუმცა სპეციალისტები ამბობენ, რომ საქართველოში ამჟამად მეხუთე თაობის აპარატურა პრაქტიკულად არ არსებობს და ეს გახლავთ კარგად დახვეწილი მეოთხე თაობის აპარატურა. ვინაიდან ჩვენში თხევადი გაზიც კაი გვარიანადაა დაბინძურებული, დახვეწილი მეოთხე თაობის აპარატურაც ვერ უძლებს და იჭედება. სხვათა შორის, გაზის „მოყვარულები“ ამტკიცებენ, მთლად ისეც არაა, როგორც ლაპარაკობენ, დადებითი ავტოგაზსაც გააჩნიაო: გაზის შემთხვევაში მოტყუება ცოტა ძნელია, ვერაფერს შეურევენ, რას შეურევ 250 ატმოსფერო წნევაზე? გაზის აპარატურას აქვს ონკანი, რომელსაც ცოტათი თუ გადაუჭერთ, გაწევაც დაიკლებს და გაზის წვაც, ფასში მოგებამ შეიძლება 50% შეადგინოს. გაზი ზეთს არ აშავებს, ვინაიდან აბსოლუტურად სუფთაა, თუ ზეთი მაინც გაშავდა მალევე, ძრავს ჰქონია პრობლემა. რა ნაგავი ბენზინიც საქართველოში შემოდის, მაგას ისევ გაზი სჯობსო.

კი, ბატონო, სადაც არსებობს უარყოფითი, შეიძლება არსებობდეს დადებითიც, მაგრამ ისიც აქსიომაა, თუ ავტომობილი ქარხნიდან გამოდის ბენზინზე მომუშავე, სჯობს, ბოლომდე იმუშაოს ქარხნული წესით. ჩვენ ვბჭობთ, მაგრამ, როგორც „ვისოლის“ გენერალური დირექტორი, ვასილ ხორავა აცხადებს „ალიასთან“, უახლოეს ხანში არ იგეგმება ავტოგაზის ფასების შემცირება. ყოველ შემთხვევაში, ეს დამოკიდებულია მომწოდებელზე (ისევ „სოკარზე“), თუ მნიშვნელოვნად არ შეამცირა ამ კომპანიამ, ვერც „ვისოლი“ გააიაფებს. ასე რომ, არჩევანი თქვენზეა, გნებავთ, დაუბრუნდით ბენზინს, გნებავთ – დარჩით გაზზე, ჯერჯერობით ცოტაოდენი შეღავათი კიდევ არსებობს.

**„ამას მოითხოვს საბაზრო ეკონომიკის ლოგიკა, ნავთობის ფასების ასეთი კატასტროფული ვარდნის შემდეგ უნდა გაიაფდეს გაზიც. ეს აქამდეც უნდა მომხდარიყო, მაგრამ ქართულ ბაზარზე არსებობს ერთადერთი მონოპოლისტი, აზერბაიჯანის სახელმწიფო და მისი შვილობილი კომპანია – „სოკარ ჯორჯია“, რომელიც არა მხოლოდ საყოფაცხოვრებო აირით გვამარაგებს, არამედ საავტომობილო აირითაც“**

# ტყემალაძემ — ეროვნულ ბანკს სწორი პოლიტიკა ჰქონდაო... მაგრამ ქადაგიძეს მაინც „კბენს“



– ეროვნულ ბანკს სწორი პოლიტიკა ჰქონდა, – ასე უპასუხა ზურაბ ტყემალაძემ კითხვას: ჰქონდა თუ არა ეროვნულ ბანკს სწორი პოლიტიკა ინფლაციური პროცესების მართვისას.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის განცხადებით, მიუხედავად გაუფასურებისა, რეგიონში ყველაზე სტაბილური ეროვნული ვალუტა მაინც ლარია. უმრავლესობის დეპუტატი ამბობს, რომ მასაც აქვს კრედიტი დოლარში აღებული, მაგრამ ეს ბიზნესრისკფაქტორს წარმოადგენს.

– მიუხედავად დევალვაციისა, ლარი რეგიონში მაინც ყველაზე სტაბილური იყო. ლარის გაუფასურებას იწვევს არა გაცვლითი კურსი, არამედ ფასების ზრდა. 10 ლარით თუ შემიძლია, იგივე ვიყიდო, რასაც 1-2 წლის წინათ ვყიდულობდი, ესე იგი ჩემთვის ლარი არ გაუფასურებულა. მეც მაქვს დოლარში კრედიტი აღებული, ეს ცუდი სწორედ იმისთვისაა, ვისაც შემოსავალი ლარში აქვს, კრედიტი კი – დოლარში. ვისაც შემოსავალი ლარში აქვს, და კრედიტიც ლარში აქვს, მისთვის ნაკლებად პრობლემურია, – განაცხადა ტყემალაძემ.

რაც შეეხება გიორგი ქადაგიძეს, ტყემალაძის თქმით, „ახლა მიდის და ბოლოს უნდა კუდი მოიქნიოს და რაღაც განცხადებები გააკეთოს“.

ზურაბ ტყემალაძის თქმით, ანგარიშის მოსმენა რამდენჯერმე როგორც გიორგი ქადაგიძის, ისე პარლამენტის მიზეზით გადაიდო. უმრავლესობის დეპუტატი მიიჩნევს, რომ პარლამენტმა ეროვნული ბანკის ანგარიშს უნდა მოუსმინოს, მაგრამ ეს არის საბჭოს ანგარიში და არა პრეზიდენტის.

– მე პრობლემა არ მაქვს, სიამოვნებით მოვუსმენ, მაგრამ ახლა მიდის და ბოლოს უნდა კუდი მოიქნიოს და რაღაც განცხადებები გააკეთოს, არ არის სწორი. მოვიდეს, სიამოვნებით... გააკეთებს განცხადებას, კითხვებსაც დაუსვამენ, მიიღებს პასუხს. რაც უნდა ის ილაპარაკოს, რა პრობლემაა, – განაცხადა ტყემალაძემ.

(businesscontact.ge)

# ახლა ხომ ჰყავს ქვეყანას გაწონასწორებული ზეპრემიერი, ახლა მაინც გაანძრიოს მთავრობამ ერთი ადგილი და ეროვნულ ბანკთან ერთად ლარი გადაარჩინოს, თორემ დაგვექცევათ ქვეყანა თავზე!

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ლარის ახალი, ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა, რომლის მიხედვითაც 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 22 იანვრისთვის 2,4445 ლარი იქნება. აქამდე მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით, 1 აშშ დოლარი 2,4317 ლარს შეადგენდა. დოლართან მიმართებაში ლარი 0,0128-ით გაუფასურდა.

სებ-ის კურსით, 1 ევროს შეძენა 2,6635 ლარად იქნება შესაძლებელი. აქამდე მოქმედი კურსი 2,6583 ლარს შეადგენდა. ლარი ევროსთან მიმართებაში 0,0052-ით გაუფასურდა.

კომერციულ ბანკებში დოლარისა და ევროს ფასი ოფიციალური კურსისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება:

„საქართველოს ბანკში" 1 აშშ დოლარი 2,485 ლარი ღირს, ევროს შეძენა კი 2,725 ლარად არის შესაძლებელი.

„თიბისი ბანკში" 1 აშშ დოლარის ფასი 2,4850 ლარია, 1 ევრო კი 2,7310 ლარი ღირს.

„ლიბერთი ბანკის" მონაცემებით 1 აშშ დოლარი – 2,4800, ხოლო 1 ევრო 2,7330 ლარი ღირს.

„ვითიბი ბანკში" 1 აშშ დოლარის შეძენა – 2,4750-ად, ხოლო 1 ევროს 2,7250 ლარად არის შესაძლებელი. (ნიუპოსტი)

# გრიპისმაგვარი დაავადებით შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა



ინგოროყვას კლინიკაში შუახნის მამაკაცი გარდაიცვალა. თუმცა ლაბორატორიული გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, მას **H1N1** ვირუსი არ დაუდგინდა.

სპეციალისტების თქმით, იგი გრიპისმაგვარი დაავადებით გარდაიცვალა.

შეგახსენებთ, ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში ე.წ. ღორის გრიპის ვირუსით ქალბატონი გარდაიცვალა. იმავე სიმპტომებით საავადმყოფოში მოთავსებულია 59 წლის მამაკაცი.

საქართველოში **H1N1** ვირუსით უკვე სამი ადამიანია გარდაცვლილი. (ნიუპოსტი)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



# მორიგი ცვლილებები თბილისის მერიაში

## ვის და რის გამო დაატოვებინებენ თანამდებობას



**მონიტორინგის ცენტრი „მედიატორი" ადგილობრივ თვითმმართველობაში მოსალოდნელ ახალი საკადრო ცვლილებების ტალღასა და იმ ტენდერებზე საუბრობს, რომლებიც სულ ახლახან გამოცხადდა, დედაქალაქის პრობლემებს არ პასუხობს და კორუფციის სერიოზული წყაროა.**

**„ალიას" „მედიატორის" დამფუძნებელი, ლევან ხაბეიშვილი ესაუბრა:**

– მინდა გესაუბროთ იმ ტენდერებთან დაკავშირებით, რომლებიც მერიამ ეს-ესაა გამოაცხადა. თბილისის მერია კვლავ აგრძელებს იმ ტენდენციას, რომელიც მან 2015 წელს აირჩია. საუბარია კორუფციულ გარიგებებსა და იმ საკითხების იგნორირებაზე, რა საჭიროებებიც დღეს რეალურად აქვს ქალაქს. მერია კვლავ გეგმავს ძალიან დიდი თანხების ფლანგვას. აცხადებს ისეთ ტენდერებს, რომელთა ღირებულებაც რეალობასთან ძალიან დაშორებულია.

**— რა ტენდერებზე საუბრობთ?**

– 530-ათასლარიანი ტენდერი აქვს გამოცხადებული იმისთვის, რომ მიმდინარე წელს მშვიდობის ხიდი იყოს განათებული. გადავამოწმეთ გარკვეული საკითხები და ნათლად იკვეთება, რომ ნამდვილად არ არის საჭირო წელიწადში ნახევარი მილიონი იმისთვის, რომ მშვიდობის ხიდი იყოს განათებული. ასევე, ტენდერია გამოცხადებული იმისთვის, რომ ეს ხიდი დალაგდეს მთელი წლის განმავლობაში, 60 ათასი ლარის ტენდერია გამოცხადებული. ამ საკითხს აუცილებლად გავაკონტროლებთ და ვნახავთ, რა კეთდება ამ ხიდზე 60 ათასი ლარის. გაურკვეველია, რა უნდა გააკეთონ ამ თანხის საფასურად. თუ 60 ათასი უნდა დაიხარჯოს წელიწადში, გამოდის, რომ თვეში იხარჯება 5-6 ათასი ლარი. დასუფთავების თანამშრომელი თვეში 500 ლარზე მეტს არ იღებს, მაგრამ მთელ ქალაქს ალაგებს. ამიტომაც არის გაურკვეველი, რამდენი ადამიანი უნდა დაასაქმონ და რამდენი უნდა გადაუხადონ ამ მათ.

ასევე, გამოცხადებულია სხვადასხვა სახის ტენდერები, რომლითაც ძალიან მარტივად შეიძლება ფულის კეთება. ასეთია გმირთა მოედნის ტერიტორიაზე მდებარე მემორიალის ტერიტორიის დასუფთავება-მოწესრიგება. ეს ტერიტორია ერთი თვის მანძილზე რომ იყოს დასუფთავებული, ამისთვის 370 ათასი ლარის ტენდერია გამოცხადებული.

ეს სამი ტენდერი, რომელიც დაგვა-დასუფთავებას ეხება, შეადგენს დაახლოებით ერთ მილიონ ლარს. ასევე, ერთი საინტერესო ტენდერია გამოცხადებული: საუბარია ვანდალიზმის შედეგად დაზიანებული ფასადების გათეთრებაზე, რისთვისაც 99 ათასი ლარის ტენდერია გამოცხადებული. თანაც, სატენდერო დოკუმენტები ისეა შედგენილი, რომ კონკრეტული მისამართები არ არის მითითებული. შესაბამისად, შეუძლებელია მონიტორინგის წარმოება. არც ერთი თანხა, რომელიც ზემოთ დავასახელე, არანაირად არ შეესაბამება ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობას. არსებობს დასუფთავების სამსახური, რომელიც ამ ფუნქციას ასრულებს.

**— ვინ არის ამ შემთხვევაში დაინტერესებული მხარე, ვინ ხეირობს ასეთი ტენდერებით?**

– თბილისის მერიის კეთილმოწყობის სამსახური, რომელსაც ეს ტენდერი აქვს გამოცხადებული. ასევე, საგულისხმოა ის, რომ ინფრასტრუქტურული პროექტები დაკავშირებულია ლაშა აბაშიძესთან, რომელიც გახლავთ მერის მოადგილე, ჩვენ დავით ნარმანიასთან აღარ გვაქვს კითხვები იმიტომ, რომ ყველა დავრწმუნდით ერთ რამეში – ეს ადამიანი მერიაში არაფერს წყვეტს. ლაშა აბაშიძე გახდა ცენტრალური ფიგურა ნარმანიას სისუსტის გამო. დღეს გადაწყვეტილებას იღებს ლაშა აბაშიძე, დარტყმებს კი – დავით ნარმანია.

ინფრასტრუქტურის მიმართულებით ერთი ძალიან საინტერესო რამ ხდება – ყოფილი ხელისუფლების დროს ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ დაგებული გზები იყო უხარისხო, დღეს კი რა ხდება, მოკლედ გეტყვით: ამობენ, რომ გზას 5-10-წლიანი გარანტია უნდა ჰქონოდა, დღეს დედაქალაქის მერია რა ტენდერებსაც აცხადებს გზების დაგებასთან დაკავშირებით, ყველა სატენდერო დოკუმენტთა სიაში საგარანტიო ვადა არის ორი წელი. ძალიან ცოტა სატენდერო დოკუმენტი მოიძებნება, სადაც საუბარია სამ წელზე. როცა ორსამ წელს აძლევ საგარანტიო ვადას, რეალურად როგორ გაკეთდება, ალბათ, წარმოგიდგენიათ. ესეც ერთგვარი კორუფციის წყაროა.

**— ამ ფაქტების გასაჯაროების შემდეგ რაიმე შედეგს ელით, თუ რა არის ამის მიზანი?**

– დიდი ალბათობით ამის გასაჯაროების შემდეგ დაინტერესდებიან დეტალებით, აბაშიძემ და სუს-მა ხომ ვერ იკმარა მერიაში, ახლა ლელუაშვილი გაგზავნეს, დაინტერესდეს, რაში რა თანხები იფლანგება. ეს ტენდერები ცხადდება იმ პირობებში, როდესაც 2015 წელს დედაქალაქის 7 გამგეობაში შევიდა 128 ათასზე მეტი განცხადება. ათივე რაიონის მონაცემები იმიტომ არ გვაქვს, რომ ყველამ არ მოგვცა მონაცემები. ამ განცხადებებიდან 54 ათასზე მეტი ეხებოდა მედიკამენტებს, ოპერაციებს, გამოკვლევებსა და სოციალურ მიმართულებებს, ანუ განცხადებების 40 პროცენტი გამგეობებში მიმართვიანობის არის სოციალური მიმართულების, დედაქალაქი იმდენად გაჭირვებულია, რომ თბილისის მერია ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს ქვეუწყება გახდა. ეს იმაზე მიანიშნებს, რა საჭიროებები დგას დედაქალაქის საზოგადოებაში, ამ დროს მილიონები იხარჯება განათებებში, დასუფთავებაში და შეკეთებებში, რაც, თავის მხრივ, ბევრ კითხვის ნიშანს ტოვებს. აქვე მინდა დავამატო ერთი რამ, გამგეობებს რთული ვითარება აქვთ ბიუჯეტის ათვისების მხრივაც. ყველა გამგეობას, საშუალოდ, 100 ათას ლარზე მეტი დარჩა აუთვისებელი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სანდო ინფორმაციით, 8900-ზე მეტ ადამიანს უთხრეს უარი მედიკამენტებზე, ოპერაციებსა და გამოკვლევებზე. რა დააშავა ამ ხალხმა, ამ ხალხისთვის ხომ შვება იქნებოდა მედიკამენტები და ოპერაციები, გამოკვლევები, მაგრამ მათ უარი ეთქვათ და წლის ბოლოს ამხელა თანხა დარჩა აუთვისებელი. ამ უნიათობის გამო ხელისუფლება საგონებელშია ჩავარდნილი და შესაბამისად, იგეგმება საკადრო ცვლილებების ახალი ტალღა.

**— კონკრეტულად იცით, რა ცვლილებებს აპირებენ?**

– განხორციელებულ საკადრო ცვლილებებზე ჩვენ ძალიან ბევრი ვისაუბრეთ, ჩვენი ყველა განცხადება ერთიერთში ახდა. მინდა გითხრათ, რომ საკადრო ცვლილებები სოლომონიათი არ დასრულებულა. „ქართულ ოცნებაში" მიღებულია გადაწყვეტილება, რომ გამგებლები მათ რაიონებში იქნებიან საარჩევნო კანდიდატები. ამ მიმართულებით გვაქვს ინფორმაცია, რომ არ გაუმართლებს სამგორის გამგებელს მამუკა ჩოქურს, რომლის პოლიტიკური პატრონიც შიხიაშვილია, შიხიაშვილის პატრონი ჯანყარაშვილია, ხოლო ჯანყარაშვილის – ღარიბაშვილი. ეს ფლანგი დასუსტებულია, შესაბამისად, ყველასთვის გასაგებია, რა ბედი ელის ჩოქურს. მით უმეტეს, ეს ადამიანი დიდ სკანდალებშია გახვეული. მასთან დაკავშირებული საქმეები პროკურატურაშიც არის შეტანილი. შესაბამისად, ამ ადამიანს ჩაანაცვლებენ ისეთი კადრით, რომელიც შემდეგ არჩევნებზე იქნება კანდიდატი. ასევე, ცვლილებები იგეგმება კრწანისის გამგებელთან მიმართებაში, ეს ცვლილებები კი განხორციელდება ერთდროულად, რომ პოლიტიკურად ქაოსი არ შეიქმნას. ასევე, საუბარია გლდანის გამგებელზეც. ეს სამივე კანდიდატი ერთი პოლიტიკური პატრონის ქვეშ არიან მოქცეული.

**— როდის ელით ამ ცვლილებებს?**

– ეს მოხდება თებერვლის ბოლოს, დრო აღარ რჩებათ იმიტომ, რომ უკვე იწყება საარჩევნო კამპანია. ამათ კი სჭირდებათ, რომ რაიონში გამოაჩინონ ეს ადამიანი, გააცნონ ხალხს, რომ შემდეგ ისინი საარჩევნო პროცესებში ჩართონ. ასევე, ცვლილებები იგეგმება ბაღების მართვის სააგენტოსთან მიმართებაში. იგეგმება თემურ თორდინავას ამ სისტემიდან ჩამოშორება. ამ ადამიანმა თავისი შესაძლებლობები ამოწურა. ვგულისხმობ იმას, რომ ზედმიწევნით შეასრულოს სხვისი დავალებები, უამრავი ადამიანი გაათავისუფლა სამსახურებიდან. შესაბამისად, მივიდნენ დასკვნამდე, რომ თორდინავა საჭირო აღარ არის. ჩვენი ინფორმაციით, უკვე ფინანსურია შესული ბაღების მართვის სააგენტოში ტენდერებთან დაკავშირებით. გახმაურდა, რომ ყველა ტენდერი ისეთ კომპანიებს აქვთ მოგებული, რომლებსაც არანაირი გამოცდილება არ ჰქონდათ, შესაბამისად, საგამოძიებო უწყებებს გაუჩნდათ მათთან კითხვები.

ასევე, სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი, გელა ჩივიაშვილი დატოვებს მალე თანამდებობას. ეს არის სამსახური, რომელსაც აქვს დიდი ფინანსები, შესაბამისად, სჭირდება კარგი ხელი, რისთვისაც ჩივიაშვილი არ გამოადგებათ. მოკლედ, თებერვალში ველოდებით საკადრო ცვლილებების დიდ ტალღას, ოთხი გამგებელი, ერთი საქალაქო სამსახურის უფროსი და ბაღების მართვის სააგენტოს ხელმძღვანელი თანამდებობებს დატოვებენ.

**„ყველა გამგეობას, საშუალოდ, 100 ათას ლარზე მეტი დარჩა აუთვისებელი. ეს მოხდა მაშინ, როდესაც სანდო ინფორმაციით, 8900-ზე მეტ ადამიანს უთხრეს უარი მედიკამენტებზე, ოპერაციებსა და გამოკვლევებზე. რა დააშავა ამ ხალხმა, ამ ხალხისთვის ხომ შვება იქნებოდა მედიკამენტები და ოპერაციები, გამოკვლევები, მაგრამ მათ უარი ეთქვათ და წლის ბოლოს ამხელა თანხა დარჩა აუთვისებელი. ამ უნიათობის გამო ხელისუფლება საგონებელშია ჩავარდნილი"**

# „აქ საიდუმლო არაფერია, საჯაროდ ვამბობ, რომ..." — პუტინის პირველი აღიარება აგვისტოს ომზე

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე აგვისტოს ომთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

– გეგმა არსებობდა, ეს საიდუმლო არ არის, ამაზე ადრეც მისაუბრია საჯაროდ. სწორედ ამ გეგმის მიხედვით მოქმედებდა რუსული მხარე. გეგმა მომზადებული იყო გენერალური შტაბის მიერ 2006 წლის ბოლოსა და 2007 წლის დასაწყისში. ეს გეგმა შეთანხმებული იყო ჩემთან და დამტკიცებული იყო ჩემ მიერ.

უფრო მეტიც, ამ გეგმის ფარგლებში მიმდინარეობდა სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი მებრძოლების მზადებაც. ჩვენი სპეციალისტები მიიჩნევდნენ, რომ ეს უშედეგო იყო, რადგან ნებისმიერი ქვეყნისა და მათ შორის საქართველოს რეგულარული არმიისთვის წინააღმდეგობის გაწევა ძალიან რთულია, მაგრამ ეს ადამიანები ძალიან მამაცები აღმოჩნდნენ და გმირულად იცავდნენ საკუთარ სამშობლოს, ბრძოლა სამი დღე-ღამის განმავლობაში გაგრძელდა.

ამის შემდეგ რუსული არმია მივიდა, გეგმის ფარგლებში მობილიზებული იყო ტექნიკა. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, აქ საიდუმლო არაფერია, ადრეც მითქვამს ეს ყველაფერი.

რაც შეეხება სატელეფონო ზარებს, მე ამ პერიოდში ვესაუბრე დიმიტრი ანატოლიჩსაც და თავდაცვის მინისტრსაც და ჩვენ განვიხილავდით გეგმებს, – განაცხადა პუტინმა. (droni.ge)

# თბილისის ყველაზე პატარა მეეზოვე — 3 წლის ბიჭი ქალაქს ოჯახთან ერთად ასუფთავებს



ყოველდღე, დილის 7 საათზე, კასპის რაიონის სოფელ ხიდისყურიდან თბილისში სამუშაოდ ოჯახის 5 წევრი ჩამოდის. ცოლ-ქმარი, მათი ორი ვაჟი და ოჯახის ყველაზე პატარა წევრი – 3 წლის სოინა.

ასკარკიზების დილა გამთენიისას, 05:00 საათზე იწყება, თბილისში უკვე 07:00 საათზე არიან და დედაქალაქის დასუფთავებას იწყებენ. მამას, ბიძასა და ბებია-ბაბუას პატარა სოინა არაფრით ჩამოუვარდება, მათსავით გვის და ასუფთავებს ქალაქს. თბილისის ყველაზე პატარა მეეზოვეს ფორმა ბებომ მამის ძველი ფორმისგან შეუკერა, რადგან მისი ასაკისთვის განსაზღვრული სამოსი, რა თქმა უნდა არ არსებობდა.

ოჯახი მუშაობას დღის 12 საათზე ასრულებს და ისევ კასპში ბრუნდება... (mshoblebi.ge)

# „ხადური გეგმას ვერ ასრულებს, ის მხოლოდ ჩვენს მიერ შეტანილ ფულს ითვლის“



– საქართველოს ისეთი პროფესიონალი პრემიერი ჰყავს, როგორიც არასოდეს ჰყოლია, – ამის შესახებ „კოკა-კოლას“ პრეზიდენტი თემურ ჭყონია აცხადებს და აღნიშნავს, რომ კვირიკაშვილს სწორი კანონმდებლობის შექმნით შეუძლია ქართული ეკონომიკა განვითარების გზაზე დააყენოს. თემურ ჭყონია მიიჩნევს, რომ ზოგადად, ეკონომიკას თანმიმდევრული პოლიტიკური გადაწყვეტილებები სჭირდება, თუმცა არ იცის, რა გამოცდილება აქვთ იმ ადამიანებს, რომლებიც დღეს პარლამენტში კანონმდებლობას წერენ.

– ერთი კანონი მეორეს უნდა უწყობდეს ხელს, მაგრამ არ ვიცი, რა გამოცდილება აქვთ, ან რა იციან ბიზნესზე იმ ადამიანებმა, რომლებიც დღეს პარლამენტში კანონმდებლობას წერენ? ეს ხალხი ბიზნესის განვითარებაზე ისე თავდაჯერებულად საუბრობს, თითქოს ბავშვობიდან ამ საქმეშია ჩართული. რეალურად კი, მათ განცხადებებში მხოლოდ ზერელე დამოკიდებულება იკითხება. სწორედ ამიტომ ვამბობ, ესტონეთის ეკონომიკურ მოდელთან ერთად, პოლიტიკურ სტილზე ჩამოყალიბებაც გვჭირდება. ვიღაცები შემომედავებიან, ჩვენ ხომ ქართული ტრადიციები გვაქვსო, არადა, დღემდე ვერავინ ამიხსნა, რა არის ქართული ტრადიცია. კვირიკაშვილი კი სერიოზულ განცხადებებს აკეთებს და კონკრეტულ შედეგზეა ორიენტირებული, – აცხადებს ჭყონია. რაც შეეხება რამდენიმე დღის წინ მთავრობის ადმინისტრაციაში გიორგი კვირიკაშვილისა და ბიზნესმენებს შორის გამართულ შეხვედრას, თემურ ჭყონია აცხადებს, რომ ის არავის მიუწვევია და არც მსგავსი შეხვედრების მომხრეა.

– იქ მხოლოდ ერთმანეთს ვეპრანჭებით. ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზეც იმდენი ადამიანი მოვიდა – თქვენ გვერდით ვართო, ხალხი ფეხზე იდგა. ესეც მხოლოდ მლიქვნელობის დემონსტრირება გახლდათ და არა საქმიანი შეხვედრა. საერთოდ, მლიქვნელობა საქართველოს ყველაზე დიდი ავადმყოფობაა. რატომ არ შეიძლება საქართველოში ბიუჯეტის შემვსებ ბიზნესმენებს თუნდაც ფინანსთა მინისტრი სათითაოდ შეხვდეს? ნოდარ ხადური ხშირად იბრალებს – ბიუჯეტი შევასრულეთო, მაგრამ ბიზნესმენებზე არასოდეს არაფერს ამბობს. ქართულმა ბიზნესმა იმუშავა პატიოსნად და ბიუჯეტი შენ როგორ შეავსე? ხადური გეგმას ვერ ასრულებს, ის მხოლოდ ჩვენ მიერ შეტანილ ფულს ითვლის, – აცხადებს ჭყონია. (bpn.ge)

# „პირველ აქციაზე 900 მანქანა გამოვიყვანეთ... მინიმუმ, ხუთჯერ 900 ავტომობილს გამოვიყვანთ“

## მარჯვენასაჭიანების აკრძალვას პრემიერი კვირიკაშვილი გადაყვება?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



ხელისუფლება აქციების და ხალხის პროტესტის მიუხედავად, კვლავ ჯიუტად აპირებს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვას. შსს-ს მიერ მომზადებული კანონპროექტი, რომელიც ამას ითვალისწინებს, სრულიად უარგუმენტოა. გუშინ, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის სხდომაზე შს მინისტრის მოადგილეს, კანონპროექტის ერთ-ერთ ავტორს, შალვა ხუციშვილს მოუსმინეს და საბოლოოდ, კანონპროექტს კენჭიც უყარეს. ხუციშვილის გამოსვლამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვას ერთადერთი მიზანი აქვს – საცობებისგან განტვირთოს ქალაქი, ყველა სხვა მიზეზი კი, რითიც შსს აპელირებს, თითიდან გამოწოვილია.

სხვათა შორის, თავად შალვა ხუციშვილმა აღიარა, მარჯვენასაჭიანების აკრძალვა იმიტომ გვინდა, რომ ჭარბად შემოვიდა და მოძრაობას აფერხებსო. გამოდის, ხელისუფლება ამ პრობლემას ვერ აგვარებს, არც პერსპექტივაში გააჩნია მისი მოგვარების გზები და ამ აკრძალვით სურს საცობებისგან თბილისის განტვირთვა.





> „ვეცდებით, ჩვენი არგუმენტებით დავარწმუნოთ, რომ კანონპროექტიდან ამოიღოს შსს-მ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვა. თუ ეს ვერ შევძელით, თუ კანონი ამ სახით მიიღეს, ჩვენ არ გავჩერდებით, აქციებს გავაგრძელებთ, მინიმუმ, ხუთჯერ 900 ავტომობილს გამოვიყვანთ და ამ აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება“

შალვა ხუციშვილი იმასაც უმტკიცებდა დეპუტატებს, მარჯვენასაჭიანი ავტომობილები პოლონეთსა და ლიტვაში აიკრძალაო, მაგრამ იქვე შეახსენეს, რომ ამის გამო, სტრასბურგის ადამიანის უფლებათა სასამართლოში უჩივლეს თავიანთი ქვეყნის მთავრობებს, ეს პროცესები მოიგეს და კანონი გაუქმებულად გამოცხადდა. ან ევროსასამართლო რად უნდა იმას, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილი არ უნდა იკრძალებოდეს? კონსტიტუციით საქართველოს მოქალაქეებს კერძო ქონების ხელშეუხებლობის გარანტია აქვთ და მასში მარჯვენასაჭიანი ავტომობილებიც იგულისხმება. შესაბამისად, მისი აკრძალვაც არაკონსტიტუციურია. შსს-მ თავისი რომც გაიტანოს, საპარლამენტო უმრავლესობამ მისი მოთხოვნა კანონადაც რომ აქციოს და აკრძალოს მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, ეს მაინც ვერ იქნება მთავრობის ხალხზე გამარჯვება. მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელები და მათი მხარდამჭერი არასამთავრობოები, საკონსტიტუციო სასამართლოში უჩივლებენ პარლამენტს და მიღებული კანონის მოქმედება შეჩერდება. უკიდურეს შემთხვევაში, ეს ხალხი ევროსასამართლოს მიმართავს და წარმოუდგენელია, ევროსასამართლომ არ გაითვალისწინოს პოლონეთისა და ლიტვის პრეცედენტები და საქართველოშიც ადამიანის უფლების დარღვევად არ აღიაროს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა, შესაბამისად, მათი ფლობის უფლება დაუბრუნდება ხალხს. მოკლედ, შსს-ს ეს ინიციატივა განწირულია, შესაძლოა, პარლამენტმა მთავრობას კოჭი გაუგოროს და მარჯვენასაჭიანები აკრძალოს, მაგრამ დროებით. საკონსტიტუციო ან ევროსასამართლოს მეშვეობით, ხალხი დაიბრუნებს ამგვარი ავტომობილების ფლობის უფლებას. მთავრობა წინასწარ წაგებულ თამაშში ჩაება ხალხის წინააღმდეგ.

ავტომობილების აკრძალვის ერთ-ერთ მიზეზად ისიც სახელდება, რომ მარჯვენასაჭიანების გამო უფრო ხშირად ხდება ავტოავარიებიო. როგორც „ალია“ ვარაუდობდა, შალვა ხუციშვილმა ვერც ამჯერად წარმოადგინა სტატისტიკა, რომელიც დაადასტურებდა, რომ ავტოსაგზაო შემთხვევების უმეტესი პროცენტი მარჯვენასაჭიანებზე მოდის. ასეთი კვლევა შსს-ს არ ჩაუტარებია და ცხადია, არც სტატისტიკა ექნებოდა. შალვა ხუციშვილმა კანადისა და სხვა ქვეყნების მაგალითი მოიყვანა, ამ ქვეყნებში ჩატარდა ანალოგიური კვლევა და დადასტურდა, რომ ავარიების დიდი წილი მარჯვენასაჭიანებზე მოდისო. აქაც გაიჭედა პატივცემული მინისტრის მოადგილე. აღმოჩნდა, რომ ეს იყო არა ამ ქვეყნების შესაბამისი სამსახურების ოფიციალური კვლევები, არამედ კონკრეტული მეცნიერის გამოკვლევა, კაცმა არ იცის, რა სტატისტიკაზე დაფუძნებული, რაც, ცხადია, არგუმენტად ვერ გამოდგება. როცა შსს მარჯვენასაჭიანების მიერ ავტოავარიების სიხშირეზე აპელირებს და აკრძალვას მოითხოვს, კრინტს არ ძრავენ იმაზე, რომ საჭის მარცხნივ გადატანა სავალდებულო გახდეს და პრობლემაც მოგვარდება, ჯარიმებსაც იხდის. კი მაგრამ, რატომ უნდა მოვიცადო 3 თვე და მართვის მოწმობის ჩამორთმევიდან მეორე დღესვე რატომ არ უნდა გავიდე გამოცდაზე? 3 თვე „ლიშენიას“ მაძლევ, ჯარიმასაც მახდევინებ, გამოდის, ერთი დანაშაულისთვის ორმაგად მსჯი. მაშინ ჯარიმას ნუ მახდევინებ, „პრავის“ 3 თვით ჩამორთმევა სასჯელად ჩამითვალე და გამოცდაზე ნულარ გამიყვან. ახლა მთავარი. მართვის მოწმობაჩამორთმეულ მძღოლს 3 თვის შემდეგ იმიტომ ეძლევა გამოცდაზე გასვლის უფლება, რომ 3 თვე გარანტირებულად მანქანით ვერ იმოძრავებს, ასეთი დაჯარიმებული მძღოლი კი ათასობით და მაგრამ – არა ჩვენს გაქსუებულ ჩინოვნიკებს აღიზიანებთ, ჩვენი ფულით ნაყიდი ჯიპებით საცობებში დგომა, ამის გამო რიგით მოქალაქეს იაფი, მაგრამ ხარისხიანი მანქანების ყიდვას უკრძალავენ. თქვე კაი ხალხო, გასაგებია, თბილისში საცობებია, მაგრამ რაიონებისგან რაღა გინდათ, იქაც საცობებია? სტატისტიკა თქვენ არ გაგაჩნიათ, ვერ ასაბუთებთ, რომ მარჯვენასაჭიანი მანქანების გამო ხდება ავარიები და ამ გასაცოდავებულ ხალხს რას ერჩით?

შსს მარჯვენასაჭიანი მანქანების შემოყვანის აკრძალვის პარალელურად, იმავე კანონპროექტით, მოითხოვს, შეღავათიანი საბაჟო-საგადასახადო რეჟიმი დაუწესდეთ იმპორტირებულ მოპედებსა და ველოსიპედებს. შე დალოცვილო, ლოგიკა სად არის? მოპედები და ველოსიპედები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების აქილევსის ქუსლია, ყველა ქვეყანაში სტატისტიკით დადასტურებულია, რომ მათი მიზეზით ძალიან ხშირად ხდება ავტოსაგზაო შემთხვევები, ამ „მოსიარულე კუბოების“ იმპორტს ახალისებ და მარჯვენასაჭიან ავტომობილებს კრძალავ? რა შემთხვევაში უფროა დაცული ადამიანი, მანქანაში თუ ველოსიპედსა მოტოციკლზე?

ვიმეორებ, თბილისის გარდა, საქართველოს არც ერთ ქალაქში საცობების პრობლემა არ არსებობს და ამ კანონსაც თბილისის საცობებისგან განსატვირთად რომ იღებენ, ამას, სავარაუდოდ, ერთი ფაქტიც ადასტურებს. შსს-ს კანონპროექტით, მართვის მოწმობაზე ვისაც 100 ქულა ამოეწურება, მან 3 თვის შემდეგ უნდა ჩააბაროს მოწმობის ხელახლა ასაღებად გამოცდა. ამასთანავე, შესაძლოა, მეტიც იყოს. ცხადია, ამდენი ავტომობილის გაჩერება ქალაქში საცობების პრობლემას წაეშველება. თანაც ამას მუდმივი ხასიათი ექნება, ვიღაცა თუ 3 თვის შემდეგ ჩააბარებს გამოცდას და დაიბრუნებს „პრავას“, ამასობაში სხვას ამოეწურება 100 ქულა „პრავაზე“ და ის გააჩერებს ავტომობილს იძულების წესით. მოკლედ, ყველაფერი თბილისურ თარგზეა მოჭრილი და ადექით, რა, ბარემ და თქვით, რომ მარჯვენასაჭიანების აკრძალვაც, „პრავაჩამორთმეულებისთვის“ 3 თვის შემდეგ გამოცდაზე გასვლაც, თბილისის საცობებისგან განტვირთვისთვის კეთდება. არა. რას ერჩით, თბილისის გარდა, დანარჩენს საქართველოში იმ ხალხს, ვისაც მარჯვენასაჭიანი ავტომობილები ჰყავთ? თბილისის ინტერესებს მთელი საქართველოს ინტერესებს რატომ ანაცვალებთ (სხვათა შორის, ქულათა ამოწურვის შემდეგ, მართვის მოწმობაჩამორთმეული მძღოლის დაუყოვნებლივ გამოცდაზე გასვლის მომხრე, დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის თავმჯდომარე, ზურაბ ტყემალაძეა და ეს პოზიცია მან გუშინაც დააფიქსირა.)?

ხელისუფლების ამ სრულიად გაუმართლებელ ინიციატივასთან შეგუებას არ აპირებენ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელები. როცა ეს საკითხი გააქტიურდა, შეიქმნა ორგანიზაცია „მარჯვენა საჭე ჩემი უფლებაა“ და აქციაც მოაწყვეს. ამ აქციაზე 900 მარჯვენასაჭიანი ავტომობილი გამოიყვანეს ორგანიზატორებმა. საინიცია-

გაგრძელება მე-11 გვ.

# გერმანელი ქალები ნახევრად შიშვლები დადიან, მოდი და ნუ გააუპატიურებ – რას ამბობს იმამი

კელნის მეჩეთის იმამმა სამი აბუ-იუსუფმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

„ჩვენ სწორად უნდა მოვახდინოთ რეაგირება და ცეცხლი არ უნდა გავაღვივოთ. მაშინ, როცა ქალებს ვინმე თავს ესხმის და შეურაცხყოფას აყენებს, ირგვლივ იქმნება სახიფათო და დაძაბული მდგომარეობა, ამის მიზეზი კი ის არის, როგორ იყვნენ შემოსილები თავად გერმანელი ქალები. ისინი ნახევრად შიშვლები დადიან და იყენებენ პარფიუმს, სწორედ ამიტომ ხდება მსგავსი ქმედებები. ეს ერთგვარი მიზეზია, რატომაც გაღიზიანდნენ მამაკაცები“.

აღსანიშნავია, რომ მიგრანტთა თავდასხმების შემდეგ, საბრძოლო ხელოვნების შემსწავლელ დარბაზებში ქალბატონთა რაოდენობამ იმატა. ისინი სწავლობენ, როგორ დააღწიონ თავი აგრესიულ კაცებს და როგორ მოიქცნენ მასაში მოხვედრისას. თუმცა მიგრანტთა თავდასხმა უკვე შეფასდა, როგორც გენერალური რეპეტიცია. ცნობილია, რომ გერმანიაში საზოგადოება დღესასწაულის აღნიშვნას ელოდება, რომელიც მშვიდობიანი საკარნავალო მსვლელობებითა და კოსტიუმირებული დადგმებით გამოირჩევა. კარნავალი ყოველ წელს თებერვლის დასაწყისში იმართება და ეს 200-წლიანი ტრადიციაა.

გერმანელი მოქალაქეები შემდეგ აგრესიულ შეტევას სწორედ კარნავალის დროს ელოდებიან, ისინი მიიჩნევენ, რომ ახალი წლის არეულობა გენერალური რეპეტიცია იყო, თუმცა მაინც არ აპირებენ სახლში დარჩენას და ტრადიციის დარღვევას. (marshalpress.ge)

# შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მსოფლიოში უმუშევრობის ზრდას პროგნოზირებს

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პროგნოზით, უმუშევრობის დონე მსოფლიოში 2016 და 2017 წლებში გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს უმსხვილესი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ეს მონაცემი უკვე გაზრდილია. მომდევნო კრიზისი შრომის ბაზარზე ჯერ არ დასრულებულა, განსაკუთრებით კი ეს პრობლემა განვითარებადი ეკონომიკის მქონე ქვეყნებს შეეხებათ, ნათქვამია ანგარიშში, რომელიც მსოფლიოში სოციალური მდგომარეობის მოლოდინის შესახებ მომზადდა. 2015 წელს უმუშევართა რიცხვმა მთელ მსოფლიოში 197,1 მილიონი ადამიანი შეადგინა, რაც 2007 წლის მონაცემებთან შედარებით 27 მილიონით მეტია. 2016 წელს წინასწარი ვარაუდით, ეს რიცხვი შესაძლოა, 199,4 მილიონამდე გაიზარდოს. ორგანიზაციის პროგნოზების მიხედვით 2017 წელს უმუშევართა რაოდენობა კიდევ 1,1 მილიონი ადამიანით გაიზრდება და 200,5 მილიონს მიაღწევს. (businesscontact.ge)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
2. ცეცხლის ენა
3. ჩილეს დედაქალაქი
4. მწყემსის ინსტრუმენტი
5. ძაღლის ჯიში
6. ქალაქი იაპონიაში
7. მსახიობი ... მენდესი
8. საქონლის პატივი
9. ქალის პატარა ხელჩანთა
10. ტყის ფრინველი
11. სარწმუნოება ზოგადად
12. ბუდისტი მღვდელი
13. „მიმინო“ ... მიზანდარი
14. მსახიობი ია ...
15. ნაგვის ყუთი
16. კომპოზიტორი ვახო ...
17. იტალიის დედაქალაქი
18. მხატვარი სალვადორ ...
19. სანელებელი
20. დღის დასაწყისი
21. მომღერალი ... ვაიკულე
22. მსახიობი ერიკ ...
23. რუსი გოლიათი ილია ...
24. პერსონა ...-გრატა
25. ტარზანის მაიმუნი
26. 100კგ
27. კუდმაკრატელა ფრინველი
28. ნაგვის ასაღები
29. ინდიელთა ტომი
30. აშშ-ს დედაქალაქი
31. რეჟისორი პიერ პაოლო ...
32. თმის საპრიალებელი საცხი
33. ზამბახი
34. მოხარშული ზეთი
35. ავადმყოფური სიგამხდრე
36. ბრტყელი თევზი
37. ყვავილი
38. ჰავაის დედაქალაქი
39. მსახიობი ... ღაღანიძე
40. მსახიობი ... დევისი
41. სანელებელი
42. სასწავლო დაწესებულება
43. მდინარე პარიზში
44. იტალიელი მხატვარი
45. გალაქტიკა ანდრომედას ...
46. რეჟისორი ... მჭედლიძე
47. ტექსტის შეწეული ხაზი
48. ქალაქი იმერეთში
49. გზებზე დასაგები მასა
50. მსახიობი ... გრანტი
51. მეზღვაური არაბულ ზღაპრებში
52. ფეხბურთელი ზინედინ ...
53. იაპონური ავტომობილი
54. მახრჩობელა გველი
55. ქართული ფულის ერთეული
56. წმალი საცხი
57. მხ/ფ „... ბალადა“
58. ჩვენი პლანეტა
59. გადაშენებ. გიგანტ. ხვლიკი
60. „გვადი ბიგვა“ პერსონაჟი
61. დიდი საჯარისო შენაერთი
62. სერიალი „რვაფეხა“ კორადო კატანის თანამდებობა
63. ძაღლის ჯიში
64. მევიოლინე ვანესა ...
65. მხატვარი ამედეო ...
66. სახელმწიფო აზიაში
67. ისტორიიდან: ... ტრაქტატი
68. შენობის სვეტების მწკრივი
69. ამერიკელი მომღერალი ქალი
70. ბირთვული იარაღის წინა ნაწილი
71. ჩანჩქერი აშშ-ში
72. ვერნი. „კაპიტან ... შვილები“
73. ნიანგის სახეობა
74. მომღერალი ... რიდი
75. ნაკლი, ხინჯი
76. სახელმწიფო აფრიკაში
77. მსახიობი ... ქავთარაძე
78. ტყის სული
79. ექიმი. შექმნა ზომბი
80. ბოშათა საბჭოთა თეატრი
81. ურჩხული ჩინურ ზღაპრებში
82. მომღერალი ლედი ...
83. დროის მონაკვეთი
84. პირის გასაპარსი დანა
85. ფრინველის სამწყვდევი
86. მისი დედაქალაქია დამასკო
87. ვირი
88. მსახიობი ... დეინსი
89. ქვეყნიერების დასასრული
90. იაპონიის ძველი დედაქალაქი
91. კუნძული ხმელთაშ. ზღვაში
92. ხოშიმინის ძველი სახელწ.
93. ბანდეროლი
94. მხარე დას. საქართ.
95. გვარის უფროსი აღმ. ქვეყნებში
96. მსახიობი ... ელიავა
97. გამის ნოტი
97ა. ნაბიჯი ბალეტში
98. იურიდიული პირი
99. მიმართვა ქალისადმი იაპონიაში
100. შტატი აშშ-ში
101. უკრაინის პარლამენტი
102. მწერალი ალფონს ...
103. სახელმწიფო აფრიკაში
104. ერთგვარი ეტლი
105. ნადირობის ქალღმერთი
106. ნიავი
107. „დრაკულა“ ავტორი
108. ტროპიკული ნაყოფი
109. ქალის შიდა სამოსი
110. ... ხაიამი
111. სინდისი
112. სამშენებლო მასალა
113. ქვის ლობე
114. ღორის ცხვირი
115. ლანგარი
116. მოდელი ... კროუფორდი
117. მომღერალი რაფაელა ...
118. ქიმიური ჭურჭელი
119. თევზის ძვალი
120. გარეული ფრინველი
121. მსახიობი ... დელონი
122. მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი
123. დედამიწის გუმბათი
124. მომღერალი ... მატიე
125. მომღერალი ... ჯაგერი
126. მწერალი ... ტოლსტოი
127. კომპოზიტორი ედვარდ ...
128. მხ/ფ „... შემოდგომისა“
129. ჭირი იქა, ლხინი ...
130. „თოჯინები იცინიან“ ... წივწივაძე
131. კახური ტკბილი პური
132. ცეცხლგამძლე კარადა
133. ფრედი მერკურის ანსამბლი
134. ცხვრების ერთობლიობა
135. მსახიობი ... კახიანი
136. მსახიობი ... ტაილერი
137. ... დაიჭირავს სიკვდილსა
138. შხამიანი გველი

პასუხები: 1. პარაგვაი; 2. ალი; 3. სანტიაგო; 4. სალამური; 5. სენბერნარი; 6. ნაგასაკი; 7. ევა; 8. ნაკელი; 9. რედიკიული; 10. კოდალა; 11. რელიგია; 12. ლამა; 13. ვალიკო; 14. ნინიძე; 15. ურნა; 16. მურადელი; 17. რომი; 18. დალი; 19. დარიჩინი; 20. დილა; 21. ლაიმა; 22. ბანა; 23. მურომეცი; 24. ნონ; 25. ჩიტა; 26. ცენტნერი; 27. მერცხალი; 28. აქანდაზი; 30. ვაშინგტონი; 31. პაზოლინი; 32. ბრიოლინი; 33. ირისი; 34. ოლიფა; 35. ანორექსია; 36. კამბალა; 37. ია; 38. ჰონოლულუ; 39. ჯემალ; 40. ჯინა; 41. პილპილი; 42. ლიცეუმი; 43. სენა; 44. ტიციანი; 45. ნისლეული; 46. ნანა; 47. აბზაცი; 48. ხონი; 49. ასფალტი; 50. ჰიუ; 51. სინდბადი; 52. ზიდანი; 53. „ჰონდა“; 54. ბოა; 55. ლარი; 56. მალამო; 57. ჰუსარული; 58. დედამიწა; 59. დინოზავრი; 60. ნაია; 61. არმია; 62. კომისარი; 63. ნიუფაუნდლენდი; 64. მეი; 65. მოდილიანი; 66. ბანგლადეში; 67. გიორგიევსკის; 68. კოლონადა; 69. ენია; 70. ქობინი; 71. ნიაგარა; 72. გრანტის; 73, ალიგატორი; 74. დინ; 75. ზადი; 76. სუდანი; 77. გოგი; 78. ელფი; 79. ფრანკენშტაინი; 80. „რომენი“; 81. დრაკონი; 82. გაგა; 83. წამი; 84. სამართებელი; 85. გალია; 86. სირია; 87. სახედარი; 88. კლერ; 89. აპოკალიფსი; 90. ნარა; 91. სარდინია; 92. საიგონი; 93. ამანათი; 94. იმერეთი; 95. შეიხი; 96. ლია; 97. ლა; 97ა. პა; 98. ნოტარიუსი; 99. ტიან; 100. კალიფორნია; 101. რადა; 102. დოდე; 103. ლიბია; 104. ფაეტონი; 105. დიანა; 106. სიო; 107. სტოკერი; 108. ბანანი; 109. ლიფი; 110. ომარ; 111. ნამუსი; 112. კირი; 113. ყორე; 114. დინგი; 115. სინი; 116. სინდი; 117. კარა; 118. კოლბა; 119. ფხა; 120. ყვავი; 121. ალენ; 122. სან; 123. ცა; 124. მირეი; 125. მიკ; 126. ლევ; 127. გრიგი; 128. მზე; 129. აქა; 130. სევერიან; 131. ნაზუქი; 132. სეიფი; 133. „ქვინი“; 134. ფარა; 135. იმედა; 136. ლივ; 137. ვერ; 138. ეფა. იკითხება: გამოსავალი უთოვლობაზე.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1.რეგ-ქსიორი ... ჩოხელი
2. ტყე დასავლეთ საქართ.
3. ბანქოს ერთგვარი თამაში
4.ქართ. ფულის ერთეული
5. უშნოდ მაღალი ადამიანი
6. რაიონი აჭარაში
7.ავრ-ძალვა ინფექ-ციის დროს
8. ზნე
9. მეცნიერ. ამზადებენ მწნილს
10. ... მორჩილაძე
11.მან გაიტაცა ოქროს საწმისი
12. ყველაზე მტკიცე მინერალი
13. მსახიობი ... იოვოვიჩი
14. სისხლ-ძარღვი
15. ... პოპინსი
16. ... მურომეცი
17. ნაცებობა: წითელი ...
18.აკუს-ტიკაში: ხმის სიძლიერის ერთეული
19. ბრტყელი თევზი
20. ფურცლი მერკურის ასხამლი
21. მინის-ქვეშეთი (ზღაპრ.)
22. აშშ-ს დედაქა-ლაქი
23.კომ-პიუტე-რული ფორმა თბილისში
24.მტა-ცებელი ცხოველის მაძღრი
25.ფან-კლოდ ... დამი
26.ბუნე-ბისეე ტყეელი, ანუ ...
27. მსახიობი ... კემპბელი
28. ... კლავიშე-ბიანი ინსტრუ-მენტი
29. მდინარე აღმ. საქართ.
30. მელ-კაცა
31.კიბოს გა-მომწვევი, ანუ ... ნივთიერება საკვებში
32. ვაშლის ზამთრის ჯიში
33.სა-ტრფიალო პოეზიის მუზა
34. ... ნასრედინი
35.მსახ. დუეინ ... ჯონსონი
36. ბრინჯის კერძი
37. სპორტის სახეობა
38. ხრახნი
39. ქვეყნის მატიანე
40. პბილის ექიმი
41. სოფელეთ გამოსა-ვლელის ადგილი
42.მხ/ფ "... ბროკო-ვიჩი"
43. გიორგი სააკაძის სოფელი
44. ... ლოიდ ვებერი
45. ტენორი მარიო ...
46. სპორტის სახეობა
47. გაუშვლელი ფოთოლი
48. შესვენება თეატრში
49. პოკეის რეზინის ბურთი
50. უძველესი აკადემია კახეთში
51.მტა-ცებელი თევზი ამაზონში
52. ქალის პატარა ხელჩანთა
53. ოკეანის შესავალი ხმელი
54. სიახლე ტექნიკაში ...-შაუ
55. კალორი-ული, ანუ ...
56. დასა-რტყამი საკრავი
57. მსახიობი ... როკი
58. სოფელი კასპის რაიონში
59. ხმაური, ჩოჩქოლი
60. მინში დაფლული სიმდიდრე
61. ტბა აფრიკაში
62. ... ბაბაჯა-ნიანი
63. უმაღლესი სპორტული მიღწევა
64. მსახიობი ... ტომასი
65.ჟან დიუჟარ-დენი ფილმში
66.ქართ. ანბანის ბოლო ასო
67. სიმძიმე საპაერო ბურთზე
68. ფრანგული ოქროს მონეტა
69. ნავის ძუთი
70.... ამდგარსა კურდ-ღელსა
71. მსახიობი ... ჭიჭინაძე
72. თქმულება ღმერთებ-ზე
73. ძაღლის ჯიში
74. ქალაქი საფრან-გეთში
75. სახელმ-წიფო აფრიკაში
76. აფროდი-ტეს საყრდო
77.მზე ზღვაში გაგრეკე-ლივული ზოოგენი
78.რეჟ-ისორი ... იოსელიანი
79. შაქრის ლერწმის არაყი
80.ძალა-უფლების მიტაცე-ბელი
81.ესკი-მოსების ნავი
82. მსახიობი გრეგორი ...
83. ინგლისელი პოეტი
84. ღმერთი ეგვიპტურ მითებში
85. მუცლის ფარის ახთება
86.... დაგეკარ-გებარას ეძებ
87. წყლის მოლუსკი
88.მისი დედაქა-ლაქია თეირანი
89.მომ-ღერალი ... სტიუარტი
90. მსახიობი ... მიფუნე
91.ხვავი, რომლითაც მდინარე მიედინება
92. არაქისიანი შოკოლა-დის ბატონი
93.მომ-ღერალი ბობ ...
94. სახლის გადასა-ხურავი კერამიკა
95. პურის სოკო
96.მსახ. ... ჭანტურ-ტაძე
97.ზოგ-ბურთელი ... კურნიკოვა
98. მზის ამოსვლა
99. განთი-ადი
100. შუშა
101. საველე სავაზდ-ყოფო
102. მსახიობი ... ბანდერასი
103.დი-რიჟორის საშოსი
104. რეგორ-დების თიგრი
105. ავტომრ-ბოლელი ... ლაუდა
106. მწერალი ჟოულ ...
107.ებ-რაელების იმიგრაცია ისრაელში
108. ფოლგა
109. შეჯიბრე-ბის დასა-წყისი
110.ძიებ ვარსკვ-ლაჩის ფილმი
111. დეკორდილი ცხენი
112. "ივერია" ალექსან-დრე ...
113.მხ/ფ იგორო-"ბოდა ფოლადი"
114. მსახიობი ვივიენ ...
115.წინა-ლობის შეწყვ. სიგნალი
116. ქალაქი საბერძ-ნეთში
117. საბურავის ზედაპირი
118. მუსიკოსი ... რინგერი
119. მსახიობი ... პარაჯი
120. თოვლის კრის-ტალი
121. სათუთი, ფაქიზი
122.მსახ. ... ჯუგარ-ზანიანი
123. "მაუგლი" პითონი
124. დიდი ჯოხი
125. ივნის სპირის-პირო
126. ვაზა
127. ჭაობში მცხოვრ-მსხოლ ნიადაგი
128. ლაიზა მინელი ფილმში
129. ნიშნავს საშუალოს
130. შტატი აშშ-ში
131. კოლხი გრძნეული ქალი
132. ყაიმი
133.... გათიერ-დების ყორანი
134. მხარე დას. საქართ.
135. პატარა არხი
136. წყალ-ქვეშა კლდე
137. სპორტის სახეობა
138.ბერძ. ანბანის პირველი ასო
139. სასიმინ-დე

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ილუზიონისტი ზურაბ ...
2. კომპოზიტორი ზაქარია ...
3. ვენესუელას დედაქალაქი
4. საკონდიტრო სანელებელი
5. ვენეციელი მენავის სიმღერა
6. საბურავის ზედაპირი
7. თავზი
8. თხევადი საწვავი
9. მსახიობი ფილიპ ...
10. მზის ამოსვლა
11. მოწონების შეძახილი შრომაში
12. მოჭადრაკე მიხეილ ...
13. ქალაქი სომხეთში
14. ბიბლიური ბრძენი მეფე
15. უბატონოდ დარჩენილი სამურაი
16. კარლ მარქსის ნაშრომი
17. ოპერა „... გიუნტი“
18. ოტელოს ეროვნება
19. კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობა
20. საშინელი სიზმარი
21. სამხედრო გემი
22. გაქრისტიანებული არაბი ყმაწვილი
23. ოპერა „ევგენი ...“
24. დაშიფრული გამოცანა
25. დოკუმენტების საცავი
26. მსახ. ... გოძიაშვილი
27. ვაჭარი (მოძვ.)
28. ან ..., ან არა
29. მსახ. სილვესტერ ...
30. მსახიობი ან ...
31. ხატმწერი ანდრეი ...
32. ჭავჭავაძე. „... ქვრივი“
33. ბოშათა საბჭოთა თეატრი
34. ქალაქი უკრაინაში
35. ნაგვის ასაღები
36. იაპონელი განგსტერი
37. კუჭქვეშა ჯირკვალი
38. სოფელი ახმეტის რაიონში
39. გაერთიანება
40. მსახიობი ... ნოლტი
41. მწვანილი
42. შესაწირავი პირუტყვი
43. იანის საპირისპირო
44. გოგებაშვილი. „თხა და ...“
45. ... ღონიერია თუ კაცი გონიერია
46. კურკიანი ხილის ჩირი
47. ოჯახის უმცროსი შვილი
48. ხორცის კერძი
49. მხატვარი კამილ ...
50. სამკურნალო მცენარე
51. პოეტი ... ბარტო
52. საზოგადოების ნაღები ფენა
53. ქალის სამოსი
54. ხის ჯიში
55. ფინანსური ჩანაწერების რვეული
56. ჩანჩქერი აშშ-ში
57. ... გატყდა, ხმა გავარდა
58. პერპეტუუმ-მობილე: მუდმივი ...
59. სატელეფონო სიტყვა
60. გაზაფხულის თვე
61. მდინარე. ეძიებდნენ ოქროს
62. თვალის გუგა
63. ზღვის ღმერთი ბერძ.მით.
64. ანსამბლი „სტატუს ...“
65. უსაფუძვლოდ გამომცხვარი პური
66. დიდი ჩაქუჩი
67. მსახიობი ... დეინსი
68. თვითმფრინავის ბორბლები
69. ჩოგბურთელი ... სამპრასი
70. მეცნიერება მღვიმეების შესახებ
71. ამოსახველებელი ნაყენი
72. ბრიუს უილისი ფილმში
73. მხ/ფ „... და გოგია“
74. კრილოვი. „მგელი და ...“
75. დუმბაძე. „ნუ გეშინია, ...“
76. მტაცებელი ფრინველი
77. ისტორიული შუამდინარეთი
78. ზოდიაქოს ნიშანი
79. მსახიობი ... დე ფიუნესი
80. მუცელი (მოძვ.)
81. დადებითი ელექტროდი
82. გასასვლელი მდინარეზე
83. მეტამორფოზის ბოლო სტადია
84. მოქანდაკე ელგუჯა ...
85. საპალტოე ქსოვილი
86. მსახიობი ... პაპასი
87. რძის პროდუქტი
88. ... შარიფი
89. მომღერალი ... ქერი
90. ხელის საგრილებელი
91. ბომარშე. „... ქორწინება“
92. ჯგუფის მოწინავე ადამიანი
93. მწერალი რომენ ...
94. რეჟისორი ... მჭედლიძე
95. მანქანის კორპუსი
96. ... ფიტცჯერალდი
97. უნაყოფო საქონელი
98. ესპანელი დიდებული
99. საფეხბურთო კლუბი „...-04“
100. ბალზაკი. „მამა ...“
101. კომპოზიტორი ... ყანჩელი
102. სისხლისმწოველი მწერი
103. ხელის ერთთვლიანი საზიდარი
104. ქართ. ხალხური საკრავი
105. კომპოზიტორი ... კვერნაძე
106. ფულის ერთეული კორეაში
107. პატარა მდინარე
108. მადა ... მოდისო
109. ყველაზე ღრმა ტბა
110. ზღვის ცხოველი წვეტიანი ცხვირით
111. სარძევე ჯირკვლების ანთება
112. ქიმიური ელემენტი
113. ქალაქი გერმანიაში
114. ... ჭკვიანი დაფიქრდებოდა, სულელმა შვილი დააქორწინაო
115. სოფელი გორის რაიონში
116. გულიბრყვილო ადამიანი
117. ... მოგივა დავითაო
118. ეთერზეთოვანი მცენარე
119. ფეხის სახსარი
120. თანამედროვე გიგანტ. ხვლიკი
121. სანთლების სამაგრი
122. მსახ. ... ფრეინდლიხი
123. რუსი ილუზიონისტი
124. გადაშენებული ფრინველი
125. პულსის ადგილი ხელზე
126. სულების გამოძახება
127. მსახიობი ... სხირტლაძე
128. ნაჯახი
129. ალკოჰოლური სითხე
130. შარლ პეროს ზღაპარი
131. თევზის ჯიში
132. ბარაქა
133. ჟან-კლოდ ... დამი
134. პარკოსანი მცენარე
135. მსახიობი ... ბერნარი
136. „მაუგლი“ პითონი
137. ცხენბურთი
138. ცხენის კუდის ბალანი
139. რისი ხმა ისმის შესვენებაზე
140. ყვავილი
141. მომღერალი ჯონ ... ჯოვი
142. რეჟისორი ... იოსელიანი
143. ... ბუონაროტი
144. პატარა ტანის ძაღლი
145. ტყის სული წვეტიანი ყურებით
146. გაბენი ფილმში „... ქალაქში“
147. ძვირფასი ქვების წონის ერთეული
148. მეცნიერი ... ვეკუა

პასუხები: 1. ვადაჭკორია; 2. ფალიაშვილი; 3. კარაკასი; 4. ვანილი; 5. ბარკაროლა; 6. პროტექტორი; 7. ბარაკუდა; 8. ნავთი; 9. ნუარე; 10. აისი; 11. ბარაქალა; 12. ტალი; 13. აბოვიანი; 14. სოლომონი; 15. რონინი; 16. „კაპიტალი“; 17. პერ; 18. მავრი; 19. „ლილ“; 20. კოშმარი; 21. კრეისერი; 22. აბო; 23. ონეგინი; 24. ენიგმა; 25. არქივი; 26. ვასო; 27. სოვდაგარი; 28. პო; 29. სტალონე; 30. პარიიო; 31. რუბლიოვი; 32. ოთარაანთ; 33. „რომენი“; 34. ოდესა; 35. აქანდაზი; 36. იაკუძა; 37. პანკრეასი; 38. ომალო; 39. ლიგა; 40. ნიკ; 41. კამა; 42. ზვარაკი; 43. ინი; 44. გიგო; 45. სოფელი; 46. კერკი; 47. ნაბოლარა; 48. გუფთა; 49. კორო; 50. მრავალძარღვა; 51. აგნია; 52. ელიტა; 53. კაბა; 54. მუხა; 55. დავთარი; 56. ნიაგარა; 57. ტაშტი; 58. ძრავა; 59. ალო; 60. აპრილი; 61. კლონდაიკი; 62. ბაია; 63. პოსეიდონი; 64. კვო; 65. ხმიადი; 66. ურო; 67. კლერ; 68. შასი; 69. პიტ; 70. სპელეოლოგია; 71. ალთე; 72. „არმაგედონი“; 73. ხარება; 74. კრავი; 75. დედა; 76. არწივი; 77. მესოპოტამია; 78. ვერძი; 79. ლუი; 80. სტომაქი; 81. ანოდი; 82. ფონი; 83. იმაგო; 84. ამაშუკელი; 85. დრაფი; 86. ირენ; 87. მაწონი; 88. ომარ; 89. მერაია; 90. მარაო; 91. ფიგაროს; 92. ლიდერი; 93. როლანი; 94. ნანა; 95. კაბინა; 96. ელა; 97. ბერწი; 98. იდალგო; 99. შალკე; 100. გორიო; 101. გია; 102. კოღო; 103. ურიკა; 104. ჭიანური; 105. ბიძინა; 106. ვონა; 107. ნაკადული; 108. ჭამაში; 109. ბაიკალი; 110. ნარვალი; 111. მასტიტი; 112. სილიციუმი; 113. ბონი; 114. სანამ; 115. კარალეთი; 116. ალალი; 117. რაც; 118. ლავანდა; 119. მუხლი; 120. ვარანი; 121. შანდალი; 122. ალისა; 123. კიო; 124. მოა; 125. მაჯა; 126. სპირიტიზმი; 127. დუტა; 128. ცული; 129. სპირტი; 130. „კონკია“; 131. სვია; 132. ხვავი; 133. ვან; 134. ლობიო; 135. სარა; 136. კაა; 137. პოლო; 138. ძუა; 139. ზარი; 140. ია; 141. ბონ; 142. ოთარ; 143. მიქელანჯელო; 144. ფინია; 145. ელფი; 146. ორნი; 147. კარატი; 148. ილია. იკითხება. ქართლის დედა.

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00



1. ნადირობა აფრიკაში
2. წერილი
3. მხატვარი ავთო ...
4. მასობრივი გადარბენა
5. ინის საპირისპირო
6. საომარი ნადავლი
7. ჩანთოსანი ცხოველი
8. მთაში გაყვა-ნილი გზა
9. ბანდის მეთაური
10. ვულკანური მასა
11. მსახიობი ... კემპბელი
12. დიდი ხნის უწვიმო ამინდი
13. მალვინას მეგობარი პუდელი
14. პოეტი მუხრან ...
15. წყლის ძუძუმწოვარი
16. „ჰარი პოტერის“ ავტორი
17. სილამაზის ქალღმერთი
18. დახვეული ნამცხვარი
19. მისი დედაქალაქია რომი
20. ფიზიკოსი ... ნიუტონი
21. კუნძული აფრიკასთან
22. ნოტების დასადები დაფა
23. მისი დედაქალაქია ჰანოი
24. მლაშე საწელებელი
25. „ჰამლეტი“ პერსონაჟი
26. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
27. ტაფაზე მომწვარი თხელი კვერი
28. მსახიობი ... თბილელი
29. ცისარტყელას ფერი
30. მსახიობი ჟერარ ...
31. ძროხის წინაპარი ცხოველი
32. მომღერალი ლეონიდ ...
33. გაერთიანება, კავშირი
34. აფრიკული შავი გველი
35. მსახიობი ... ჩურიკოვა
36. ცხელი ალკოჰოლური სასმელი
37. პერო. „... მზეთუნახავი“
38. მოვლენა: ჩრდილოეთის ...
39. იუმორისტი ნიკა ...
40. ქართ. მინერალ. წყალი
41. კბილის დამცავი ფენა
42. რკინის შემცველი მინერალი
43. ვაჟა-ფშაველას პოემა
44. ხორბლის შესანახი შენობა
45. ვერნი. „... კუნძული“
46. აუქციონზე გატანილი ნივთი
47. სამკუთხედის გვერდი
48. „... პიტკინი მტრის ზურგში“
49. დაღესტნური სოფელი
50. მსახიობი ... დარკი
51. სოფელი რაჭაში
52. რომეოსა და ჯულიეტას ქალაქი
53. სკანდინაველთა ღმერთი
54. ქაღალდის ფულის გამოშვება
55. სამოსი ფიგურის კორექციისათვის
56. სინთეტიკური ბოჭკო
57. სასროლეთი
58. ჩხუბი
59. ყურძნის შაქარი
60. ბიბლიური მთა
61. სქესი: მამრი და ...
62. ჰორიზონტის მხარე
63. მხარე კახეთში
64. მსახიობი მიშელ ...
65. მსახ. ... კოშკელიშვილი
66. მოდელი სინდი ...
67. ზამში
68. ატრაქციონი პარკში
69. შტატი აშშ-ში
70. საათის ციფრებიანი ფირფიტა
71. თავ-დაცვის იარაღი
72. მხატვარი ალბრეხტ ...
73. მომღერალი ... აგილერა
74. ცეკვა „მულენ რუჟში“
75. ჩანთოსანი დათვი
76. მეფედ კურთხევა
77. ცელქი, მასხარა
78. ლორების ჯოგი
79. ტროპიკული მცენარე
80. მწერალი ლევან ...
81. მისი დედაქალაქია ლონდონი
82. სემი, ქამი და ...
83. ტილ ...
84. ნიშნავს ჩირქოვანს
85. სასვენი ნიშანი
86. უპირველესი საკითხი
87. დაბალფასიანი
88. ხელოვნური ენა
89. მსახიობი მაიკლ ...
90. უარყოფითი ელექტროდი
91. საფეხურებიანი ასასვლელი
92. მისი დედაქალაქია ბრიუსელი
93. ტბა თბილისში
94. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
95. სირაქლემას სახეობა
96. ზევსის მერიქიფე ყმაწვილი
97. ყვავის ბარტყი
98. დადუღებული ყურძნის წვენი
99. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი
100. ქალაქი პოლონეთში
101. დრამატურგი ჰენრიკ ...
102. ბულგარული ფულის ერთეული
103. სოფელი თეთრი წყაროს რაიონში
104. მულტიპლიკატორი უოლტ ...
105. გადაშენებული ფრინველი
106. ადმირალი ჰორაციო ...
107. მსახიობი მარლენ ...
108. მსახიობი ჯულიეტა ...
109. ხმლის ტარი
110. ბუნებრივი ლურჯი საღებავი
111. საკანი
112. ღრიანკალი
113. მ.ქ.კ. ანუ ... ქმედების კოეფიციენტი
114. გამოუსვლელი, ხვარე
115. ცხენის უკანა ნაწილი
116. მეტეოროლოგიური მდგომარეობა
117. ფოლგა
118. ბერძნული თიხის ჭურჭელი
119. პოეტი ... კალანდაძე
120. ფაშვის წვნიანი
121. ბისკვიტის საცხი
122. ქრისტიანული საკულტო ნაგებობა
123. ხანა, ეპოქა
124. სოფელი გორის რაიონში
125. თავსამკაული
126. ხორცის კერძი
127. ლითონის ფული
128. მწვადის შესაწვავი ძელაკი
129. მიშენება ოთახზე
130. მსახიობი მერილ ...
131. „... გრძელი წინდა“
132. მიმართვა ქალისადმი იტალიაში
133. ათოსის ვაჟი ... ვიკონტ დე ბრაჟელონი
134. შეუგნებელი ადამიანი
135. მიმართვა მამაკაცისადმი ინგლისში
136. ქრისტიანთა წმინდა თასი
137. რიცხვი 3,14
138. წელის ლობე
139. რეჟისორი ... რიჩი
140. ლატვიელი პოეტი იან ...

პასუხები: 1. საფარი; 2. ბარათი; 3. ვარაზი; 4. კროსი; 5. იანი; 6. ალაფი; 7. კენგურუ; 8. გვირაბი; 9. ატამანი; 10. ლავა; 11. ნივ; 12. გვალვა; 13. არტემონი; 14. მაჭავარიანი; 15. დელფინი; 16. როულინგი; 17. აფროდიტე; 18. რულეტი; 19. იტალია; 20. ისააკ; 21. მადაგასკარი; 22. პიუპიტრი; 23. ვიეტნამი; 24. მარილი; 25. ოფელია; 26. ერინ; 27. ბლინი; 28. მარინე; 29. იისფერი; 30. ფილიპი; 31. ტური; 32. აგუტინი; 33. უნია; 34. მამბა; 35. ინა; 36. პუნში; 37. მძინარე; 38. ციალი; 39. არაბიძე; 40. „ლებარდე“; 41. ემალი; 42. პირიტი; 43. „სტუმარ-მასპინძელი“; 44. ელევატორი; 45. საიდუმლო; 46. ლოტი; 47. ფერდი; 48. მისტერ; 49. აული; 50. მირეი; 51. ირი; 52. ვერონა; 53. ოდინი; 54. ემისია; 55. კორსეტი; 56. კაპრონი; 57. ტირი; 58. დავა; 59. გლუკოზა; 60. არარატი; 61. მდედრი; 62. დასავლეთი; 63. ქიზიყი; 64. პფაიფერი; 65. ნუკი; 66. კროუფორდი; 67. ნატი; 68. კარუსელი; 69. ალაბამა; 70. ციფერბლატი; 71. ფარი; 72. დიურერი; 73. კრისტინა; 74. „კანკანი“; 75. კოალა; 76. კორონაცია; 77. ოინბაზი; 78. კოლტი; 79. სორგო; 80. გოთუა; 81. ინგლისი; 82. იაფეტი; 83. ულენშპიგელი; 84. პიო; 85. ტირე; 86. პრიორიტეტი; 87. იაფი; 88. იდო; 89. დუგლასი; 90. კათოდი; 91. კიბე; 92. ბელგია; 93. ლისი; 94. მისისიპი; 95. ნანდუ; 96. განიმედი; 97. ბახალა; 98. ბადაგი; 99. დიოგენე; 100. ლოძი; 101. იბსენი; 102. ლევი; 103. მარაბდა; 104. დისნეი; 105. მის; 106. ნელსონი; 107. დიტრიხი; 108. მაზინა; 109. ვადა; 110. ინდიგო; 111. დილეგი; 112. მორიელი; 113. მარგი; 114. ტეტია; 115. გავა; 116. ამინდი; 117. კილიტა; 118. ამფორა; 119. ანა; 120. ხაში; 121. კრემი; 122. ეკლესია; 123. ერა; 124. სკრა; 125. დიადემა; 126. ყაურმა; 127. მონეტა; 128. შამფური; 129. ერკერი; 130. სტრიპი; 131. პეპი; 132. სინიორა; 133. რაულ; 134. ხეპრე; 135. სერ; 136. გრაალი; 137. პი; 138. რაგვი; 139. გაი; 140. რაინისი. იკითხება: სერფინგი.

# ირანი ევროპას ნავთობს 7 დოლარად მიაწვდის



ნავთობის ბაზარზე საუდის არაბეთის შესავიწროებლად, ირანი ევროპელ მომხმარებლებს ბარელ ნავთობს 6,55 დოლარად მიაწვდის. თუმცა, საუდის არაბეთი იმავე საქმეს მხოლოდ 4,85 დოლარად ასრულებს.

**Gazeta.Ru**-ს მიხედვით, საუდის არაბეთსა და ირანს შორის არსებული დღევანდელი კონკურენციის შედეგად, ევროპის ნავთობის ბაზარზე არსებული შემოთავაზებები უკანასკნელი 7 წლის მანძილზე უმცირეს ნიშნულებს აღწევს.

ამასთანავე, ექსპერტები დარწმუნებულები არიან, რომ ნავთობზე უფრო მაღალი ფასის არსებობის შემთხვევაში, ირანულ „შავ ოქროზე" უფრო დიდი ფასდაკლება იქნებოდა.

ირანისა და საუდის არაბეთის მსგავსი სტრატეგია ოპეკის წევრ ქვეყნებს ხელს უშლის საერთო გადაწყვეტილების მიღებაში.

სანამ ეს ამბავი ცნობილი გახდებოდა, **Brent**-ის მარკის ნავთობის ფასი ისევ დაეცა და ბარელზე 28 დოლარი შეადგინა. (bfm.ge)

# თელავში გარდაცვლილის ოჯახმა ქელეხისთვის განსაზღვრული თანხა ბავშვთა სახლებში გადარიცხა



თელავში გარდაცვლილი მამაკაცის ოჯახმა ქელეხისთვის განსაზღვრული თანხა ობოლ, უპატრონო და მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა სახლებში გადარიცხა.

ამის შესახებ სოციალურ ქსელში ინტერნეტმომხმარებელი ნიკა თუშაბრამიშვილი წერს. ის არ ასახელებს გარდაცვლილი პიროვნების სახელსა და გვარს.

– არ შემეძლო, არ გამევრცელებინა ეს ამბავი – გუშინ თელავში დავკრძალეთ ჩემი უახლოესი მეგობარი, სახელსა და გვარს არ ვწერ, რადგან არ ვიცი, რამდენად ესიამოვნება მის ოჯახს.

აბსოლუტურად მოულოდნელი, რევოლუციურიც კი და ალსაფრთოვანებელი იყო მისი ოჯახის გადაწყვეტილება: ოჯახმა უარი თქვა ქელეხის გადახდაზე და მთელი შემოსული თანხა გადარიცხა უპატრონო ბავშვთა სახლებში.

მე ამ საქციელით ვარ აღტაცებული. ეს არის საქმეც, აწ გარდაცვლილისადმი უდიდესი სიყვარულიც და მიცვალებულის პატივისცემაც, – წერს ნიკა თუშაბრამიშვილი. (knews.ge)

*მეექვსე გვერდიდან*

ტივო ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, გურამ ზურაბაშვილი იყო. ეს ხალხი გაჩერებას არ აპირებს.

**გურამ ზურაბაშვილი:** „პირველ აქციაზე 900 მანქანა გამოვიყვანეთ და ეს 3 დღეში შევძელით. „ფეისბუკის" მეშვეობით ვეკონტაქტებით ერთმანეთს მარჯვენასაჭიანი ავტომობილების მფლობელები. ორშაბათს შეხვედრა გვაქვს შსს მინისტრის მოადგილე შალვა ხუციშვილთან. ვეცდებით, ჩვენი არგუმენტებით დავარწმუნოთ, რომ კანონპროექტიდან ამოიღოს შსს-მ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის



აკრძალვა. თუ ეს ვერ შევძელით, თუ კანონი ამ სახით მიიღეს, ჩვენ არ გავჩერდებით, აქციებს გავაგრძელებთ, მინიმუმ, ხუთჯერ 900 ავტომობილს გამოვიყვანთ და ამ აქციებს პერმანენტული ხასიათი ექნება", – გვითხრა გურამ ზურაბაშვილმა.

საბოლოოდ, დარგობრივი ეკონომიკის სხდომამ „მწვანე შუქი" აუნთო კანონპროექტს „საგზაო მოძრაობის შესახებ". 30 იანვარს კანონპროექტს პარლამენტის ბიურო განიხილავს და თუ ბიურომაც დადებითი დასკვნა მისცა, მაშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გავა განსახილველად.

**„ალიას" ავტომფლობელთა უფლებების დამცველი, ვასო ურუშაძე ესაუბრება, რომელიც მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგეა და გუშინ პარლამენტთან გამართული აქციის ორგანიზატორიც გახლდათ:**

**— ვასო, დარგობრივი ეკონომიკის სხდომაზე, შს მინისტრის მოადგილის არგუმენტები დამაჯერებელი და არგუმენტირებული არ იყო მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვასთან დაკავშირებით...**

– ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ბატონ შალვა ხუციშვილს დაავალეს ის ყველაფერი, რაც მან განაცხადა კომიტეტის სხდომაზე და უბრალოდ, სხვის აზრებს ახმოვანებდა. მოკლედ, სხვისი დავალების შემსრულებელი იყო. მას არც ერთი საფუძვლიანი არგუმენტი არ წარმოუდგენია, რატომ სურთ ამგვარი რეგულაციების შემოღება. სხვათა შორის, ამ კაცს, სხვებისგან განსხვავებით, ეყო გონიერება და ამჯერად არ დაუწყია იმაზე ლაპარაკი, რომ მარჯვენასაჭიანი ავტომობილების აკრძალვა აუცილებელია ეკოლოგიის, მოძრაობის უსაფრთხოების ან სხვა მიზეზების გამო. კი, ამაზე იყო საუბარი, მაგრამ ეს მიზეზები ამჯერად არგუმენტებად არ წარმოუდგენია შსს-ს მინისტრის მოადგილეს. მან ისაუბრა ერთ ძირითად მიზეზზე. ამ აკრძალვას იმიტომ ვაწესებთ, რომ, როცა მომავალში გაიზრდება მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რაოდენობა და ისინი მარცხენასაჭიანებს გაუტოლდება, მერე რა ვქნათო? გამოდის, რომ პრევენციის მიზნით აპირებენ ამ აკრძალვის დაწესებას და არა რაიმე არსებული პრობლემის მოსაგვარებლად. ცხადია, ეს არგუმენტი არ არის. როგორ შეიძლება, ათეულ ათასობით ადამიანის უმანქანოდ დატოვება, უამრავი ავტოიმპორტიორის გაკოტრება დღეს, როცა ჯერ არ იცი, რა ტემპებით შემოდის მარჯვენასაჭიანები საქართველოში, როდის გაუტოლდება მარცხენასაჭიანებს და საერთოდ, გაუტოლდება თუ არა? ეს არგუმენტი არ არის, ეს აბსურდული მიზეზია, რითაც ამ აკრძალვას ამართლებენ.

**— დეპუტატებს შორის გყავთ მომხრეები? როგორ აფიქრობთ, გაიტანენ ამ კანონს?**

– ცალკეული დეპუტატები ჩვენს მხარდაჭერას აფიქსირებდნენ „ქართული ოცნებიდანაც", ზურაბ ტყემალაძე, გოგლა ჟვანია... სხვებიც იყვნენ, მაგრამ ვერ ვიხსენებ. „ნაცმოძრაობა" ჩვენს მხარესაა, მაგრამ ვატყობ, უმრავლესობა თავისას გაიტანს. ზურაბ ტყემალაძე სიტყვით გამოვიდა და მარჯვენასაჭიანი მანქანების აკრძალვის საწინააღმდეგო პოზიცია დააფიქსირა, მაგრამ კენჭისყრაზე შსს-ს კანონპროექტს, ანუ აკრძალვას მხარი პირველმა დაუჭირა. ეს დეპუტატები დამოუკიდებლები არ არიან, ხვდებიან, რომ აბსურდს აკანონებენ, აკრძალვას სიტყვით მხარს უჭერენ, მაგრამ მთავრობის წინააღმდეგ ვერ მიდიან, საამისოდ ძალა არ ჰყოფნით. რაც დაავალეს ზემოდან, მთავრობიდან, საბოლოოდ ისე მოიქცნენ. აქედან გამომდინარე ვასკვნი, რომ ამ კანონპროექტს გაიტანენ და კანონად აქცევენ.

**— დავუშვათ, მიიღეს ეს კანონი. მერე რას აპირებთ?**

– ლიტვამ და პოლონეთმა აკრძალეს მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, მაგრამ ევროპის ადამიანთა უფლებების სასამართლოში ორივე ქვეყანამ წააგო პროცესი და დღეს ამგვარი ავტომობილები ორივე ქვეყანაში ნებადართულია. კომიტეტის სხდომაზე განვაცხადე, რომ ჩვენც ამასვე გავაკეთებდით. შალვა ხუციშვილმა განაცხადა, რომ ლიტვა და პოლონეთი ევროკავშირის წევრები არიან, მათი მოქალაქეების სარჩელი იმიტომ დააკმაყოფილა ევროპულმა სასამართლომ, საქართველო კი ევროკავშირის წევრი არ არის, მისი კანონი ჩვენს ქვეყანაზე არ ვრცელდება და შესაბამისად, თქვენს სარჩელს განსახილველადაც არ მიიღებენო. ასე არ არის საქმე. საქართველოში მოქმედებს კანონი „პროდუქციის უსაფრთხოებისა და საგნების თავისუფალი მიმოქცევის შესახებ", რომელიც 2013 წელს მივიღეთ, მას შემდეგ, რაც ევროასოცირების ხელშეკრულებას მოვაწერეთ ხელი. ლიტვისა და პოლონეთის მოქალაქეების სარჩელი ევროპულმა სასამართლომ სწორედ ამ კანონზე დაყრდნობით დააკმაყოფილა. ცხადია, ორივე ქვეყანაში მოქმედებს ანალოგიური კანონი. შესაბამისად, ჩვენც გვაქვს საშუალება, მივმართოთ ევროსასამართლოს და ამ კანონის საფუძველზე გავასაჩივროთ პარლამენტის მიერ მიღებული კანონი. მართალია, არ ვართ ევროკავშირის წევრები, მაგრამ ვართ ევროკავშირის ასოცირებული წევრები და ასეთ შემთხვევაში, ჩვენს სარჩელს განსახილველად მიიღებს ევროსასამართლო და ეჭვიც არ მეპარება, რომ ლიტვისა და პოლონეთის შედეგს მივიღებთ.

თუმცა, მანამდე შეგვიძლია, მივმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს, რადგან, თუ აიკრძალა მარჯვენასაჭიანი ავტომობილები, ეს იქნება კონსტიტუციის დარღვევა, კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის უფლებისა და სხვა საკონსტიტუციო ნორმების დარღვევა. იმედია, საკონსტიტუციო წარმოებაში მიიღებს ჩვენს სარჩელს და თუ ასე მოხდა, საქმის განხილვის დასრულებამდე, ის ნორმა, რომლის მიღებასაც პარლამენტი აპირებს, შეჩერდება. თუმცა, საბოლოოდ საკონსტიტუციოში რომ მოვიგებთ პროცესს, არც ამაში მეპარება ეჭვი.

**— სანამ პარლამენტი კანონს მიიღებს, მანამდე რას აპირებთ?**

– აქციებს გავაგრძელებთ. 21 იანვრის აქცია 1 დღეში მოვამზადეთ და იმდენი ადამიანი არ იყო, რამდენიც საჭიროა, რამდენიც მომსვლელია. ვაპირებთ, 2 კვირით ადრე დავაანონსოთ აქცია და გავმართოთ სახელმწიფო კანცელარიასთან. მჯერა, ძალიან ბევრი ხალხი მოვა და ამ გზით ვეცდებით, ზეწოლა მოვახდინოთ მთავრობაზე, იქნებ გონს მოვიდნენ და უარი თქვან ამ აკრძალვაზე. თუ ამან შედეგი არ გამოიღო, მაშინ გავაგრძელებთ აქციებს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის გადადგომის მოთხოვნით.

**„აქციებს გავაგრძელებთ... ვაპირებთ, 2 კვირით ადრე დავაანონსოთ აქცია და გავმართოთ სახელმწიფო კანცელარიასთან. მჯერა, ძალიან ბევრი ხალხი მოვა და ამ გზით ვეცდებით, ზეწოლა მოვახდინოთ მთავრობაზე, იქნებ გონს მოვიდნენ და უარი თქვან ამ აკრძალვაზე. თუ ამან შედეგი არ გამოიღო, მაშინ გავაგრძელებთ აქციებს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის გადადგომის მოთხოვნით"**

**„ალია" ზურაბ ტყემალაძესთან დაკავშირებასაც ცდილობდა იმის გასარკვევად, რატომ წავიდა საკუთარი რწმენის წინააღმდეგ და რატომ დაუჭირა მხარი მარჯვენასაჭიანი ავტომობილების რეგისტრაციის აკრძალვას, როცა კომიტეტის სხდომაზე, ამ აკრძალვას ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ მან ჩვენს ზარებს არ უპასუხა.**

სანსენსაციო ამბები... სანსენსაციო ამბები... სანსენსაციო ამბები... სანსენსაციო სანსენსაციო სანსენსაციო ამბები... სანსენსაციო ამბები... სანსენსაციო ამბები... სანსენსაციო

# კრიზისი მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე — აქციების ფასი ეცემა



მსოფლიო ფინანსურ ბაზარზე კრიზისია – 21 იანვარს აზიის საფონდო ბირჟაზე ვაჭრობა აქციებზე ფასების ვარდნით დაიწყო. ამას წინ უძღოდა ინდექსების ვარდნა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე, სადაც დოუ ჯონსის მაჩვენებელმა 1,56 პროცენტით დაიწია.

კრიზისი ნავთობის ფასის ვარდნამ განაპირობა. 1 ბარელი საწვავის ღირებულება 2003 წლის მინიმუმამდე დაეცა და 27 დოლარს ჩამოცდა.

კრიზისი გრძელდება რუსულ ბაზარზეც, სადაც ნავთობის გაიაფების გამო უფასურდება რუბლი. 21 იანვრის მონაცემებით, რუბლი ისტორიულ მინიმუმს გაუთანაბრდა. როგორც რუსული პრესა წერს, მოსკოვის ბირჟაზე 1 აშშ დოლარის ფასმა 84 რუბლი შეადგინა, 1 ევრო კი 92 რუბლი ღირს. (ნიუპოსტი)

# „მიზანმიმართული კამპანია..." — შს მინისტრი მის სავარაუდო გადადგომაზე



მიზანმიმართულ კამპანიას უწოდებს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი მის გადადგომასთან დაკავშირებით მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას.

მღებრიშვილის განცხადებით, საკითხზე მთავრობაში საუბარი არ ყოფილა:

– არანაირი საუბარი ამის შესახებ არ ყოფილა. მე ვფიქრობ, რომ მიზანმიმართულად მიმდინარეობს ეს კამპანია ჩემს მიმართ და იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც ჩემს შემცვლელებად სახელდებიან. მე ყველა მათგანს უდიდეს პატივს ვცემ, ისინი ჩემი მეგობრები არიან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ არანაირი საუბარი ამ თემაზე არ ყოფილა, – აცხადებს გიორგი მღებრიშვილი. (პირველი რადიო)

# ტრაგედია, რომელსაც ახალშეუღლებული წყვილი ემსხვერპლა — ვინ არიან გარდაცვლილები



ნაძალადევის რაიონში ბუნებრივი აირით გარდაცვლილი ცოლ-ქმრის ვინაობა ცნობილი გახდა – გარდაცვლილები არიან 31 წლის ზაზა ხუხუნაიშვილი და 26 წლის შორენა აბულაძე. ცოლ-ქმარი ტყიბულიდან იყვნენ.

მათი ცხედრები უკვე რაიონში გადაასვენეს. ცოლ-ქმარი ხორნაბუჯის ქუჩაზე მდებარე კორპუსში, ნაქირავებ ბინაში ცხოვრობდნენ.

წყვილი 2015 წლის 25 აპრილს დაქორწინდა. გარდაცვლილი გოგონა ორსულად იყო. ზაზა ხუხუნაიშვილი „იბერია ბიზნეს ჯგუფში" მუშაობდა, შორენა აბულაძე კი – აღსრულების ეროვნულ ბიუროში.

არსებული ინფორმაციით, ცოლ-ქმართან კონტაქტი ვერ მოხერხდა და მეზობლებმა სამაშველო სამსახურში დარეკეს. ადგილზე მისულმა სამაშველო სამსახურის თანამშრომლებმა კარი შეამტვრიეს, მათ სახლში გარდაცვლილი ცოლ-ქმარი დახვდათ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე პრიმა მუხლით დაიწყო, რაც ელექტრო ან თბოენერგიის, გაზის, ნავთობის ან ნავთობპროდუქტების ობიექტზე უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს. (kvira.ge)

## „ეს მართლა ნაგავი, რამე მაინც ესმოდეს ან იცოდეს ამ სფეროში“ — პასუხი ნიკა გვარამიას



ოპერა „აბესალომ და ეთერი“ რამდენიმე დღის წინ ნიკა გვარამიამ სოციალურ ქსელში გააკრიტიკა და მას უსაშინლესი უწოდა.

– ღირდეს მაინც რამედ ეს უსაშინლესი ოპერა „აბესალომ და ეთერი“. თრეში (ნაგავი) ნამდვილი. საერთოდაც, კარგი ქართული ოპერა არც არსებობს. მეტიც, ქართული კლასიკური მუსიკაა ზოგადად ძალიან, ძალიან სუსტი, განსაკუთრებით, მსოფლიოში საუკეთესო (გადაუჭარბებლად) ფოლკლორული მუსიკის ფონზე, – წერდა გვარამია სოციალურ ქსელში.

გვარამიას შეფასებას ეხმაურება კომპოზიტორი ოთარ ტატიშვილი.

– ეს მართლა ნაგავი, რამე მაინც ესმოდეს ან იცოდეს ამ სფეროში. ამგვარი განცხადებების მისაცემად ვინ მისცა უფლება ამ ერის სიმახინჯეს, – აცხადებს ტატიშვილი. (marshalpress.ge)

## ყოჩაღ, ჯანდაცვის სამინისტროს — კახეთში უკვე ბევრი ბავშვი დაიბადა, დახმარება აღარ უნდათ კახელებსო!



სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ყოველ მესამე და მომდევნო ბავშვზე ფულად დახმარებას ითვალისწინებდა, კახეთში გაუქმდა. მიზეზად რეგიონში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება დასახელდა.

2014 წლის 1-ლი ივნისის შემდეგ დაბადებული ბავშვის მშობლები 2 წლამდე ყოველთვე 150 ლარს იღებდნენ. პროგრამის გაუქმების შემდეგ კი 2016 წელს დაბადებულები ამ დახმარებით ველარ ისარგებლებენ.

აღნიშნულ ფაქტს მოსახლეობის მხრიდან უარყოფითი დამოკიდებულება მოჰყვა. მათი თქმით, თუ ასე გაგრძელდა, შობადობა ისევ დაიკლებს.

– ასეთი რამის გაკეთება არასწორია. ხალხი უკიდურეს გაჭირვებაში ცხოვრობს. იმის მაგივრად, რომ ახალგაზრდა ოჯახები წაახალისონ, პირიქით, დახმარებაც გააუქმეს. ვინც იცის, ბავშვის გაზრდას რამდენი სჭირდება, მიხვდება, რომ 150 ლარი არაფერია. ახალგაზრდებს ისედაც ეზარებათ ერთ შვილზე მეტის გაჩენა და ახლა მიზეზიც ექნებათ, – ამბობს მარიკა ნასყიდაშვილი.

გურჯაანის სოციალური მომსახურების სააგენტოს მთავარი სპეციალისტის ლია სიბაშვილის ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტროს პროექტი იმ მიზეზით გაუქმდა, რომ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობა გაუმჯობესდა.

– ბრძანება 2015 წლის 11 დეკემბერს შემოვიდა. კახეთის რეგიონი ამ პროგრამიდან ამოირიცხა. მიზეზი შობადობის გაუმჯობესებაა, მაგრამ ვისაც დახმარება უკვე დანიშნული აქვს, 2 წლის ასაკამდე ჩვეულებრივ აიღებს, – აღნიშნა მან.

საკითხის გადასამოწმებლად ჯანდაცვის სამინისტროს დავუკავშირდით. როგორც უწყებაში განაცხადეს, პროგრამაში ის 7 რეგიონი იყო ჩართული, სადაც დემოგრაფიული მონაცემები დაბალი იყო. ამ ეტაპზე კახეთის რეგიონი პროგრამიდან ამოღებულია, რადგან დემოგრაფიული მონაცემები გაიზარდა. (speqtri.ge)


ხრამი-2
KHRAMI-2

**სს „ხრამჰესი 2“-ის მიერ, 2016 წლის 8 იანვარს გამოცხადებული №X2-2016-7 ღია ფასთა გამოკითხვის (ყარაბულახის სადერევაციო გვირაბის ინსტრუმენტალური გამოკვლევა და სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტის შედგენა) ფარგლებში, წინადადებების წარდგენის საბოლოო ვადა გადატანილ იქნა 2016 წლის 5 თებერვლის 15:00 სთ-მდე.**

წინადადებები სავალდებულოა წარდგენილ იქნას სს „ხრამჰესი 2"-ის კანცელარიაში მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ№7

***წინადადებების მიღების ბოლო ვადაა 2016 წლის 5 თებერვლის 15:00 სთ.***


## ზამთრის კურორტებზე დამსვენებელთა რაოდენობა მკვეთრად შემცირდა



მეზობელ ქვეყნებში შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა და ბოლო დროს დაფიქსირებული უბედური შემთხვევების ფაქტებმა, ტურისტულ სეზონს სერიოზული დარტყმა მიაყენა – საქართველოს სამთო-სათხილამურო კურორტებზე დამსვენებლების რაოდენობა მკვეთრად შემცირებულია. მანათის გაუფასურების გამო, ბაკურიანსა და გუდაურში აზერბაიჯანელი ტურისტების ნაწილმა ჯავშნები გააუქმა. ადგილობრივი სასტუმროს მეპატრონეები წლევანდელი ზამთრის ტურისტული სეზონიდან ნაკლებ მოგებას ელიან.

გუდაურში მდებარე ერთ-ერთი საოჯახო სასტუმროს მფლობელის თქმით, ახალი წლის დღეების შემდეგ ნომრები, ფაქტობრივად, ცარიელია.

– ჩემთვის ძალიან ცუდი სეზონია. 13 თებერვლამდე ჯავშანი არ მაქვს. სტუმრები, რომლებიც ყოველ წელს ჩამოდიოდნენ, წელს თავს იკავებენ და მიზეზად ფინანსურ პრობლემებს ასახელებენ. მინიმალური ფასები დავადეთ, მაგრამ შედეგი არ ჩანს, – აღნიშნავს სასტუმროს მფლობელი. მისი თქმით, დამსვენებლები ძირითადად მეზობელი ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. სასტუმროს მეპატრონე წლევანდელ პასიურობას ამ ქვეყნებში შექმნილ ეკონომიკურ კრიზისს უკავშირებს. ასევე, არ გამორიცხავს, რომ დამსვენებლების ნაწილი დაფიქსირებული უბედური შემთხვევების ფაქტებმაც დააფრთხო.

გუდაურში მდებარე სასტუმროს მფლობელი წყალმომარაგების პრობლემაზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ წელს გუდაურში წყლის სერიოზული დეფიციტია. (bpn.ge)

## კახა კალაძე „გაზპრომთან“ დაკავშირებულ საკითხზე პარლამენტში არ მივა



ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე „გაზპრომთან“ მოლაპარაკებების საკითხზე სასაუბროდ პარლამენტში არ მივა. კალაძის საკანონმდებლო ორგანოში მისვლა და აღნიშნული თემის უმცირესობაში შემავალი ფრაქციების გაერთიანებულ სხდომაზე განხილვა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მოითხოვა, რასთან დაკავშირებითაც პარტიამ ენერგეტიკის სამინისტროს 15 იანვარს მიმართა, თუმცა „ნაციონალური მოძრაობისთვის“ სამინისტროს მიერ გაგზავნილ საპასუხო წერილში ნათქვამია, რომ კახა კალაძე პარლამენტში მისვლას გადატვირთული გრაფიკის გამო ვერ შეძლებს. (bpn.ge)


*მარიკა არღვლიანი*

*551 81-55-88*




## როდის გადმოეცემა საქართველოს ლევილი და რა უთხრა „ალიას“ ამ საკითხზე დიასპორის მინისტრმა



**პარიზში მდებარე პატარა ფრანგული სოფელი ლევილი ჩვენთვის, ქართველებისთვის, მნიშვნელოვანია იმით, რომ საქართველოს ისტორიის მოვლენების ნაწილი სწორედ ამ სოფლის სახელთანაა დაკავშირებული. აქ ცხოვრობდნენ ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ქაქუცა ჩოლოყაშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი და სხვები. აქ ინახებოდა საქართველოდან 1921 წელს გატანილი განძეულობის ერთი ნაწილი, ასევე ბორჯომისა და ლიკანის სასახლეებიდან გატანილი ძვირფასი სურათები.**

**2011 წლის 23 მაისს საზეიმოდ მოეწერა ხელი მემორანდუმს „ლევილის მამულის საქართველოსთვის გადაცემის შესახებ“. ლევილის მამული საუკუნის წინათ თავად ქართველი ემიგრანტების მიერაა შეძენილი ფრანგულ მიწაზე, რომელიც ლევილის შატოს პირველი რესპუბლიკის დარბაზში გაფორმდა.**

**ამჟამად კი ტერიტორიის კვლავ ქართული მხარისთვის გადმოცემის საკითხის განხილვა მიმდინარეობს.**

**„ალია“ ამ თემასთან დაკავშირებით დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრს გელა დუმბაძეს გაესაუბრა, რომელიც ლევილიდან დაბრუნდა:**

–¬წლებია, ლევილის მამულის გადმოცემასთან დაკავშირებით პროცესი მიმდინარეობს. შექმნილია ქართული კომისია, რომლის თავმჯდომარეც ვარ მე, წევრები კი არიან იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი და ჩვენი დესპანი გოჩა ჯავახიშვილი. ამ პროცესის პროგრესი ისაა, რომ საქართველოს მთავრობამ პირველად გამოყო 107 000 ევრო დიაგნოსტიკური და წინასწარ შეფასებითი ტექნიკური სამუშაოებისთვის. ფრანგულმა მხარემ და მისმა ჯგუფმა მოკლე ხანში საკმაოდ კვალიფიციურ დონეზე წარმოადგინა ამ დიაგნოსტიკური სამუშაოების მამულის შესაძლო განვითარების გეგმა, რასაც ვესწრებოდით მე და ქალბატონი თეა წულუკიანი და ჩავიბარეთ ეს ანგარიში. ამ დიაგნოსტიკური და წინასწარ შეფასებითი სამუშაოების ჩატარება არის ფრანგული მხარის მოთხოვნა, ვიდრე საქართველოს გადმოეცემა ტერიტორია.

**— კონკრეტულად რას ითხოვს ფრანგული მხარე?**

– მემორანდუმით გათვალისწინებულია, რომ ლევილის შატომ უნდა შეინარჩუნოს პირველ რესპუბლიკასთან დაკავშირებული ექსპონატები, პორტრეტები, დოკუმენტაცია, ბიბლიოთეკა, წიგნსაცავი, რომელიც მოიცავს ათასობით წიგნს, მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც ემიგრაციაში წამოიღო პირველი რესპუბლიკის მთავრობამ. საქართველომ ყველაფერი გააკეთა ამ ეტაპისთვის, რაც შეეძლო და დიდი იმედი გვაქვს, რომ მალე ხელს მოაწერენ აქტს. ამას ველით წლის განმავლობაში. შემდეგ უკვე ჩვენს საკუთრებაში იქნება ოფიციალურად და ჩაითვლება ისე, როგორც საქართველოს ტერიტორია, რასაც მიხედვა სჭირდება, რა თქმა უნდა.

**— გაქვთ იმედი, რომ ფრანგული მხარე ნამდვილად გადმოგვცემს ამ ტერიტორიას?**

– იცით, რა? მე რომ არ მქონდეს ამის იმედი, მაშინ ამ კომისიის სხდომაში არც მივიღებდი მონაწილეობას და ამდენ ენერგიას არ დავხარჯავდი. მაქვს ოფიციალური დავალება პრემიერ-მინისტრისგან. შეიქმნა ჯგუფი თეა წულუკიანის მიწვევით და წინ წაიწია ამ დიალოგმა. რა თქმა უნდა, იმედი მაქვს და ამიტომ ვაკეთებ ამას!..

**— ზუსტად როდისთვის ვარაუდობთ პროცესის დასრულებას და დაახლოებით რა თანხები იქნება საჭირო ამ ყველაფრისთვის?**

– როგორც უკვე გითხარით, აქტზე ხელის მოწერას 2016 წლის განმავლობაში ველით, დანარჩენის შესახებ კი საზოგადოება დეტალურ ინფორმაციას აუცილებლად მიიღებს.

## ქართველმა წყალბურთელებმა ევროპის ჩემპიონატზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს



საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე ისტორიული გამარჯვება მოიპოვა. იოვან პოპოვიჩის გუნდმა თურქეთის ნაკრები დაძაბულ ბრძოლაში 12:11 დაამარცხა.

საქართველოს ნაკრები დამოუკიდებლობის შემდეგ ევროპირველობაზე მეორედ თამაშობს, თურქეთთან დაძაბულ ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვება კი პირველი და, შესაბამისად, ისტორიულია.

ჩვენმა გუნდმა პირველი ტაიმი 8:4 მოიგო და თითქოს თამაში გამარჯვებამდე მშვიდად უნდა მიეყვანა, მაგრამ თურქებმა ნელ-ნელა უპირატესობა გააბათილეს. გადამწყვეტი მარკო ელაჩას გოლი იყო, რომელიც ხორვატმა ლეგიონერმა მატჩის დასრულებამდე 42 წამით ადრე გაიტანა და ანგარიში 12:10 გახადა. (ნიუპოსტი)

## გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სავარაუდოდ, „ღორის გრიპით“ 20 ჯარისკაცია მოთავსებული



გორის სამხედრო ჰოსპიტალში, სავარაუდოდ, ე.წ. ღორის გრიპის ვირუსით 20 ჯარისკაცია მოთავსებული, მათ შორის ერთ-ერთის მდგომარეობა მძიმეა. ისინი სამედიცინო დაწესებულებაში თავდაცვის სამინისტროს სხვადასხვა ნაწილიდან გადაიყვანეს.

როგორც თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, ჯარისკაცების უმრავლესობას გრიპის ვირუსის დამახასიათებელი სიმპტომები აღენიშნება. მათ შორის ზოგიერთს მაღალი ტემპერატურა აქვს. ჯარისკაცებს შესაბამისი მკურნალობა უტარდებათ.

ამასთანავე, ქუთაისის ინფექციურ საავადმყოფოში პრევენციის მიზნით 5 ჯარისკაცია მოთავსებული. მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ზოგიერთი მათგანი სახლში ეწერება. (kvira.ge)

## „ვსიო“ — ვოლსკი „სკაზალ, ბოგ სკაზალ“!



„გაზპრომთან“ წარმოებული მოლაპარაკებების გამო ოპოზიციის მხრიდან წამოსულ კრიტიკას უმრავლესობის წევრმა გია ვოლსკიმ უპასუხა. მისი თქმით, იმ დეფიციტის შევსება, რომელიც საქართველოს ენერგეტიკის სფეროშია, მხოლოდ „გაზპრომის“ საშუალებით არის შესაძლებელი. როგორც დეპუტატი აცხადებს, რუსულ ენერგოგიგანტთან დადებული ხელშეკრულება რუსეთზე ენერგოდამოკიდებულებას არ ნიშნავს და ეს მხოლოდ რამდენიმეთვიანი დეფიციტის შევსებას გულისხმობს:

– ეს არ არის ის, რომ დადე ხელშეკრულება და „გაზპრომზე“ ჩამოეკიდე. ეს არის 4 თვის განმავლობაში აუცილებელი დეფიციტის შევსებაზე ხელშეკრულება. აზერბაიჯანმა თქვა, რომ ჩვენ შეგვიძლია, საქართველოს მივაწოდოთ 6 მილიონი კუბური მეტრი დღეში და ჩვენ შეგვიძლია, გავზარდოთ 6 მილიონი 7 მილიონამდე, ჩვენ გვჭირდება 11. ამ საკითხთან დაკავშირებთ, დეფიციტის შევსების ერთადერთი რესურსი არის „გაზპრომი“ – დამთავრდა, ეს არის ფორმულა, – აცხადებს გიორგი ვოლსკი. (ნიუპოსტი)

ნინო ლაგარტყავა
571 99-92-33



# „პროკრედიტ ბანკიდან“ 3 შვილის დედა კლიენტებისთვის ნათქვამი „ღმერთმა დაგლოცოს“ გამო გაათავისუფლეს



**„პროკრედიტ ბანკიდან“ დათხოვილ ანა მ.-ს ინტერესებს არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი არჩილ კაიკაციშვილი იცავს, რომელიც პირდაპირ ამბობს, რომ 3 შვილის დედის სამსახურიდან დათხოვნა მის მიერ კლიენტებისთვის ნათქვამ ფრაზას — „ღმერთმა დაგლოცოს“ მოჰყვა. „პროკრედიტ ბანკის“ მიერ გავრცელებულ განცხადებაში კი ეს მომენტი საერთოდ არსად არ არის ნახსენები:**

**„ვეხმაურებით „ახალგაზრდა ადვოკატთა“ განცხადებას და გვინდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ სასამართლო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, სააპელაციო სასამართლოს მიერ არ მომხდარა საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და საქმე პირველ ინსტანციას დაუბრუნდა განსახილველად. რაც შეეხება „ახალგაზრდა ადვოკატთა“ განცხადებაში მოხსენიებულ „პროკრედიტ ბანკის“ ყოფილ თანამშრომელს, მასთან ხელშეკრულების შეწყვეტა მოხდა მისი კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო“.**

**ამის საპასუხოდ, არჩილ კაიკაციშვილმა გამოაქვეყნა სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის ის ნაწილი, სადაც საქმის მოსამართლე ბესარიონ ტაბაღუა სწორედ იმაზე საუბრობს, რომ ღმერთის ხსენების გამო ადამიანებს სამსახურიდან არ უნდა ათავისუფლებდნენ, რაზეც „პროკრედიტ ბანკის“ იურისტი ამავე აუდიოჩანაწერში განმარტებებს იძლევა და ბანკის პოზიციების დაცვას ცდილობს.**

**„ალიას“ არჩილ კაიკაციშვილი ესაუბრება:**

– ქალბატონ ანას განთავისუფლებასთან დაკავშირებულმა მიზეზ-შედეგობრივმა კავშირმა ზედაპირზე წარმოაჩინა ამ ბანკის მენეჯმენტის ურთიერთობები და მისი იდეოლოგია, რომელიც თანამედროვე ქართველი საზოგადოებისთვის, ჩვენი უფლებებისთვის და დემოკრატიისთვის კატეგორიულად მიუღებელია. საზოგადოებამ მინდა იცოდეს, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით მტკიცებულებების მხოლოდ ერთი პროცენტი გამოვაქვეყნეთ და დანარჩენი 99 პროცენტიც ასეთივე სკანდალური, საინტერესო და მნიშვნელოვანია. თუ ბანკი ელემენტარულად ბოდიშს არ მოიხდის ქართველი საზოგადოების წინაშე, აუცილებლად გამოვაქვეყნებ დანარჩენსაც, შევალ ამ საქმის დეტალებში, რათა ყველამ იცოდეს, რა მოხდა რეალურად. 1 წლის განმავლობაში ვდუმდი, როდესაც ასეთი მნიშვნელოვანი საქმის ადვოკატი ხარ, რთულია დუმდე, მაგრამ ვიდრე სასამართლო გადაწყვეტილება არ დავიჭირეთ ხელთ 2016 წლის 15 იანვარს, მანამდე საზოგადოების წინაშე არავითარი განცხადება არ გაგვიკეთებია.

**— რა იყო თქვენი მოთხოვნა სასამართლოს წინაშე — ქალბატონის სამსახურში აღდგენა, მორალური ზიანის ანაზღაურება თუ სხვა რამ?**

– სასამართლოს წინაშე ჩვენ სამი მნიშვნელოვანი მოთხოვნა გვქონდა – ბრძანების ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება. ბანკის მიერ მიღებული ბრძანება დასაქმებულის განთავისუფლებასთან დაკავშირებით, დაკვალიფიცირებულია შრომის კოდექსის იმ მუხლის მიხედვით, რომელიც ცალსახად მიუთითებს, რომ დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობა წყდება, თუკი დასაქმებული არის შეუსაბამო დაკავებულ პოზიციასთან და არაკვალიფიციური. მაგრამ განთავისუფლების მომენტიდან ჩვენ გამოვიკვლიეთ მასთან დაკავშირებული ყველა თანამდევი ურთიერთობა და ჩვენი სარჩელიც და სასამართლოც მივიდა დასკვნამდე, რომ განთავისუფლება მოხდა ორი გარემოების გამო. პირველი – ეს არის განთავისუფლებულის, თითქოსდა, არაკვალიფიციურობა, რაც ბანკის პოზიციით გამოიხატა იმაში, რომ ქალბატონ ანას, თითქოსდა, არ ჰქონდა შიდა პრეზენტაციები ჩატარებული სათავო ოფისის წარმომადგენლებთან, რაც ბანკში თანამშრომლის ყოველწლიური, ტრადიციული, თუმცა არა კანონისმიერი ვალდებულებაა, რაც სასამართლომ ცალსახად დაადასტურა და მეორე: თითქოსდა, ქალბატონ ანას არ ჰქონდა წლის სამოქმედო-საფინანსო გეგმა ჯეროვნად შესრულებული. განთავისუფლების ბრძანების ის მუხლი ასევე მოიცავს შემდეგ დათქმას: არაკვალიფიციური და შეუსაბამო უნარ-ჩვევები. ანუ ერთი გავარკვიეთ, რატომ ედება ქალბატონს ბრალი არაკვალიფიციურობაში ბანკის პოზიციით და მეორე საკითხს რაც შეეხება, მათი განცხადებით, ქალბატონი ანას უნარ-ჩვევები არ შეესაბამებოდა ბანკის კორპორაციულ კულტურას. ბანკის იურისტმა განაცხადა, რომ ეს გამოიხატებოდა დასაქმებულის კლიენტების მიმართ ფამილარულ დამოკიდებულებაში. ბანკის შესაგებელ სარჩელშიც და შემდგომ სასამართლოზეც, ეს ფამილარული დამოკიდებულება ბანკისთვის და საზოგადოდ იყო ქალბატონის კლიენტების მიმართ ნათქვამი ფრაზები – „ღმერთმა დაგლოცოს“. სასამართლომ ამ ორივე გარემოებასთან დაკავშირებით თქვა, რომ ქალბატონი ანა შეესაბამებოდა კვალიფიციურობას და რომ სიტყვები „ღმერთმა დაგლოცოს“ სულაც არ არის ფამილარობა.

**— როგორც ვიცი, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრეთ და ახლა სწორედ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ვსაუბრობთ, ხომ?**

– დიახ. პირველი ინსტანციის სასამართლო ჩვენთვის წარუმატებელი აღმოჩნდა, რადგან მოსამართლე ასმათ კოხრეიძემ ამ საქმესთან დაკავშირებით არაფერი არ გაითვალისწინა და მაქვს განცდა, რომ ბანკი და მოსამართლე, სავარაუდოდ, ურთიერთვალდებულებებში აღმოჩნდნენ და ამასთან დაკავშირებით, ცალკეული დეტალების დასადგენად ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება სააპელაციო სასამართლოში გავასაჩივრეთ, სადაც საქმე წარმატებით დასრულდა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ საქმე უკან დაუბრუნა განსახილველად ერთადერთი მიზეზის გამო: ჩვენ სააპელაციო ეტაპზე ვერ შევთანხმდით, რა უნდა ყოფილიყო ქალბატონის სამუშაოზე აღდგენის დროს მისი ტოლფასი თანამდებობა, რადგანაც ბანკმა თქვა, რომ ძველ თანამდებობაზე უკვე ახალი კადრი ჰყავს დანიშნული და მეორე: რა უნდა ყოფილიყო განაცდურის ოდენობა. სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი სასამართლო გადაწყვეტილება, საქმე დააბრუნა და მიუთითა პირველ სასამართლოს, რომ ემსჯელა მხოლოდ ამ ორ საკითხზე. სხვა ყველაფერი, რაც უკავშირდება განთავისუფლების ბრძანების ბათილობას, არაკვალიფიციურობასთან და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებულ ფაქტებს, ეს აღარ შეიცვლება, აქ ყველაფერი გარკვეულია და პირველი ინსტანციის სასამართლოს არ აქვს რაიმეს შეცვლის უფლება.

**— პირველ ინსტანციაში ისევ იგივე მოსამართლე განიხილავს ამ საქმეს, თუ სხვა?**

– ძალიან მნიშვნელოვანი კითხვაა. ქალბატონი ასმათ კოხრეიძის მიმართ არსებობს ცალკეული პრეტენზიები, დისციპლინარული საქმე იყო აღძრული იუსტიციის სამინისტროს სერვისების სააგენტოს მხრიდან, რადგანაც ეს არის მოსამართლე, რომელიც მხარეებს ეძახის მეჯოგეებს, რაც დისციპლინური საჩივრით დადასტურებულია... თუ საქმე ისევ პირველ ინსტანციაში წარიმართა, როგორც წესი, საქმეს განიხილავს იგივე მოსამართლე, ანუ დიდი ალბათობით, მას ასმათ კოხრეიძე განიხილავს ხელმეორედ, მაგრამ მას უფლება აღარ აქვს, შეცვალოს ის დადგენილი ფაქტები, რაც სააპელაციო ეტაპმა უზრუნველყო. ბანკი რომ ამბობს, „ახალგაზრდა ადვოკატებს“ დავა არ მოუგიაო, სჯობს, გამობრძანდეს მისი იურისტი და საზოგადოებას რეალურ ფაქტებზე ესაუბროს. მე არ ვაპირებ ამ საქმესთან შემწყნარებლური დამოკიდებულება მქონდეს, მას ბოლომდე მივიყვან. უახლოეს დღეებში დაგეგმილი გვაქვს სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, მე ბანკს მივმართავ და დავუწესებ ვადას ქართველი საზოგადოების წინაშე ბოდიშის მოსახდელად. წინააღმდეგ შემთხვევაში, თითოეულმა ჩვენგანმა უნდა ვიფიქროთ ამ ბანკთან ურთიერთობის შემდგომ გაგრძელებაზე, რადგანაც წარმოუდგენელია, რელიგიური ნიშნით და სრულიად უკანონოდ ადამიანებს სამსახურიდან ერეკებოდნენ. მინდა ვთქვა ერთი რამ: მას შემდეგ, რაც აუდიოჩანაწერი გავავრცელეთ, ძალიან ბევრი არასამთავრობო ორგანიზაცია, მედიასაშუალება და ცნობადი სახე „დაიტესტა“ – დისკრიმინაცია რატომ არის ერთ შემთხვევაში მათთვის რეალურად დისკრიმინაცია და აღნიშნულ შემთხვევაში ეს რატომ არ არის დისკრიმინაცია? ქალბატონი ანა მაინცდამაინც სხვა აღმსარებლობის უნდა ყოფილიყო, რომ ეს დისკრიმინაცია მაღალი საჯარო ინტერესის საგანი გამხდარიყო მათთვის?!

**აღნიშნული საქმის გასაჯაროების შემდეგ, დავუკავშირდით „პროკრედიტ ბანკის“ პრესსამსახურის წარმომადგენელ ნატო ბოჭორიშვილს, რომელმაც გვითხრა, — ამ თემაზე ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებთო და ის განცხადება გამოაქვეყნეს, რის შემდეგაც არჩილ კაიკაციშვილმა უკვე სასამართლო სხდომის აუდიოჩანაწერის ნაწილი გაასაჯაროვა. „ალიამ“ ამის შემდეგაც სცადა „პროკრედიტ ბანკთან“ დაკავშირება, თუმცა ეს ვეღარ მოხერხდა.**

## „ქართულ ოცნებას“ თუ ჰგონია, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ ხსენებით ჩვენს პროტესტს შეაფერხებს, ძალიან შემცდარა“ — კაციტაძე

„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი მამუკა კაციტაძე „ქართული ოცნების“ მიერ გარდაბნის არჩევნებთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებას ეხმაურება. ინტერპარტიული ჯგუფის ერთ-ერთ წევრს „ენმ“-ის მიერ კანდიდატის მოხსნის ნაკლებად სჯერა.

რაც შეეხება მმართველი ძალის კიდევ ერთ ბრალდებას იმის შესახებ, რომ „ოპოზიციური პარტიები ბოიკოტით ცდილობენ, ხელოვნური ახსნა მოუმზადონ „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კანდიდატის შესაძლო მოხსნას“, კაციტაძე კონტრბრალდებებით პასუხობს.

– კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ იგრძნო ძალიან დიდი დისკომფორტი, საფრთხე, ძალიან ცუდი გზავნილია საერთაშორისო თანამეგობრობისთვის, რომ არჩევნებში, ერთადერთი კანდიდატი მონაწილეობს. რაც შეეხება „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ კანდიდატის შესაძლო მოხსნას, მე ამ ვერსიის ნაკლებად მჯერა, მაგრამ ასეც რომ მოხდეს, ეს იქნება მათი იძულება, სწორედ იმ ჯგუფის მიერ, რომელიც საარჩევნო სისტემის ცვლილებას ითხოვს, – აღნიშნა მამუკა კაციტაძემ. მისი თქმით, ხელისუფლებას რომ ინტერპარტიული ჯგუფის შემოთავაზებებისთვის მოესმინა, უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა.

– „ქართულ ოცნებას“ თუ ჰგონია, რომ ენმ-ს ხსენებით ჩვენს პროტესტს შეაფერხებს, ძალიან შემცდარა. ვურჩევ მმართველ ძალას, შეეშვას მსგავს ინსინუაციებს და იფიქროს შემხვედრი ნაბიჯების გადმოდგმაზე 2016 წლისთვის არჩევნების პროპორციული სისტემით ჩატარებისთვის, – განმარტა ოპოზიციის წევრმა. (ნიუპოსტი)

## ავარია გომბორთან — ორი შვილის დედა ადგილზე გარდაიცვალა, ბავშვები კი მძიმედ დაშავდნენ

საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორთან ავტოსაგზაო შემთხვევას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა, ორი მცირეწლოვანი კი დაშავდა. ისინი საგარეჯოს რაიონულ საავადმყოფოში მოათავსეს. როგორც საავადმყოფოში აცხადებენ, 4 წლის ბიჭის მდგომარეობა მძიმეა, მისი 5 წლის ძმის კი – სტაბილური. როგორც საგარეჯოს გამგებელმა გიორგი გზირიშვილმა განაცხადა, ოჯახი თელავიდან თბილისში მიემგზავრებოდა, რა დროსაც, სავარაუდოდ, გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი ავტომანქანა ხეს შეეჯახა. საგზაო შემთხვევის შედეგად ოჯახის დიასახლისი ადგილზე გარდაიცვალა. (kvira.ge)

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ბელგიის მთავრობა ლტოლვილებს ფლირტის წესებს ასწავლის



სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო, თქვა ბელგიის მთავრობამ და აფრიკელი და ახლო აღმოსავლელი ლტოლვილებისთვის სპეციალური ბროშურა შექმნა, სადაც ქცევისა და ურთიერთობების წესები წერია. განსაკუთრებული ყურადღება ევროპელ ქალებთან ურთიერთობის წესებზეა გამახვილებული.

ინსტრუქციის შემქმნელები პირველ რიგში აღნიშნავენ, რომ ფლირტში მკაცრი კანონები არ არის. მიგრანტ მამაკაცებს ურჩევენ, რომ ურთიერთობა თავის წარდგენით დაიწყონ, საუბრისას ქალს თვალებში უყურონ, ოღონდ არა ისე, რომ დააბრმაონ, იყვნენ მხიარულები და არაფრის დიდებით არ შეეხონ ქალს ხელით.

ბროშურაში ნათქვამია, რომ ქალის კვალდაკვალ მიყოლა და მისთვის სტვენა, სარისკო იდეაა. ყველას არ ეჩვენება ეს ჟესტი სასაცილოდ. თუ ქალს სექსუალურად აცვია, ეს არ ნიშნავს იმას, რომ სექსისთვის კაცს ეძებს.

ახალჩასულ ლტოლვილებს უხსნიან, რომ იძულებითი ქორწინება, იძულებითი სექსი, მრავალცოლიანობა და მეძავებზე ძალადობა კანონით ისჯება. ასევე, აცნობენ იმასაც, რომ ბელგიაში ერთსქესიანთა ქორწინება და ბავშვების ყოლა ნებადართულია. ლტოლვილებს სექსუალური გზით გადამდები დაავადებების შესახებაც აფრთხილებენ.

ინსტრუქციის შემქმნელები დიაგრამის დახმარებით სხვა წესებსაც ხსნიან, მაგალითად, რა სიტუაციაში იქნება უკეთესი ხელის ჩამორთმევა, ან ლოყაზე კოცნა. ხოლო ლტოლვილებს, რომლებსაც შვლები ჰყავთ, აფრთხილებენ, რომ ევროპაში ბავშვების ცემა მიღებული არ არის.

ბელგიის მიგრანტების საქმეთა მინისტრი ტეო ფრანკე ამბობს, რომ შეურაცხყოფილი იყო ახალი წლის ღამეს, გერმანიაში ლტოლვილების მიერ ქალებზე სექსუალური ძალადობის გამო. აღნიშნა, რომ უცხო ქვეყანაში თავშესაფრის მაძიებელმა მიგრანტებმა უნდა გაიგონ, რომ ევროპაში ქალი და კაცი თანასწორია.

ეროვნული კამპანია, რომელიც სოციალურ განათლებას ისახავს მიზნად, უახლოეს მომავალში იგეგმება.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ინტერაქტიული კითხვა აუცილებელია ბავშვის მეტყველების განვითარებისთვის



ეს კვლევა არის დასტური იმისა, რომ წიგნს კომპიუტერული თამაშები ვერასოდეს ჩაანაცვლებს.

მეცნიერები გარკვეული პერიოდის განმავლობაში 34 დედისა და მათი 1 წლის ბავშვების ურთიერთობას აკვირდებოდნენ.

როგორც აიოვის უნივერსიტეტის მეცნიერები ამბობენ, ბავშვის გონების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს არა მხოლოდ კითხვისას წარმოთქმული ბგერები და ხმა, არამედ დედასთან ურთიერთობის პროცესიც.

აღმოჩნდა, რომ ბავშვები კითხვის დროს უფრო მეტ ხმას გამოსცემდნენ, ვიდრე კომპიუტერული თამაშებისას. სხვათა შორის, დედებიც, კითხვის დროს გამოცემულ ხმებზე უფრო მეტად რეაგირებდნენ, ვიდრე თამაშისას წარმოთქმულ ცალკეულ ბგერებზე.

წარმოდგენილი შედეგებით შეგვიძლია, ავხსნათ, რატომ ახდენს გავლენას ბავშვისთვის წიგნის ინტერაქტიული კითხვა მისი მეტყველების განვითარებაზე. ფსიქოლოგიის დოქტორის ჯული გროს-ლუისის თქმით, წიგნების წაკითხვა არა მხოლოდ ერთი წლის ბავშვებისთვის არის მნიშვნელოვანი, არამედ 6 თვემდე ასაკის ჩვილებისთვისაც.

მეცნიერებმა აღმოაჩინეს, დედები ხშირად ბავშვის მიერ წარმოთქმულ ბგერებს ისე შიფრავენ, რომ ბგერა წაკითხულის კონტექსტს არ შეესაბამება. მაგალითად, თუ ბავშვმა კითხვისას თქვა – „მა“, დედა ამას აღიქვამს, როგორც სიტყვა „მამას“, მიუხედავად იმისა, რომ წიგნში საერთოდ არ იყო მამა ნახსენები.

*qqnews.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## პლანეტის ყველაზე სექსუალურმა ექიმმა საკუთარი თავი აუქციონზე წარადგინა

წარმოშობით რუსი, ნიუ-იორკში მცხოვრები ექიმი მიხაილ ვარშავსკი ჟურნალმა **people**-მა პლანეტის ყველაზე სექსუალურ ექიმად დაასახელა. ვარშავსკი საქველმოქმედო აუქციონში მონაწილეობს და ასე ვთქვათ, თავს ყიდის – გამარჯვებული ექიმთან ერთად პაემანზე წავა.




ღონისძიების პარტნიორი ერთ-ერთი ამერიკული გაცნობის საიტია.

„სერიოზულ ურთიერთობას ვეძებ, მაგრამ ჩემდა გასაკვირად პოპულარობა ვერ მშველის. პარტნიორის ძებნა მაინც მიჭირს“, – დაიჩივლა 26 წლის ექიმმა.

აუქციონიდან მიღებული თანხით სტუდენტებსა და სკოლის მოსწავლეებს დაეხმარებიან.

„გამიმართლა, რომ ინიციატივას სოციალურ ქსელში მხარი დაუჭირეს. უკეთესი ვერაფერი მოვიფიქრე და გადავწყვიტე, ქველმოქმედებისთვის დამეხარჯა შემოსული თანხა“, – განაცხადა ვარშავსკიმ.

გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია გაცნობის საიტზე თანხის ჩარიცხვა. ამ დროისთვის უკვე 40 ათასი ევროა შეგროვებული.

აუქციონი 27 იანვარს დასრულდება.

გამარჯვებული, რომელსაც შემთხვევით ამორჩეული ციფრით გამოავლენენ, პლანეტის ყველაზე სექსუალურ ექიმთან ერთად პაემანზე წავა.

ვიმედოვნებთ, რომ გამარჯვებული ლამაზმანი იქნება და სერიოზული ურთიერთობების მძებნელ ექიმს იმედი არ გაუცრუვდება.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## დაავადებები, რომელსაც ექიმები ხშირად ვერ ამჩნევენ

სისუსტე, თავბრუსხვევა და გულისრევა ერთი შეხედვით გრიპის სიმპტომებია. ამავე დროს, შესაძლოა, ეს გულის შეტევაზეც მეტყველებდეს. სამწუხაროდ, ექიმები დიაგნოზის დასმისას ხანდახან შეცდომებს უშვებენ.



ყოველ ოც პაციენტში ერთს დასმულ დიაგნოზთან გართულებები აქვს. ზოგ შემთხვევაში გვიან სვამენ დიაგნოზს, ზოგ შემთხვევაში სულაც არ სვამენ და ზოგ შემთხვევაშიც არასწორად ასახელებენ დაავადებას.

მომავალში ამერიკელთა უმრავლესობა მსგავსი პრობლემის წინაშე დადგება. ასეთი შეცდომების 10 პროცენტი კი სიკვდილით დასრულდება.

არასწორად დასმულ დიაგნოზს არასწორი და არასასურველი მკურნალობა მოჰყვება. რადიოლოგ არმან ლეონი უმცროსის თქმით, როცა ექიმები დიაგნოზს სვამენ, პირდაპირ მკურნალობას იწყებენ, აღარ ეძებენ მიზეზებს, რატომ არ არის პაციენტის თავს ყველაფერი კარგად. თუ დიაგნოზი არასწორია, რეალური პრობლემები ყურადღების მიღმა რჩება და გამოდის, შედეგზე საუბარიც ზედმეტია.

ზოგიერთ დაავადებას აქვს თვისება, რომ თავი არ გამოავლინოს, ამიტომ სიმპტომების შესახებ სასურველია, რომ ექიმმა პაციენტისგან შეიტყოს. ყველაზე ხშირად ყურადღების მიღმა დატოვებულ დაავადებათა შორის არის გულის შეტევა, ონკოლოგიურ დაავადებათა რამდენიმე სახეობა, ფილტვისა და სარძევე ჯირკვლის კიბო, კონკრეტული პრეპარატებით ინტოქსიკაცია და ინსულტი.

*qqnews.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## ფსიქოლოგები გვირჩევენ, ელექტრონული ფოსტა ხშირად არ შევამოწმოთ



ნეტა, კომპიუტერის გამოგონებამდე, საფოსტო ყუთის ხშირი შემოწმებაც თუ იწვევდა სტრესს? პრინციპში, რატომაც არა, აქ ხომ მთავარი აზრი იმედგაცრუებაა, რომლიც სტრესულ მდგომარეობაში გვაგდებს.

ფსიქოლოგები გვეუბნებიან, რომ უნდა ვაკონტროლოთ იმეილი, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა მივცეთ იმეილს უფლება, რომ გვაკონტროლოს. დღეში ორჯერ შემოწმება სავსებით საკმარისია, თუ, რა თქმა უნდა, ისეთი სამსახური არ გვაქვს, რომ ყოველ საათში სიახლეები მოგვდიოდეს.

ექსპერტების ჯგუფმა დაახლოებით 2000 ადამიანი გამოკითხა. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ რამდენიმე მათგანი ამოწმებდა იმეილს დილისით და საღამოს, სამსახურამდე და სამსახურის შემდეგ. დანარჩენები კი დღის განმავლობაში ამოწმებდნენ არაერთხელ, თანაც არაერთი ხელმისაწვდომი საშუალებით.

„ჩვენმა კვლევამ აჩვენა, რომ ელექტრონული ფოსტა ორლესული ხმალია. მართალია, კომუნიკაციის ღირებული ინსტრუმენტია, მაგრამ ასევე სტრესისა და იმედგაცრუების წყაროა“, – აღნიშნა ერთ-ერთმა ექსპერტმა.

2014 წელს მსოფლიო მასშტაბით 196,3 მილიარდი იმეილი იყო გაგზავნილი.

*topspbtv.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო საინტერესო ამბები...

## რა უნდა აჩუქოთ ზოდიაქოს სხვადასხვა ნიშნებს, რომ მათი გული ადვილად მოიგოთ



**ვერძი** – დემოკრატიული ჩანჩქერი, მარჯნის სამკაულები, პარფიუმერული ტუალეტის წყალი.

**კურო** – ბლოკნოტები, ორგანაიზერები, ნოუთბუქები.

**ტყუპები** – ნაქსოვი შარფი, წინდები და ხელთათმანები.

**კირჩხიბი** – ჭიქა, მაისური, მცირე საყოფაცხოვრებო ტექნიკა, თბილი კუბოკრული პლედი, დეკორატიული სანთლები.

**ლომი** – ძვირფასი საწერკალამი, ბლოკნოტი, საფულე.

**ქალწული** – წიგნი, მდიდრული ვაზები, უჩვეულო სამშვენისი ელემენტები.

**სასწორი** – სამკაული, ჩანთა, პუფის სათამაშოები.

**მორიელი** – სათვალე, წიგნი, შარფი.

**მშვილდოსანი** – საფულე, კოსმეტიკა, ყურსასმენები.

**თხის რქა** – აბაზანის ძვირად ღირებული კოსმეტიკა (შამპუნი, საპონი, დუშგელი)

**მერწყული** – ბეჭედი, საყურე, ტელეფონის ორიგინალური ჩასადები.

**თევზები** – საათი, საფულე, სათვალე.

*etanews.ge*

გვერდი მოამზადა დარინა ქამადაძე 593 19-85-99

## იტალიაში მეხანძრეები ქალს... ერთგულების ქამრის მოხსნაში დაეხმარნენ



ერთგულების ქამარი პირველად საბერძნეთში, მონა ქალების არასასურველი ფეხმძიმობის თავიდან ასაცილებლად გამოიგონეს. შემდეგ გერმანიაში, ერთ-ერთმა მონარქმა ცოლის ერთგულების შესანარჩუნებლად გამოიყენა. შუა საუკუნეებში უკვე ფართოდ გავრცელდა და მისი გამოყენებით განსაკუთრებით იტალია გამოირჩეოდა. როგორც ჩანს, იტალია ამ ქამარს დღესაც ერთგულების შენარჩუნების საუკეთესო საშუალებად მიიჩნევს.

ფაქტი, რომელზეც უნდა მოგიყვეთ, არ დაიჯერებთ და ჩვენს დროში, 21-ე საუკუნეში, სულ რამდენიმე დღის წინ მოხდა. შეშფოთებულმა იტალიელმა ქალმა სახანძროს უჩვეულო თხოვნით მიმართა, – არიქა, თქვენი ჭირიმე, ქამრის გასაღები დავკარგე და არ დამღუპოთ, უსიკვდილოდ უნდა მაპოვნინოთო. შეწუხდნენ სახანძროს თანამშრომლები, – რაზეაო, ქალბატონო, ლაპარაკი, გვითხარით, დაახლოებით რა ტერიტორიაზე მოძრაობდით და რაც შეგვიძლია, შემოგევლოს ჩვენი თავიო. არა, ვერ გამიგეთო, ცოტა არ იყოს, სექსისგან თავის შეკავება მიჭირს და ე მანდ, რომ არ გავბოზებულიყავი, ერთგულების ქამარი ჩავიცვი და სადღაც გასაღები დავკარგეო. მთელი ცხოვრება ტანჯვას, მირჩევნია, ირიბ გზას დავადგეო.

სახანძრო სამსახურის თანამშრომლებმა ცოტა კი იუხერხულეს ასეთი ამბის მოსმენა, მაგრამ ქალი შველას ითხოვდა და რა უნდა ექნათ? ადგნენ და ქამრის მოხსნაში დაეხმარნენ.

უცნობია, როგორ გადაუხადა ქალმა მაშველებს მადლობა...

***anekdot-dnya.ru***

## ასტრონომები მეცხრე პლანეტის არსებობას იკვლევენ



ასტრონომები მზის სისტემაში მეცხრე პლანეტის არსებობის შესახებ მსჯელობენ. აღნიშნულ ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

როგორც ცნობილია, იდეა, რომ ე.წ. ამოუცნობი პლანეტა შესაძლოა, მზის სისტემაში არსებობდეს, დებატების საგნად ბევრჯერ იქცა.

ამერიკელი ასტრონომების თქმით, არსებობს მტკიცებულება, რომ მზის სისტემის ორბიტაზე მეცხრე პლანეტა არსებობს, რომელიც სიდიდით მსოფლიოში ყველაზე პატარაა.

მათი გათვლებით, ობიექტი მზისგან ოცჯერ მოშორებულია, ვიდრე სისტემის მერვე პლანეტა ნეპტუნი, რომელიც მზეს 4 მილიარდზე მეტი კილომეტრითაა დაშორებული.

კალიფორნიის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გუნდს ჯერ არ აქვს პირდაპირ დაკვირვების ანგარიში, რომელიც პლანეტის არსებობას დაადასტურებს.

„დედამიწაზე ბევრი ტელესკოპი არსებობს, რომლის მეშვეობითაც პლანეტის პოვნის შანსი იზრდება“, – ამბობს უნივერსიტეტის დოქტორი მაიკ ბრაუნი.

მისივე თქმით, პლანეტის აღმოსაჩენად კოსმოსში გამგზავრებაა საჭირო.

„დიდი იმედი მაქვს ადამიანებს სურვილი გაუჩნდებათ, მეცხრე პლანეტის აღმოსაჩენად კოსმოსში გაემგზავრონ“, – განაცხადა მან.

***gurianews.com***

## ვაკანსია — ადამიანი-კატა



ვაკანსია მათთვის, ვინც თვლის, რომ წინა ცხოვრებაში კატა იყო და ახლაც სურს, კატის ცხოვრებით იცხოვროს.

თქვენი ოცნების ახდენას ავსტრალიელი სოფი გპირდებათ. სოფიმ სოციალური ქსელით ვაკანსია გაავრცელა, სადაც ამბობს, რომ ეძებს ადამიან-კატას, რომელიც ოთხ ფეხზე ივლის და იკრუტუნებს, იქვე ამატებს, რომ ეს ხუმრობა არ არის.

გოგონას თქმით, ძილთან დაკავშირებული პრობლემები აქვს და ფიქრობს, რომ კატის კრუტუნის ხმაზე უკეთ ჩაეძინება. დასაქმებული პირი ვალდებული იქნება, ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდე მის საწოლში, ფეხებთან იწვეს, იკრუტუნოს და პატრონს პერიოდულად ყურადღება მიაქციოს.

ალბათ, დაინტერესდებით, რაში სჭირდება დაოთხილი ადამიანის კრუტუნი (თუ ხვრინვა, ეგ მერე გაირკვევა), მიიყვანოს კატა და უშველოს უძილობასო. საქმე ისაა, რომ სოფის კატის მოვლის დრო არ აქვს. ადამიან-კატას კი საათში 30-დან 60 ავსტრალიურ დოლარს ჰპირდება, რაც ჩვენს ვალუტაზე დაახლოებით, 50-დან 100 ლარია.

გაჩნია, როგორ კატობას გაუწევს პატრონს, შეიძლება დასაქმებულმა პრემიაც დაიმსახუროს.

***anekdot-dnya.ru***

## ყალბი ოქრო... პოლიციის აუქციონზე გაყიდეს



ბრიტანელმა ჯასტინ კაელმა პოლიციას უთხრა – „ტყუილის მთქმელს ის სარგებელი აქვს, რომ მართალსაც აღარ დაუჯერებენო“. პოლიციამ ერთი ჩაიქირქილა და უპასუხა: „ვაიმე, ძმაო, თარხან, ჭკუაზე რა თხლად ხარ“. ამაზე ჯასტინს გული ეტკინა და განაწყენებულმა მიუგო, – „პატიოსან კაცთა შორის ნამუსია მოციქული!“...

პოლიციას ნამუსზე დიდი პრეტენზია არ განუცხადებია და თქვა, რომ ჯასტინ კელი თავისი დაუკვირვებლობის მსხვერპლია.

რა მოხდა სინამდვილეში და ჯასტინმა პოლიციის ინტერნეტაუქციონზე, სადაც მოპარულ საქონელს ყიდიან, 1000 დოლარად რვა „ოქროს“ სამკაული შეიძინა. სამკაულს ეწერა – „ყვითელი ლითონი“, რაც ბრიტანელმა ზედმეტი ფიქრის გარეშე, პირდაპირ ოქროდ მონათლა.

მოგვიანებით კი აღმოაჩინა, რომ ხელთ სპილენძის სამკაულები შერჩა.

მართალია, პოლიციას მიმართა, მაგრამ უშედეგოდ. აქეთ მოსდეს შარი, განზრახ გადაუმოწმებლად იყიდეო, თორემ რატომ არ დაინტერესდი, რა იგულისხმებოდა „ყვითელ ლითონშიო“.

***anekdot-dnya.ru***

## საგანგაშო ვირუსი — მსოფლიოს მასობრივი გონებაჩამორჩენილობის საფრთხე ემუქრება



ბრაზილიის ხელისუფლება ვირუსი ზიკას სწრაფი გავრცელებით შეშფოთებულია.

როგორც მედიკოსები ირწმუნებიან, ერთი შეხედვით უწყინარი მიკროორგანიზმი მიკროცეფალიის მრავალ შემთხვევასთან არის დაკავშირებული.

ვირუსი აფრიკიდან და აზიიდან სამხრეთ ამერიკაში 2015 წელს გავრცელდა. ზიკამ ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებშიც შეაღწია, ამიტომაც მისი აშშ-ში გავრცელების საშიშროებაც არსებობს.

მედიკოსების განცხადებით, ზიკა ახალ ვირუსად ითვლება, ამიტომაც მისი საწინააღმდეგო ვაქცინა ჯერჯერობით არ არსებობს. ვირუსის პირველადი სიმპტომები ცხელება და კანზე გამონაყარია.

ბრაზილიელი სპეციალისტების განცხადებით, დადგინდა, რომ ვირუსი ახალშობილებში მიკროცეფალიის განვითარებისას ფიქსირდება. ვირუსი აღმოაჩინეს ნაყოფის ამნიონურ სითხეში, ასევე, იმ ბავშვების კანის ქსოვილში, რომლებიც დაბადებისთანავე გარდაიცვალნენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ვირუსს ბავშვის სხეულში შეღწევა ინფიცირებული დედის სხეულიდან შეუძლია, რაც გავლენას ახდენს ნაყოფის ნერვულ უჯრედებზე, აფერხებს ტვინის უჯრედების განვითარებას და მნიშვნელოვნად ამცირებს ტვინის ზომას.

***newpost.ge***

## სვით გონების დაბინდვამდე — სასმელი, რომელიც ნაბახუსევს არ იწვევს



ნოვაცია მათთვის, ვინც სასურველი დოზით ალკოჰოლის მიღებასა და თრობაზე იმიტომ ამბობდა უარს, რომ ცუდი ნაბახუსევი ჰქონდა და მეორე დღეს ერთი ჰექტარი თავით სამსახურში ვერ წავიდოდა.

ნუღარ დაიტოვებთ უკმარისობის განცდას – ჩრდილო კორეის მეცნიერებმა სპეციალურად თქვენთვის ალკოჰოლური სასმელი კორყო ლიქიორ შექმნეს, რომელიც, როგორც ამბობენ, ნაბახუსევის სინდრომს არ იწვევს.

ის ჟენშენის საფუძველზეა დამზადებული. სასმელში შაქარი წებოვანი მომწვარი ბრინჯით არის შეცვლილი.

მისი სიმაგრე 30-40 გრადუსს შეადგენს. ჩრდილოკორეელი სასმელის სპეციალისტების აზრით, ლიქიორს რბილი გემო აქვს, ხოლო მომწვარ წებოვან ბრინჯში შემავალი ამინომჟავები, ვიტამინები და მინერალური შენაერთები ცხიმის დაშლას უწყობს ხელს.

***alioni.info***



– გაიგე, კოტე ალპინიზმის სექციიდან რომ გაუგდიათ?

– არა, არ ვიცოდი. რატომ?

– წარმოიდგინე, თურმე, ის სულელი მეექვსე სართულზე ლიფტით ადიოდა და ვიღაცამ დაინახა...

*****

– ბებია, სისხლი გემრიელია?

– მე რა ვიცი, შვილო, საიდან მოიტანე?

– რა ვიცი, მამიკომ თქვა, ბებიაშენმა მთელი სისხლი გამომწოვაო...

– ტვინი არ აქვს მამაშენს და იმიტომ თქვა ეგრე!

– ჰო, ვიცი – ტვინი ხომ ამ გაზაფხულზე უკვე შეუჭამე...

*****



შუახნის ქალი ექიმთან მივიდა:

– ექიმო, სტერილიზაციის გაკეთება მინდა.

– ჰო, მაგრამ ეს ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებაა, ოჯახთან გაიარეთ კონსულტაციები?

– კი, გავიარე – 17 თანახმაა, მხოლოდ ერთმა შეიკავა თავი!..

*****

ქმარი ცოლს:

– ძვირფასო, რა სასიამოვნო სურნელი გაქვს...

– ჰო, გუშინ რომ მაჩუქე, ის სუნამო ვიპკურე.

– მე შენთვის სუნამო არ მიჩუქებია!

– გიჩუქებია, გიჩუქებია – საფულეში ჩაიხედე...

*****

– როგორ გაგიშვა ქმარმა ღამის კლუბში?

– რა ვიცი – ქაფით სავსე აბაზანა მოვუმზადე და...

– მართლა? და ამან შეაჩერა?

– ჰმ! მომენტალური ქაფი რასაც გინდა, იმას შეაჩერებს!..

*****



შუაღამისას შვილი დედას აღვიძებს:

– დედა, მიდი რა, წყალი მომიტანე.

– ადექი და შენ თვითონ დალიე!

– აუ, მიდი რა, მომიტანე, ძალიან მწყურია.

– თუ არ მოკეტავ, ქმრით გაგტყეპ!

– ჰოდა, ქმრის ასაღებად რომ ადგები, წყალიც გამოაყოლე!..

***მოამზადა მიხეილ სახვაძემ***
***დავით ახობაძის ნახატი***

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## კალციუმი აბებში გულს ვნებს



ალბათ, ბევრი ექიმისგან გექნებათ გაგონილი, რომ თქვენს ორგანიზმს კალციუმი აკლია და აუცილებელია ამ უსიამოვნების სასწრაფოდ გამოსწორება. ბუნებრივია, დანაკლისს შევსება სჭირდება, მაგრამ საკითხავი ის არის: რის ფასად?!

კვლევების შედეგად ამერიკელი სწავლულები მივიდნენ დასკვნამდე, რომ კალციუმი აბებში არცთუ უსაფრთხოა, განსაკუთრებით კი მშვენიერ სქესში.

კვლევაში 16 ათასამდე ქალმა მიიღო მონაწილეობა და სწორედ ასეთი მასშტაბური მუშაობის შემდეგ დადგინდა, რომ აბებად დამზადებული კალციუმი ქალებში ინფარქტისა და ინსულტის რისკს 13-22 პროცენტით ზრდის.

აღსანიშნავია, რომ კალციუმს ხშირად უნიშნავენ ხანშიშესულ ადამიანებს ძვლების გასაძლიერებლად, თუმცა ფაქტია, ბოლო კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული მიზნის მისაღწევად ექიმებმა სხვა გზები უნდა გამონახონ.

*myjulia.ru*

## სიგარეტს ფორთოხალი გადაგაგდებინებთო



ამერიკელ სწავლულებს თუ ვერწმუნებით, მწეველების ორგანიზმში მუდმივად მიმდინარეობს ცე ვიტამინის შლისა და მისი ნიკოტინით ჩანაცვლების პროცესი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ, თუკი სიგარეტს გადააგდებთ, მისი ჩანაცვლების საუკეთესო საშუალება რა იქნება? მართალი ხართ, სწორედაც რომ ცე ვიტამინი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ამერიკელმა მეცნიერებმა სიგარეტის გადაგდების ძალიან მარტივი პროგრამა შექმნეს:

პირველ რიგში, ის ითვალისწინებს იმ პროდუქტების აქტიურ მიღებას, რომლებიც ასკორბინის მჟავას შეიცავენ – მაგალითად, ფორთოხლისა და ლიმონის წვენები, მოცხარი და ასე შემდეგ.

აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ ამ მეთოდით სიგარეტის გადაგდებაზე უარი უნდა თქვან იმ ადამიანებმა, რომლებსაც კუჭ-ნაწლავის ტრაქტის პრობლემები აწუხებთ.

*myjane.ru*

## ინსულტის გამოწვევა სირცხვილის გრძნობასაც კი შეუძლია?



ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადება, რომელიც ათასობით ადამიანის სიცოცხლეს სპობს, იმაზე მეტად საშიში და საფრთხილო ყოფილა, ვიდრე ეს აქამდე გვეგონა. ჩვენ კი არა, თავად მედიკოსებიც ვერ მალავენ გაკვირვებას, რადგან ინსულტის გამოწვევა ერთი შეხედვით ყველაზე უწყინარ მოვლენას შეუძლია.

ნიდერლანდელი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ ინსულტის მიზეზი შეიძლება გახდეს, მაგალითად, ყავა, ერთი ქილა „კოკა-კოლა“, სექსი და თქვენ წარმოიდგინეთ, სირცხვილის გრძნობაც კი.

სწორედ ჩამოთვლილი ფაქტორები ყოფილა ინსულტის შემთხვევათა 15-20 პროცენტის მიზეზი, რაც იმას ნიშნავს, რომ ადამიანებს კიდევ უფრო დიდი ყურადღების გამოჩენა მართებთ.

კვლევის შედეგების თანახმად, კოფეინი ინსულტის საშიშროებას 10,6 პროცენტით ზრდის, მძიმე ფიზიკური დატვირთვა – 7,9 პროცენტით, დაცემინება – 5,4 პროცენტით, სექსუალური აქტი – 4,3 პროცენტით, „კოლა“ და „პეპსი“ 3,5 პროცენტით, სიბრაზე 1,3 პროცენტით და ასე შემდეგ.

*myjane.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**22 იანვარი:** ძალიან ბევრი თვალი იქნება თქვენკენ მომართული. შეეცადეთ, ისე მოიქცეთ და იმოქმედოთ, რომ სასაყვედურო არავის არაფერი ჰქონდეს.

**კურო 22.04-21.05**
**22 იანვარი:** ფულთან დაკავშირებულ პრობლემებს ისე ადვილად მოაგვარებთ, უმნიშვნელოდ ჩათვლით, თუმცა, ეს ასე არ არის. უფრო სერიოზულად მიუდექით საკითხს.

**ტყუპები 22.05-21.06**
**22 იანვარი:** ვინც გიყვართ, შეიძლება დღეს აუტანელნი გახდეთ. სხვებს ამას არ აპატიებდით, მაგრამ მათზე განაწყენებასაც ვერ მოასწრებთ.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**22 იანვარი:** ის დღეა, როდესაც უარყოფითი მიმართულებით განვითარებული სიტუაცია საკეთილდღეოდ შეტრიალდება. იმოქმედეთ და ხელები არ ჩამოუშვათ.

**ლომი 23.07-22.08**
**22 იანვარი:** ამ დღეს მაღალი აქტიურობით დაასრულებთ. თუ გადაღლა არ გინდათ, ვინმეს მუშაობის დროს თავზე ნუ წამოადგებით, დაგასაქმებენ.

**ქალწული 23.08-22.09**
**22 იანვარი:** როგორც ჩანს, დღეს დასვენებისა და ამოსუნთქვის საშუალება მოგცეს. შეგიძლიათ, მოდუნდეთ და არაფერზე ინერვიულოთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**22 იანვარი:** უკეთესის იმედი იქონიეთ. შესაძლოა, ბევრი რამის გაკეთება საიმედო საყრდენის გარეშე მოგიწიოთ, ამიტომ თავი წინასწარ დაიზღვიეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**22 იანვარი:** საკმაოდ საინტერესო და შინაარსიანი საღამო გელით. რა მოხდება, ამას თავის დროზე შეიტყობთ. მთავარია, სათანადოდ მოემზადოთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**22 იანვარი:** დროის მუდმივი უკმარისობა გექნებათ. ეს დამღლელია, სამაგიეროდ ცაიტნოტის რეჟიმში მუშაობა ამ დროის მაქსიმალურად ნაყოფიერად გამოყენების საშუალებას მოგცემთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**22 იანვარი:** შესაძლოა, დღეს აზრების მოკრება გაგიჭირდეთ და შესაბამისად, საქმიანობაც გაგიჭირდებათ. სხვათა რჩევები მოიშველიეთ, ვისაც ენდობით.

**მერწყული 20.01-18.02**
**22 იანვარი:** შესაძლოა, რაღაც ცვლილებების დრო დადგეს. შეეცადეთ, იმოქმედოთ, რომ თქვენ არ შეგეხოთ, არავინ იცის, ეს ცვლილებები რა სახის იქნება.

**თევზები 19.02-20.03**
**22 იანვარი:** თუ მოინდომებთ, დამალვას შეძლებთ, მაგრამ პრობლემა არ მოგვარდება, შეგიძლიათ, გარისკოთ და იმოქმედოთ, მაგრამ შედეგი გარანტირებული არ არის. მოკავშირეები ეძებეთ.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:

577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი (15 საათიდან)

## პროდუქტები, რომლებიც კბილებს ამუქებს



გაინტერესებთ, რომელი პროდუქტია კბილის ემალის დაუძინებელი მტერი? მაშინ, ნორვეგიელი სწავლულების მიერ მომზადებულ რეიტინგს გაეცანით და დაიცავით კბილების ბუნებრივი თეთრი ფერი გამუქებისგან.

**მოცვი** – ნაყოფი ბუნებრივი საღებავებითაა გაჯერებული. მოცვის შეჭმისთანავე საღებავები კბილზე წამიერად ეკვრება. დროთა განმავლობაში ნადები ქრება, მაგრამ კბილები შეიძლება გაყვითლდეს.

**მწვანე და შავი ჩაი** – ხშირად მიღებისას, მწვანე ჩაი კბილის ემალს ამსხვრევს, შავი კი კბილებს კალციუმს აშორებს.



**გაზიანი სასმელები** – გარდა იმისა, რომ კბილებს სითეთრეს უკარგავს, სასმელი მთელი ძვლოვანი ქსოვილების მტერიცაა.

ყავა – ძალიან დიდ უარყოფით გავლენას ახდენს კბილების სითეთრეზე. ამდენად, სპეციალისტების რჩევაა, ყავის დალევის შემდეგ კბილები აუცილებლად გაიხეხოთ.

**შოკოლადი –** მოქმედებს არა მხოლოდ სითეთრის წინააღმდეგ, არამედ გვჩუქნის კარიესსაც.

**ხილი –** განსაკუთრებით მავნეა კბილის ფერისთვის ის ხილი, რომელიც მდიდარია მჟავებითა და ნახშირწყლებით. მაგალითად, ლეღვი, ბანანი, ანანასი, ვაშლის ტკბილი ჯიშები, ყურძენი და ფინიკი.

*membrana.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მამაკაცი მაღაზიაში:

– ამიწონეთ, გეთაყვა, 329 გრამი ძეხვი, 246 გრამი ყველი და 391 გრამი შაქარი...

გამყიდველმა მიაწოდა: ძეხვი, ყველი, შაქარი და პრეზერვატივები:

– აი, ბატონო, ეს პრეზერვატივი ჩვენგან საჩუქრად!

– კი, მაგრამ რისთვის?

– იმისთვის, რათა თქვენისთანეები არ გამრავლდნენ!!!

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“

» 211359457

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
9 772298 000000
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.05